# ცისკარი

**1862**

დ ე კ ე მ ბ ე რ ი.

წელიწადი მეექუსე.

## რიგება თხზულებათა:


**I.—** საბრალონი. (რომანი ვიკტორ ჰიუგოსი). . . . . გ. დიდებულიძისა.

**II.—** ლექსები სხჳა სხჳა მწერლებისა.

**III—** გიორგი **13** მეფობა და აღამაჴმად-ხანის ხიკჳდილი.. . . თეიმურაზ ბატონის-შჳლისა.

**IV—** წავიდა ის დრო. სატირული ოხუჯობა. . . . . თავხედისა.

**V.—** ჟურნალთ ჩამომავლობაზე ევროპაში. ზ. ჩარექოვისა.

**VI—** სხჳა და სხჳა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)


---

## ტფილისს.


კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## საბრალონი.

(განგრძელება.)

ჩყიზ-სა წელსა ოთხმა პარიჟელმა ყმაწვილმა კაცმა მოახდინეს დიდს შესანიშნავი ხუმბრობა.

ერთი იმათგანი იყო ტულუზიდამ, მეორე ლიმოჟიდამ, მესამე კაგორიდამ, მეოთხე მონტაბანიდამ. პარიჟელნი ერქჳათ იმისთჳს, რომ ისინი იყვნენ სტუდენტები, და ყოფნა სტუდენტათ პარიჟში ნიშნავს პარიჟის მკვიდრს მცხოვრებსა.

ის ჭაბუკნი იყვნენ ჩჳეულებითნი ყმაწვილნი კაცნი, არც კარგის სახისა, არც ცუდისა; არც მრიელ სწავლულნი არც ბრიყვნი. იყვნენ იმ ასაკში, რომელსაც უძახიან გაზაფხულისას, ესე იგი ოც-ოცის წლისანი.

ერთს ერქჳა ტოლომიერ, მეორეს ლისტოლიე,

მესამეს ფამეილი და მეოთხეს ბლანშიელი. თუთოეულს იმათგანს ჰყავდა საყვარელი. ერთს უყვარდა ფავურიტა, მეორეს დალია, მესამეს ზეფინა და მეოთხეს ფანტინა.

ისინი ყველანი იყვნენ ჯერ ისევ მშვენიერნი ყმაწვილნი ქალნი, ამიტომ, რომ ჯერ არა ჰქონდათ კიდევ სრულათ გაგდებული ქალიდამ სამუშაო ნემსი, და დაეცვათ ჯერ კიდევ ის ნაწილი პატიოსნებისა, რომელიცა რჩება ქალში პირველს მის დაცემამდინ. ერთს ამათგანს უწოდნენ ყმაწვილსა, ამისთვის, რომ მართლათ ყველაზედ ყმაწვილი იყო; ერთსაც ბებერსა, რადგან ის მართლად იყო ოცდა სამის წლისა, და იყო ყველაზედ იმათში უფროსი. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ სამნი პირველნი იმათგანნი იყვნენ უფრო გამოცდილნი, უფრო უზრუნველნი; რადგან უფრო ღრმათ იყვნენ ჩაფლულნი ცხოვრების ამაოებაში, ვინემ ფანტინა, რომელიც სვამდა ჯერ პირველს დროს სიყვარულისას.

ფანტინა დაიბადა სოფელს მემორში. ვისგან? ვინ იყო იმისი დედ მამა? ეს არავინ იცოდა. თვით ფანტინას არ ახსოვდა არც დედა და არც

მამა. იმას უძახდენ ფანტინასა. ეს რაღათღა? იმისი დაბადების დროს არსებობდა დირექტორია (მართებლობა რესპუბლიკისა). მაშინ გვარები არავისი არ არსებობდა, არ იყო იმ დროს მონათვლა, ამიტომ რომ აღარ იყო მაშინ საფრანგეთში ეკკლესიები და დაურქჳა მას ფანტინა და სხჳა ამის მეტი ამისი არავინ არა იცოდარა. ათის წლისა რომ შეიქნა, ფანტინამ დაუტევა თავისი სამშობლო ქალაქი და ქალაქ გარეთ დადგა მოჯამაგირეთ, ერთს ფერმაში (ბაღში), თხუთმეტის წლისა რომ შეიქმნა ის წავიდა პარიჟში საძებნელათ ბედნიერებისა, ფანტინა იყო მშჳენიერი და დაცული უმანკოთ.

ესლაკი იმას უყჳარდა ტოლომიერი.

ის ოთხნი ამხანაგნი შეადგენდნენ ერთს პატარა საზოგადოებას, რომლისაც თავი იყო ტოლომიესი.

ტოლომიესი იყო ხნიანი სტუდენტი, და ჰქონდა საკმაო საცხოვრებელი. იმას ჰქონდა წელიწადში შემოსავალი ოთხი ათასი ფრანკი, ისე, ვითარცა ოცდა ათის წლის კაცი, რომელსაც საკმაოთ გაცვდა, რომელსაც ის ჰკარგავდა კბილებს

და თმასა და სახე იმისი შეიქმნებოდა დაღმეჭილი, იმაში უფრო და უფრო ენთებოდა მხიარულება.

ერთხელ იმან უთხრა ჩუმათ თავის ამხანაგებსა: «მალე გახდება წელიწადი რაც ჩვენ ჩვენი საყვარლები გვთხოვენ საჩუქარსა (სიურპრიზსა). ჩვენც, ხომ გახსოვსთ, რომ აღუთქვთ ის იმათ. გარდა ამისა ჩვენ გვიბარებენ ჩვენნი მშობელნი, მე მგონია ეხლა დრო იყოს შევუსრულოთ იმათ პირობა. მოდი მოვილაპარაკოთ.»

მერე დაუშვა კიდევ უფრო ხმა და რაღაც წაუჩურჩულა იმათ ყურში; იმის სიტყვებზედ იმათ შექნეს ხარხარი და ბლანშიელმა დაიყვირა: «ოჰ, რა კარგი ფიქრია!

ეს რჩევა იყო ყავახანაში; რა სთქვეს იმ რჩევაში, არავინ იცის, მხოლოდ მაშინ გარდასწყვიტეს ისიც, რომ მომავალს კვირას უნდა წასულიყვნენ თავიანთის საყვარლებით სასეირნოთ.

დღე იყო ზაფხულისა, ცა მოწმენდილი და ცხელი. დრო კანიკულისა. ფავურიტამ, რომელსაც ოთხს ქალში მხოლოდ შეეძლო წერა, მისწერა ყველა თავისის ამხანაგების მაგიერათ ტოლომიესსა, რომ საჭირო არის ადრე წასვლა სასე-

ირნოთაო; ამისთჳს ყმაწჳლნი კაცნი ადგენ დილით ხუთ საათზედ, ჩასხდნენ კარეტაში და წავიდნენ სენკლუში. იქ ნახეს ამომმრალი ჩანჩქური წყალისა და საქუწს ლოჰ, რა კარგი უნდა იყოს ეს ჩანჩქური, როდესაც წყალით იქნება სავსე.» შემდგომ სჭამეს საუზმე სასტუმრო სახლში, ითამაშეს ყოველი გვარი სათამაშო, სჭამეს სხუა და სხუა ნაირი ვაშლის პიროჟკები და იყვნენ სრული ბედნიერნი.

ქალები ღუღუნებდნენ, როგორც გალიიდამ გამოშვებულნი ფრინველნი. კმაყოფილება იმათი იყო სრული. ხანდისხან ისინი დაეჯახებოდნენ ხოლმე ყმაწჳლთა კაცთა. ერთის სიტყჳთ ეს იყო იმათთჳს სიმთვრალე ბედნიერებით მშუენიერს ჰასაკში.

ოთხივ ყმაწჳლნი ქალნი იყვნენ მშუენიერნი, ტურფანი. ფავურიტა, ბლანშიელის საყვარელი, მიდიოდა ყველაზედ წინა.

ტოლომიესი მიდიოდა ყველაზედ უკან, ძლიერ მხიარული. ის გრძნობდა თავის თავში სხუა ამხანაგებზედ უპირატესობასა. ჴელში ეჭირა ჯოხი ნასყიდი ორას ფრანკათ და კბილებში-სიგარი.

ფანტინა იმ დროს წარმოადგენდა ძლიერს სიხარულსა. თავისი ჩალის შლიაპკა ეჭირა ჴელში. იმისი სქელი ქერა თმა ხშირად იშლებოდა იმის მხრებზედ, იმისი ვარდის ფერი ტუჩები იყვნენ ტურფანი, იმისი მშჳენიერნი პირის ბაგის კუთხეები განამხნევებდნენ მას მაშინ, როდესაც იმისნი დაშჳებულნი წამწამნი აძლევდნენ იმის სახეს წყნარს და მორცხვს გამოხატულებასა. სრულს იმის მორთულობაში იყო რაღაც ჭაგროვანი. იმას ეცჳა ნაცრის ფერი ბარეჟის კაბა. სამი დანარჩენი ქალი იყვნენ ჩაცმულნი გულ მოხსნილის კაბებით, თავზედ ეხურათ ყვავილებით მორთულნი შლიაპკები. ფანტინა იყო დახატული, სხჳა და სხჳა ტანთ საცმელში და ლენტებში ამოსჩანდნენ სტატუის მოყვანილობანი, და სტატუიაში სჩანდა ძლიერი სული.

ფანტინამ თითონაც არ იცოდა, თუ რა მშჳენიერი იყო. იმ ქალში, რომელიც გამოსულიყო სიბნელიდამ, გამოიყურებოდა მშჳნიერი მოდგმა. ის ერთსა და იგივე დროს იყო წყნარი, მორცხვი და მხიარული. ის ხშირად სჩანდა ხოლმე განკჳრვებული და ის უმანკო ხშირი განკჳრვება

შეიქმდა ხოლმე იმას ტურფათ. თუმცა ფანტინას არაფერში უარი არ უთქვამს ტოლომიესისათვის, მაგრამ განსვენებულს წამში სახე იმისი ხანდახან მიიღებდა ხოლმე სრულიად ქალწულებრივ გამოსახულებასა. ხანდისხან შეიქნებოდა ხოლმე ის დაფიქრებული და იმით გამოიხატებოდა ხოლმე იმის მშჳნიერს სახეზედ მკაცრი ღირსება.

შემდგომ საუზმისა ისინი წავიდნენ სანახავათ იმ ახლის მცენარისა, რომელიც მოეტანათ ინდოეთიდამ, და რომელსაც მიუზიდნა მთელი პარიჟის საზოგადოება.

იქიდამ ნავებით გასცურეს სენის მდინარე და შევიდნენ ქუჩითად პარიჟში.

ბოლოს დაღალულნი დასხდნენ სადილზედ. იმ დროს ტრასტირის გვერდზედ, სადაც ისინი ისხდნენ სადილათ, გამოიარა ერთმა კუჩერმა, რომელსაც წაექცა ცხენი და მოუკვდა.

--საწყალი ცხოველი, სთქვა ოხვრით ფანტინამ.

--ერთი უყურეთ რაზედ სწუხს სულელი ფანტინა, სთქვა დალიმ.

იმ დროს ფაბურიტამ დაიკრიფა გულხელი, გადაიგდო უკან თავი და შეჰყურებდა რა თვალე-

ბში ტოლომიერსა უთხრა.

--სად არის აღოქმული ფეშქეში?

--მართლათ, მიუგო ტოლომიესმა, მოვიდა სწორეთ დრო ფეშქეშებისა. მოითმინეთ რამდენიმე წამი კიდევ.

--ფეშქეშები იწყება კოცნით, წამოიძახა ბლანშელმა.

--შუბლზედა. დაუმატა ტოლომიესმა.

მაშინ თვითოეულმა აკოცა შუბლში თავის საყვარელსა და ერთი მეორის შემდგომ გავიდნენ ტრასტირიდამ.

--დიდხანს ნუ გვაცდევინებთ, შეჰსძახა მათ ფანტინამ. მერე გადაეყუდნენ ოთხნივ ფანჯარასა და უყურებდნენ თუ რა რიგათ იმათნი საყვარელნი მიიმალნენ ხალხის ხროვაში, რომელიც ყოველს კვრას დღეს ღელავს ხოლმე ელისეს ველებზედ.

--ვნახოთ რას მოგვიტანენ? ჰსთქვა ზეფინამ.

--უთუოთ კარგს რასმეს, ჰსთქვა დალიამ.

--მე მსურს ოქროს კარგი რამ ნივთი, ჰსთქვა ფავურიტამ.

იმ დროს იმათ წინ გაიარა მძიმედ დატვირთულმა დილიჟანსმა; გაჩერდა უცებ რამდენსამე

წუთსა და ბოლოს გაუდგა ისევ გზასა.

--საკვირველია! ჰსთქვა ფანტინამ, მე მეგონა რომ დილიჟანსი არაოდეს არ გაჩერდებოდა.

--რა ქალია ეს ფანტინა, ჰსთქვა ფავურიტამ, ყოველი უბრალო რამ აკვირვებს ამას. უეჭველია დილიჟანსი ხან მიდის, ხან გაჩერდება.

განვლო რაოდენმამე ხანმა და უცეფ ფავურიტამ წამოიძახა: რა იქნა ჩვენი ფეშქეშები?

--მართლათ დაგვიგვიანეს. ჰსთქვა ფავურიტამ.

როგორც ეს გაათავა ფანტინამ, იმ დროს შემოვიდა პატარა ყმაწვილი, რომელიც მსახურებდა მათ სტოლზედ. იმას ეჭირა ხელში დაბეჭდილი პაკეტი.

იმ უფალთ, თქვენთან, რომ სადილი ჰსჭამეს დასტოვეს აქ ეს პაკეტი, უთხრა მათ პატარა ბავშვმა.

--რატომ აქამდის არ მოგვიტანე შენ ეგ წიგნი? შესძახეს იმათ ერთ ხმათ ქალებმა.

--ამიტომ, რომ იმათ მიბძანეს ერთი საათის შემდგომ მოტანა ამისი თქვენთანა, ფავურიტამ გამოგლიჯა ხელიდამ წიგნი ყმაწვილსა და შენიშნა, რომ პაკეტზედ არ ეწერა ადრესი, მხოლოდ ეწე-

რა «ფეშქაშით».

მერე სასწრაფოდ გასტეხა ბეჭედი, გაშალა და დაიწყო კითხვა:

«ჩჳენო საყვარელნო!

უნდა გახსოვდეთ კარგათ, რომ ჩჳენ გვყავს მშობელნი. სიტყვა «მშობელი» თქჳენთჳს უცხოა. სჯული სამოქალაქო უწოდს მათ მამებათ და დედებათ. და აჲ ის მშობელნი მიგვიწოდენ შინა და გვთვლიან უძღების შჳლებათ და მიგველიან ჩჳენ რომ დაჰკლან ჩჳენთჳს ზვარაკი, ჩჳენც გვინდა შევასრულოთ იმათი ნება, რადგან ჩჳენა ვართ სათნო კაცნი; როდესაც თქჳენ ამ წიგნის კითხვაში იქნებით, იმ დროს ხუთი ღონიერი ცხენი გაგვაფრენს ჩჳენის დედმამებისაკენ. აჲ ეს არის მივდივართ. ტულუზის დილიჟანსმა გამოგვიხსნა ჩჳენ უფსკრულისაგან, და უფსკრული ხართ თქჳენ, ჩჳენო საყვარელნო ლამაზნო! ეს არის ჩჳენ შევდივართ საზოგადოებაში. მივდივართ წესისა და ვალდებულებისადმი. ჩჳენ სამშობლოს სურს, რომ ჩჳენც შევიქნეთ თანამდებობის კაცე-

ბათ, მამებათ და საჴელმწიფო მრჩევლებათ. გთხოვთ დაიმარხოთ ჩუჱნი პატივისცემა. გვიტიროთ რამდენიც შეიძლოთ, და ეცადეთ იშოვნოთ ჩუჱნ მაგიერი. მშჳდობით! თჳთქმის ორი წელიწადი ვზრუნავდით ჩუჱნ თქუჱნის ბედნიერებისათჳს და ამისთჳს ნუღარ გაგვიწყრებით ამ წიგნზედ.»

ქალებმა გარდახვედეს ჩუმათ ერთმანერთს. მერე მოჰყვნენ გიჟურს ხარხარსა. ფანტინა იცინოდა სხუაზედ ნაკლებსა.

ერთის საათის შემდგომ ფანტინა იჯდა თავის ოთახში და სტიროდა მოთქმით, ჩუჱნ ზევითა ვსთქჳთ, რომ იმისი სიყვარული ტოლომიერისადმი იყო პირუჱლი, ის მიენდო მას, როგორც საკუთარს მეუღლეს, და გარდა იმისა იმ საცოდავს ქალსა ჰყავდა იმისგან შჳლიცა.

## IX

მეცხრამეტე საუკუნეს დასაწყისში მახლობლად პარიჟისა მონფერმეში იყო სასაშმო, რომელიც ესლა აღარ არსებობს. იმის პატრონები იყვნენ ტენორდუნი ცოლ ქმარნი, იმ სასაშმოს წინ ერთს საღამოს ჩყიჱ-ს წელსა იდგა წინა კერძო ურმისა,

რომელსაც ხმარობდენ ტყიანს ადგილებში სქელის ფიცრებისა და გასაყრების სახიდავათ. ის წინა კერძო იყო დადგმული რკინის ღერძზედ და ორს დიდროვანს თვლებზედ, იმ ღერძს ქუდში ეკიდა მსხვილი რკინის ჯაჭვი, იმ ჯაჭვზედ იყო გაკეთებული საქანელა, რომელზედაც იჯდა ორი პატარა მშვენიერი ქალი: ერთი ორი წლის ნასხვრისა, და მეორე თვრამეტის თვისა, უფროსს ეჭირა ხელში უნცროსი ბავშვი, რამდენსამე ნაბიჯზედ იჯდა დედა იმათი და ბაწრით, რომელიცება იმ ჯაჭვზედ, აქანებდა თავის შვილებსა. იმათ ქანებაში ის იმღეროდა საკმაო ყალბის ხმით რომანსსა, რომელიც იყო მაშინ მოდათ, და არ უგდებდა ყურსა არაფერსა, რაც მოხდებოდა ქუჩაში. იმ დროს უცეფ წაადგა იმას თავზედ უცნობი ქალი და უთხრა მას:

--რა მშვენიერი შვლები გყავთ!

ქალსა, რომელმაც უთხრა ეს სიტყვები, ერთს ხელში ეჭირა მაგრათ გატენილი პარკი, და მეორეში პატარა ბავშვი. ის ბავშვი, ვარდის ფერის ლოყებით, იყო მშვენიერი დახატული არსება, რომელსაცკი კაცი წარმოიდგენს.

და თჳთ დედაკი იყო დაღონებული და ღარი-ბათ ჩაცმული. იმისი ტანთსაცმელი წარმოადგენდა რაღაც საშუალსა შორის მუშა ქალისა და გლე-ხის ცოლისა. თუმცა ის იყო ჯერ ძლიერ ყმა-წჳლი და ლამაზი, მაგრამ იმ უბრალოს ტანისა-მოსში არა სჩანდა ისრე ლამაზი. დაღალული, თითქო ნაავადმყოფარი, თვალებით, რომელშიაც დიდის ხნიდამ არ გამშრალ იყო ცრემლი, ფან-ტინას ცნობა ძნელი იყო იმ ქალში. და თუ კა-ცი ძლიერ ჩააკჳრდებოდა თვალებში დარწმუნდე-ბოდა, რომ ის ისევ მშუჱნიერი რამ იყო.

შემდგომ ღირს შესანიშნავის სუმბრობისა, ყმა-წჳლ კაცების მხრით, განვლო ათმა თვემა.

რა მოხდა იმ ათის თვის განმავლობაში, ამი-სი გამოცნობა ძნელი არ არის.

როდესაცკი ოთხმა ყმაწჳლმა კაცმა აიღეს ჴე-ლი თავიანთ საყუარლებზედ, ქალებიც მაშინვე და-იფანტნენ. ფანტინა დარჩა სრულიად მარტო, უსელ საქმოთ, 'თჳნიერ ყოვლის საშვალობისა, ცხოვრე-ბისათჳს. კითხვა იცოდა იმან მცირეთ; წერა სრუ-ლებით არ იცოდა. სიყმაწჳილეში იმას ასწავლეს მხოლოდ თჳსის სახელის მოწერა, ამისათჳს იმან

მიმართა ერთხელ საქვეყნო მწერალსა და მიაწერინა წიგნი ტოლომიესთან; პირველის წიგნის შემდგომ გაუგზავნა მეორე, მერე მესამე, მაგრამ არც ერთს წიგნზედ ტოლომიესმა არ მისცა მას პასუხი. მაშინ დარწმუნდა, რომ ტოლომიესმა სრულიად დაივიწყა ისიც და თავისი შვილიც. რა უნდა ექმნა იმას იმის შემდგომ? ფანტინა გრძნობდა ამღერეულათ რომ ის უნდა დაცემულიყო ზნეობითად, და რომ ამისთჳს გარდასწყვიტა დაბრუნება სამშობლო ქალაქში. იქ ფიქრობდა ის შოვნას ვითარიმე სამუშაოსას, მაგრამ როგორ უნდა გამოცხადებულიყო იქ თავისის ბავშვით? ფანტინა გრძნობდა მიუცილებლობასა გაეშვა თავისი შჳილი და გარდასწყვიტა შეეწირა ეს მსხვერპლი. სთქჳა რა უარი ყოველს სამკაულზედ, ჩაიცვა თითონ ჩითის კაბა, და ყოველი თავისი ფარჩეულება, ლენტი თუ კრუჟავა გარდასწყვიტა მოეხმარებინა თავისს მვირფასს უმანკო ასულზედ. განყიდა რა ყოველივე რისაცკი შეიძლებოდა განსყიდვა, ფანტინამ მოაგროვა ორასი ფრანკი, გარდასწყვიტა თავისი ვალები და დანარჩენის ოთხმოცის ფრანკით მან დაუტევა ერთს შემოდგომის დილას პარიჟი.

ველიკს ტოლომიესზედ ჩვენ აღარ შეგვხვდება ლაპარაკი და ამისთჳს სისრულისათჳს ჩვენის მოთხრობისა ჩვენ აქ დაუმატოთ, რომ ოცის წლის შემდგომ ის, ლუი ფილიპპე კოროლის დროს, იყო მდიდარი მაზრის ადვოკატი, (მოსარჩლე მოჩივართა) მაგრამ უწინდებულათ კაცი ამაო და კმაყოფილების მიმდევნი.

შუადღის დროს ფანტინამ მიაწია მონფერმეიში. როდესაც იმან დაინახა ტენროდიეს სახამესთან ის მშვენიერი ორი პატარა ბავშვი, შესდგა, დაუწყომათ აღტაცებით ყურება და ფიქრობდა, რომ უთოვოთ თჳთ განგებულებამ მიიყვანა ის იმ სახლთან. ბავშები იყვნენ მლიერ მხიარულნი, და ფანტინამაც ველარ მოითმინა, რომ არ ეთქუა: ოჰ რა მშვენიერი ყმაწვილები გყავსთ!

თჳთ სასტიკნი არსებანი საჭურველ მისდილ იქმნებიან ხოლმე, როდესაც სხუანი ქალერსებიან იმათ შჳლებსა.

დედამ პატარა ბავშვებისამ აიღო მაღლა თავი, უთხრა მადლობა უცნობს ქალსა და სთხოვა დაჯდომა სკამზედ. ფანტინა დაჯდა. იმათში ჩამოვარდა ლაპარაკი:

—მე მიმახიან უ. ტენორდიეს, უთხრა ფანტინას ქალმა. ჩვენა ვართ ამ სახამმოს პატრონები.

ის იყო ქალი ქერა, მსუქანი, უჯიმშო, სალდათის ცოლი. მაგრამ საკვრველი იყო ისა, რომ იმ სალდათის ცოლსა ჰქონდა სახე ამპარტავნული, იმისთჳს რომ ის კითხულობდა რომანებსა. თუ რომ იმ დროს ტენორდიე ამდგარიყო ფეხზედ, უეჭველია იმისი მაღალი ტანი, განიერი ბეჭები და საზოგადოდ მისი უზარმაზარი მოყვანილება შეაშინებდა ფანტინას ისე, რომ ის აღარ მოსდებოდა, რაც რომ ჩვენ აქ უნდა აღვწეროთ. ფანტინამ უამბო იმას თავისი ისტორია ცოტა შეცვლილათ: ესე იგი, რომ ის იყო სამუშაოზედ, რომ იმას მოუკვდა ქმარი, რომ მან ვეღარა იშოვნა რა ხელ საქმე, და ამისთჳს მიდის შინ; რომ მან დაუტევა პარიჟი იმავ დღეს დილით, გამოვიდა ქვეითათ, რომ იმისმა ბავშმაც იარა ქვეითათ ვინემ დაიღალებოდა, და როდესაც ვეღარ შესძლო იმან აიყვანა ის ხელში.

როდესაც დაასრულა ეს ამბავი, აკოცა ძლიერათ თავის ქალსა და გამოაღვიძა. ყმაწჳლმა გაახილა თავისი მსხვილი ცისფერი თვალები და

დაიწყო აქეთ იქეთ ყურება. მერე გადასტა ძედის მუხლიდამ და გაიქცა საქანელისაკენ, სადაც ორი ტენორდიეს ქალები ქანაობდნენ. მაშინ ძედა იმათ-იც მივიდა იმათთან, დაუშვა მირსა ორნავ და უთხრა: ითამაშეთ ახლა სამთავემ!

ბავშები ჩქარა დამეგობრდნენ და მეგობრულათ დაუწყეს მიწას ჩიჩქნა. რა ჰქჳან თქჳენს ქალსა? ჰკითხა ფანტინას ტენორდიემ.

--კაზეტტა.

--რამდენის წლისაა?

--მესამეში სდგას.

--ჩემი უფროსი ქალის ხნისა ყოფილა, უთხრა ტენორდიეს ცოლმა, რომ შეხედოს კაცმა იმათ, განაგრძო მან, იფიქრებს რომ ისინი სამნივ დები არიან.

თითქო იმ თქმას ელოდა ფანტინა, მან სტაცა ტენორდიეს ცოლს ხელში, დაუწყო თვალებში ყუ--რება და უთხრა:

--არ 'გინდათ რომ მიიბაროთ თქჳენთან ჩემი ქალი? თქჳენ თითონ ხედავთ ჩემს გარემოებას, მე არ შემიძლიან წაყვანა შინ მაგ ბავშვისა, მე ეგ დამაბრკოლებს ჩემს სამუშაოში, იქ ბავშვიანი

ქალი ალაგს ძნელათ იშოვნის, იქ იმ ნაირი ხალხია. მე მგონია თჳთ ღმერთმა მომასწავლა თქჳენი სახამდე. როდესაც მე დავინახე თქჳენი მშჳენიერი პატარა ქალები, ისე ხუმარანი და მხიარულნი, მე ვსთქჳ: ნეტავი თქჳენს დედასა მეთქი. თქჳენ მართალი ბრძანებთ რომ ასენი დებსა ჰგვანან, აბა რას მეტყვით: მაიბარებთ თუ არა?

--უნდა ვიფიქროთ, სთქჳა ტენორდიემ.

--მე მოგცემთ თქჳენ ექჳსს ფრანკსა თვეში, უთხრა ფანტინამ.

იმ დროს შიგნითი ოთახიდამ გამოიძახა ვი-ღაცამ; არა, თვეში შჳდი ფრანკი და ექჳსის თვის წინ და წინ თუ გინდა.

--ექჳსჯერ შჳდი ორმოცდა ორი ფრანკი: სთქჳა ტენორდიეს ცოლმა, თანახმა ხართ?

--თანახმა ვარ. მიუგო ფანტინამ.

იმას გარდა თუთხმეტი ფრანკიც პირველ და-საწყისის ხარჯათ გამოიძახა კიდევ კაცის ხმამ.

--კარგი. გაძლევთ ამასაც. უთხრა ფანტინამ. რაც ფული დამრჩება მე ის მეყოფა ჩჳენ ქალა-ქამდინ და როგორცკი ვიშოვნი ფულებსა, მაშინ-

ვე მიუბოდა ყმაწვილის სანოვაგანით.

იმ დროს მოესმა კიდევ კაცის ხმა:

—მაგიერ რომ საკმაოთ აქვს ტანთსაცმელი?

—ეს ჩემი ქმარია, რომ გამოიძახის, უთხრა ტენორდიემ.

მეც მივხვდი, რომ ის თქვენი ქმარია, უთხრა მას ფანტინამ. შეჩვეულია, დაუმატა მან, რომ ჩემს ქალს საკმაოთ აქვს ყველაფერი ტანისამოსი და საცვალი. ჩემს კაზეტტას ასე გასინჯე ფარჩის კაბებიც აქვს, როგორც დიდის კაცის ქალსა. ის ყველა იმისი ტანისამოსი, მე მაქვს შენახული ბარგში.

ისინი ყველა აქ უნდა დაუგდო, გამოიძახა კიდევ კაცმა, და თითონაც გამოვიდა იმ დროს.

უეჭველია აქ დაუგდებ, მაშ როგორ იფიქრეთ, რომ მე ჩემს ქალს ტიტველს გაუშვებდი.

ამ სახით გათავდა იმათში ვაჭრობა. ფანტინამ გაათია იმათთან ის ღამე, მისცა მეორეს დღეს ფული, ჩააბარა შვილი, დასცალა თავისი ბარგი და გაუდგა გზასა; იმას ჰირჩვლათ ადვილი ეგონა შვილის დაშორება, მაგრამ ტენორდის შეგირდი შემოეყარა იმას გზაში და ნახა რა რიგათ იღვ-

რებოდა ცრემლით საწყალი დედა, საცოდავს შვილზედ.

როდესაც ფანტინა წავიდა, მაშინ ქმარმა უთხრა თავის ცოლსა; ეს მალიან კარგი საქმე შეასრული შენა. ჩემთჳს სწორეთ ორმოცდა ათი ფრანკი იყო საჭირო, რომ ამომეგო ჩემი საჩივარი.

მართალია იმ ფულით ტენორდიემ მოიგო თავისი საჩივარი, მაგრამ მაინც იმისი საქმე მოდიოდა მლიერ ცუდად. შემდგომს თვეში მას დასჭირდა ფული და ტენორდიეს ცოლმა დააგირავა ტანისამოსი კაზეტტასი ორმოც ფრანკში.

როდესაც ის ფულიც დასარჯეს, იმათ ეგონათ, რომ ბავშვს ინახავდნენ მოწყალების გულისათჳს და ეპყრობოდენ სრულიად სხუა რიგათ. ნაცვლად საკუთარის ტანთსაცმელისა, იმას ჩააცვეს თავისის ქალების გამონაცვლები. იმას აძლევდნენ საჭმელს რაც გადარჩებოდათ სადილ ვახშამზედ, ესე იგი ზრდიდენ როგორც კატასა.

ფანტინა სწერდა ყოველს თვეში წიგნსა და აძლევდნენ მას პასუხსა, რომ იმისი კაზეტტა მალიან კარგათ არის.

ერთის წლის შემდგომ ნაცვლად შვიდის ფრან-

კისა ტენორდიემა მოსთხოვა ფანტინას თვეში თორმეტი ფრანკი. ფანტინამ დაუწყო გზავნა თორმეტის ფრანკისა.

არიან იმისთანა კაცნი, რომელთაც ერთის მხრით აქჳსთ სიყჳარული და მეორეს მხრით სიძულვილი. ტენორდიეს ცოლს უყვარდა თავისი შვილები ძლიერათ, სცხოვლებდა და სძულდა იმავ დროს სხვის შვილი. თუმცა ძლიერ მცირედი ადგილი ეჭირა იმათ სახლში კაზეტტას, მაგრამ იმას ეგონა მაინც, რომ ის ართმევდა, ის აიწროებდა იმის შვილებსა. იმ ქალს ჰქონდა საკმაო ალერსი, მაგრამ იცოდა საკმაო ცემა და შეურაცყოფაც. თუ რომ იმათთან არ ყოფილიყო სხვის შვილი, უეჭველია, რომ ნაწილი ცემისაც და შეურაცხყოფისაც ერგებოდათ ხანდისხან იმის ორს შვილსაც, ახლა კი ყოველი ალერსი იმისი იყო მიქცეული საკუთარს შვილებზედ და ყოველი უსამართლო სასჯელი სხვისა შვილებზედ.

ამ რიგათ განვლო ორმა წელიწადმა. იმ ქალაქში ლაპარაკობდნენ შესახებ სხვის შვილისა, აი რასა:

--„რა პატიოსანნი ხალხნი არიან ეს ტენორდიები, თვითონ ლუკმა უჭირსთ და კიდევ სხვის

შჳლსაც ინახვენ.»

ეგონათ კიდეც რომ დედას, ვითომც სრულიად აღარ ახსოვდა თავისი კაზეტტა.

ბოლოს ტენორდიეთ როგორღაც შეიტყვეს, რომ კაზეტტა იყო უკანონოთ შობილი და ამისთჳს დედა იმისი ვერა ბედავდა იმის გამოჩენას; ისარგებლეს ამით და მოსთხოვეს ფანტინას თვეში თუთხმეტი ფრანკი. დედა უგზავნიდა თვეში თუთხმეტს ფრანკსა. ყოველ წლივ კაზეტტა იზრდებოდა და იმასთანავე იზრდებოდა იმის სიღარიბეც. ვინემ კაზეტტა იყო ძლიერ პატარა, იმას ეპყრობოდნენ უპატიურათ, და როდესაც შეიქნა ხუთის წლის, ისიყო იმათი მოახლე. «ხუთის წლისა და მოახლე შეუძლებელია» იტყვიან მრავალნი, მაგრამ სწორეთ ეს მართალია.

კაზეტტას აცვევინებდენ ოთახებსა, იმას აწმენდინებდენ ჭურჭელსა. თუ რომ იმდროს ის შეჰყროდა უცევ თავის დედასა, უეჭველია დედა ვერ იცნობდა თავის მშვენიერს კაზეტტას; ეს პატარა მშვენიერი არსება, გახდა, დაჭკნა, ის დააუძლურეს, შეაშინეს, იმ სოფელში მას უძახდენ ტოროლასა, მხოლოდ ეს კი იყო, რომ ის ტოროლა არაოდეს არა გალობდა. ტენორდიენი უწოდენ მას ქვეშ ქვეშას.

## X

რასა შვებოდა ფანტინა იმ დროს?

დასტოვა რა თავისი პატარა ქალი ტენორდიეხთან, თჳთონ წავიდა ქვეითად ქალაქს მარწყელში. ეს იყო ჩყიჲ წელსა.

გავიდა ათი წელიწადი რაც ფანტინას არ ენახა თავის სამშობლო ქალაქი. იმ დროს, როდე-საც ის შედიოდა სიღარიბეში, მისი სამშობლო მდიდრდებოდა ყოველ წლივ და უკანასკნელს ორს წელიწადში შეიქმნა ჩინებული მოვაჭრე ქალაქთაგანი.

დიდის ხნიდგან იმ ქალაქში იყო ფაბრიკები შავის მინისა. ამის გაჭრობა პირველათ არ იყო ერთობ სასარგებლო, რადგან ის ფაბრიკები ხმარობდენ საქმეში ერთობ მვირფასს მასალებსა. მაგრამ ჩყი-სა წელში ერთი უცნობი კაცი დაესახლა იმ ქალაქში და თავისის ჭკუით და გამოცდილებით შესცვალა უწინდელი მასალები, რომლითაც მოახდინა დიდი ცვლილება ფაბრიკების წარმოებაში. ამით დაამცირა ფასი საზრდოსი, მოუმატა ქირა მუშებთა, განავე-თილა წარმოება ფაბრიკებისა, და განამრავლა მა-თი გასყიდვა.

სამის წლის წარმავლობაში თჳთ მომგონიც გა-
მდიდრდა და ისინიც გაამდიდრა, ვისაც იმასთან
ჰქონდა საქმე. მაგრამ ვინ იყო ის უცნობი კაცი?
ეს არავინ იცოდა; იცოდნენ მხოლოდ ისა, რომ
როდესაც ის მივიდა იმ ქალაქში, იმას ჰქონდა
მაშინ მალიან ცოტა ფული; რომ იმ საღამოს,
როდესაც ის შევიდა ქალაქში და ეკიდა ტომარა
ზურგზედ, და ჯოხი ეჭირა ჴელში, გაჩნდა ცეც-
ხლი პოლიციაში. მაშინ ის ჩავარდა პოლიციაში
და ჩააგდო რა თავი ცხადს სიფათში, გამოიყ-
ვანა ორი პატარა ბავშვი, რომელიც, როგორც
ბოლოს აღმოჩნდა, იყვნენ ჟანდარმების კაპიტნის
შვილები, ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ იმას
არავინ მოსთხოვა არა ვითარი პასპორტი. თჳთ
ის უწოდდა თავის თავსა ბიმია მადელენათ. ეს
იყო კაცი ორმოცდა ათის წლისა, რაღაც ნაი-
რის მესედულობისა, კეთილი. აი ამის მეტს
კაცი ვერას იტყოდა. მარსელის ქალაქმა უცებ
გამართა აღებ მიცემობა ისპანიასა, ლონდონსა
და ბერლინთან. მოგება ბიმია მადელენისა იყო
ისეთი დიდი, რომ მეორე წელიწადს მან ააშენა
დიდი ფაბრიკა. იმაში მოაწყო მან ორი სახე-

ლოჟნი, ერთი კაცებისა და მეორე ქალებისათჳს. ყოველს კაცს, ვინცკი საჭიროებდა, შეეძლო გაბედულათ მისულიყო იქ სამუშაოთ, და იყო დარწმუნებული, რომ იშოვნიდა იქ საქმესაც და საზრდოსაც. მხოლოდ ბიმია მადენელი ითხოვდა იქ მიმსვლელთაგან პატიოსნებასა და კეთილ ზნეობასა; ამ შემთხვევაში ის იყო თჳთქმის სასტიკი ულმობელი. მადლენის იქ დასახლებიდგან, ის მხარე სრულიად გაცოცხლდა: აღარ იყო სრულიად იმ არემარეში აღარც ერთი გლახაკი, რომელსაც არა ჰქონოდა მცირედი მაინც ფული. ბიმია მადელენი აძლევდა ყოველს კაცს სამუშაოსა.

მადელენში იყო ერთი რამ საკჳრველი თჳსება, რომელიც არ იშოვება არა ვითარს ვაჭარს კაცში. აღებმიცემობა არ შეადგენდა მისთჳს უმთავრესს საგანს მისის მზრუნველობისას, ის ფიქრობდა უმეტეს სხჳსთათჳს, ვინემ თავის თავზედ. ჩყკ-სა წელში იმის სახელზედ იყო ბანკირს ლაფიტთან ექუსას ოცდა ათი ათასი ფრანკი, მაგრამ ვინემ ის შეჰკრებდა იმ ფულსა, მან დახარჯა ქალაქსა და ღარიბებზედ უმეტეს მილლიონის ფრანკისა.

პირუელათ, როდესაც მადენელმა იმ ქალაქში დაიწო აღებმიცემობა, კეთილნი კაცნი იძახდნენ: «ამ ბატონს გამდიდრება სურს.» მაგრამ, როდესაც მან განამდიდრა მხარე, ვინემ თითონ გამდიდრ-დებოდა, ისევ ის კეთილნი კაცნი ამბობდნენ: «ოჴ, ეს კაცი პატივის მოყვარე უნდა იყოს.» ეს ეჩუენებოდათ მით უმეტეს ჭეშმარიტად, რომ მა-დელენი იყო ღუთის მოყვარე, და ყოველს კჳ-რაში ის დადიოდა წირვაზედ.

ჩყით-სა წელში, გავარდა კმა, რომ პრეფექტის წარდგინებით მადელენი, პატივსადებლად ღირს შესანი-შნავთა სამსახურთა აღმორჩენილთა მის მიერ მხარისთჳს დაინიშნა იმ ქალაქის მერათ. იმათ, ვინც უწინ იძახდენ, რომ მადელენი პატივის მოყვარეაო, ისარ-გებლეს ამ შემთხვევით და ყველგან ყჳროდნენ; «აი, აკი ვანბობდით ჩუენა, რომ მადელენი პა-ტივის მოყვარეაო, მართალი გამოდგა თუ არა?» რაოდენისამე დღის შემდგომ მართლათ მონიტერის გაზეთში წაიკითხეს ის დანიშნულება მადელენისა მაგრამ მეორეს დღესვე მან უარი სთქუა იმ და-ნიშნულებაზედ.

ამავ წელიწადს მადელენის ფაბრიკის ნაწარ-

მოებანი იყვნენ ვისტავკაზედ. ვისტავკის ზედამხედველთ წარდგინებით კაროლმა უბოძა მადელენს კავალერი, ჰონეტნის ლეგიონისა. ამაზედ დაიწყეს კელ-ახლათ ლაპარაკი ქალაქში: «აი, თურმე რას ემებდა უ. მადელენი! ჯვარი ნდომია!» მადელენმა უარ ჰყო ჯვარიცა.

უეჭველია ამ გვარი კაცი შეიქნებოდა ყველასთჳს გამოცანათ.

როდესაც ის გამდიდრდა, კაცნი უმაღლესის საზოგადოებისა უწოდნენ მას უფ. მადელენათ, მუშები და ბავშვები უძახდენ მას უწინდებულათ: ბიძია მადელენსა; ჩუკ-სა წელსა, ესე იგი ხუთის წლის შემდგომ იმისის აქ დასახლებისა, ნამსახურებანი და ღვაწლნი მადელენისა აღმოჩნდნენ ისე ღირს შესანიშნავნი, რომ კაროლმა დანიშნა ის კელახლათ მერათ. მადელენმა ამაზედ კელახლად უარი სთქუა, მაგრამ პრეფექტმა არ მიიღო იმისგან არზა უარის ყოფისა, გარდა ამისა მთელი კეთილშობილთ საზოგადოება მივიდა და სთხოვა მას, რომ მიეღო ის ხარისხი; და ეგრეთვე მთელი ქალაქის მცხოვრებნი მივიდნენ იმაზედ შესახუეწნათ. მეტი ღონე აღარ იყო, მადელენი და-

თანხმა.

მაგრამ იმ ახალს წოდებაშიაც მადელუნმა დაიცვა სიმარტივე უწინდელის ცხოვრებისა. გარეშე სამსახურის საქმეთა ის სცხოვრებდა მარტოობაში; სჭამდა სადილსა მარტო და სადილის ჭამაში კითხულობდა წიგნსა; იმას უყვარდა წიგნები და ჰქონდა ბიბლიოტეკა ამორჩეულის წიგნებისა, ყოველს დროს ის ხმარობდა კითხვაზედ. ყოველ წლივ ენა მისი (ესე იგი ლაპარაკი) შეიქნებოდა თავაზიანი, წყნარი და ჩინებული.

იმის კმაყოფილება მდგომარეობდა იმაში, რომ ხანდისხან წავიდოდა ხოლმე მინდორში სასეირნოთ, მას ჰქონდა თან სანადირო თოფი; ის ესროდა ხოლმე, თუმცა იშვიათათ, გარნა მარჯვეთ; არაოდეს ის არ ესროდა უვნებელს ცხოველსა ანუ პატარა ფრინველსა. მადელუნი თუმცა არ იყო ყმაწვილი, მაგრამ იყო მალიან ღონიერი, სადაც მოითხოვდა საჭიროება, იქ იმას შეეძლო აეწია ცხენი, გამოეთრია მთელი დატვირთული ურემი ტალახიდამ, ეტაცნა ხარისთვის რქაში ხელი და გაეჩერებინა. ფიქრობდნენ, რომ მადელუნი უნდა ყოფილიყო სოფლის მცხოვრები, ამისთვის, რომ

იცოდა მრავალი სასოფლო, სამეურნეო საიდუმ-
ლოები, რომელსაც ის ასწავლიდა გლეხ კაცთა.
ერთხელ იმან ნახა რომ გლეხკაცთ მოეგ-
როვებინათ გამხმარი ჭინჭარი და სთქვა: არ
იციან რა სარგებლობა წარმოსდგება ჭინჭრიდამ:
როდესაც ჭინჭარი არის ახალ ნორჩი, მაშინ ის
არის გემრიელი საჭმელი, როდესაც ის ბერდება,
მაშინ იმას გაუჩნდება მაყის მსგავსი ფესვი, რო-
გორც კანაფისა ანუ სელისა. ჭინჭრისაგან გაკეთე-
ბული ტილო არ დაუვარდება კანაფის ტილოსა,
ჭინჭარი წვრილათ დაკუწვილი შეადგენს მშჳჱნი-
ერს საკვებსა მფრინველთათჳს, ხოლო დაფქული
საკვებს, საქონელთათჳს. თესლი ჭინჭრისა არეუ-
ლი ჩჳჱულებითს საკვებში აძლევს ელვარებას
შინაურთ ცხოველთ ბეწვსა, ხოლო ფესჳ ჭინჭ-
რისა, გალესილი მარილთან აძლევს მშჳჱნიერს
ყჳთელს საღებავს, და დასასრულ ის არის
მშჳჱნიერი თივა, რომლისაც მოთიბვა შეიძლება
წელიწადში ორჯელ. მერე რა არის იმისთჳს
საჭირო? მცირედი მიწა და არა ვითარი ზრუნ-
ვა, მაგრამ რადგან იმას არავინ უგდებს ყურსა,
ამისთჳს შეიქმნა მავნებელი. მაშინ კაცნი დაუწ-

ეებენ ხოლმე მას ამოფხვრასა. როგორა ჰგავს კაცი ჭინჭარსა! შემდგომ მცირედის ხნის და-ჩუმებისა. «მეგობარნო ჩემნო! გახსოვდეთ, რომ არ არის ქვეყანაზედ არც ცუდი მცენარე, არც ცუდი კაცი. დამნაშავენი არიან იმათ სიცუდეში ის კაცნი, რომელნიც მათ უვლიან.»

მადლენ შვებოდა მრავალს კეთილს საქმესა, მაგრამ საიდუმლოთ და დამალულათ; ის ხშირათ შეიპარებოდა ჩუმათ საწყლების სახლებში რომ აღმოეჩინა მათ თჳს შემწეობა იმ დროს, როდესაც ისინი შინ არ იყვნენ ხოლმე. მობრუნე-ბულნი სახლში საწყლები პირველათ იცემდნენ თავში, როდესაც ნახევდნენ ხოლმე კარს გაღებულსა: ეგონათ რა სახლი გაქურდვილი, მაგრამ შესულნი ოთახში ჰპოებდნენ ვიღასგანაც სტოლზედ დადებულს რამდენსამე ოქროსა, და მაშინ ისინი ლოცავდნენ უხილავს კეთილის მყოფსა. რომელნიმე მოქალაქე-თაგანნი რაცხდნენ მადლენსა რაღაც საიდუმლო კაცად, ისინი ამტკიცებდნენ რომ ვითომც მადლენი არავის არ უშვებდეს თავის სახლში, რომ ვითომც იმისი ოთახი ჰგავდეს განდეგილის სენაკსა, მორ-თულს მკუდარის კაცების ძვლებით და თავებითა.

ამაზედ იყო ისე მრავალი ლაპარაკი, რომ რომელთამე ემაწვილთ კეკლუცთ ქალებთა სთხოვეს ერთხელ იმას მიეცა მათ თჳს ნება იმისის ოთახის განსინჯვისა. მან მისცა მაშინვე ნება. ქალები იყვნენ დასჯილნი თავისს უადგილო გამომიების მოყვარებაში მით, რომ მათ ჰპოვეს ჩვეულებითი ოთახი, მორთული უბრალოს წითელს სის მებელით, რომელსაც ჰქონდა გადაკრული იაფი ფასის ჩითი. გარდა ამისა ბუხარზედ ედგა ორი დიდი ვეცხლის შანდანი. აი ყოველივე, რაც ნახეს ქალებმა.

მერე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ვითომც მადელენს ჰქონდეს მიბარებული ბანკირს ლაფიტთან რამდენიმე მილლიონი, მაშინ, როდესაც ჩუჱნ ვიცით, იმას ჰქონდა იმასთან მიბარებული მხოლოდ ექვსას ორმოცი ათასი ფრანკი.

ჩჲკა-სა წელში გაზეთებმა გამოაცხადეს სიკვდილი მირიელ ეპისკოპოზისა· მეორეს დღესვე მადელენმა ჩაიცვა შავები.
მაშინ ქალაქმა გარდასწყვიტეს, რომ სწორეთ ის უნდა იყოს შორი ნათესავი ეპისკოპოზისა. ერთხელ ერთმა დიდის საზოგადოების ქალმა ჰკითხა იმას:

--თქუჱნ უთოვოთ ბიძაშჳლი უნდა იყოთ

სვენებულის ეპისკოპოზისა?

--არა, მიუგო მადლენმა.

--მაშ რათა ხართ მგლოვიარეთ, თალხებით?

--როდესაც პატარა ვიყავი, მე ვმსახურებდი ეპისკოპოზის სახლში მოსამსახურეთ. მიუგო მადლენმა. გარდა ამისა ყოველთჳს როდესაც ქალაქში გამოცხადდებოდა ვინმე პატარა ბავშვი სავოიიდამ, მაშინვე დაუძახებდა მადლენი, კითხავდა სახელსა და აძლევდა ფულსა. პატარა სავოიარები უანბობდნენ ამ ანბავს ერთი მეორესა და მიდიოდნენ ხოლმე ხშირად ხროვით უ. მადლენთან.

## XI

ცოტ ცოტათ ყოველი ლაპარაკი და ჭორები მადლენზედ დასცხრენ და სახელი იმისი შეიქნა საგნათ საზოგადოს პატივისცემისა. ჩყკა-სა წელსა, საკელი იმისი ისმენებოდა თჳთქმის ისე, როგორც ჩყიე-სა წელში სახელი ეპისკოპოზის მირიელისა. ასის ვერსტიდამ მოდიოდნენ მადლენთან რჩევისათჳს, ის გარდასწყჳეტდა მრავალს სადაოს საქმესა, შეარიგებდა უთანხმოთა, ყოველი

კაცი მიმართავდა მას, ვითარცა მრჩეველსა და მსაჯულსა.

მხოლოდ ერთი კაცი ქვეყანაზედ არ ემორჩილებოდა იმის კეთილ მოქმედებასა და ვითარიღაც განუსაზღვრელი, უანგარიშო და ცნოვლური ინსტინკტი იწყრობდა მას მტრად მღვდელნისა.

როდესაც მღვდელნი გაივლიდა ხოლმე ქუჩაში, ხალხი დავალებული მისგან, ყოვლის მხრიდამ უთვლიდა მას კურთხევასა, მხოლოდ ერთი კაცი წახვეული ფოლადის ფერს პალაშჩში, შეჭმუხვნილი მსხვილის ჯოხით, უყურებდა მას სრულიად სხვა რიგის გრძნობით და გულხელ დაკრეფილი ბუტბუტებდა თავისთვის: «ვინ, და საიდამ უნდა იყოს ეს საიდუმლო კაცი, რომელსაც უმხიან მღვდელნსა? მე სადღაც უნდა მენახოს ეს კაცი. ყოველს შემთხვევაში მე ეს ვერ მომატყუებს!»

ის კაცი იყო ჟოვერი. ის მსახურებდა პოლიციაში, ჰქონდა ძლიერ მნელი თანამდებობა ინსპეკტორისა. როდესაც ჟოვერი მივიდა მარსელის ქალაქში, ის ქალაქი იყო დიდს წარ-

მატებაში და კეთილ დღეობაში, რომლისაც მიზეზი იყო მადელენი, რომელსაც იმ დროს, ვითარცა მერსა უმასხდენ უ. მადელენსა.

ქოვერი დაიბადა ჰადნების საპყრობილეში მკითხავის ქალისაგან. როდესაც მოიზარდა, ის ფიქრობდა, რომ ის სდგას საზოგადოხ წრეს გარეთ, და კარგავდა იმედს ა რომ როდისმე ის შესულიყო საერო საზოგადოების რიცხვში. მან შენიშნა, რომ საზოგადოება ერიდება ორის სორტის ხალხსა: ესე იგი მათ, რომელნიც ავნებენ საზოგადოებას, და მათ, რომელნიც იცვენ მათ. ქოვერი ვერა ხედავდა სხუა გზასა გარდა ამათსა, და გრძნობდა რა თავის თავში პატიოსნებასა, სიმტკიცესა, და სიძულილს ბოშის მოდგმისას, რომლისაგანაც ის თითონ სწარმოებდა, ქოვერ განისწესდა პოლიციაში; იქ იწყო ისე ბედნიერათ სამსახური, რომ ორმოცის წლისა როდესაც შეიქნა, მისცეს ინსპეკტორობა.

სახის მეტყველობა ქოვერისა იყო ღირს შესანიშნავი: ცხჳრ მოკლე, საშინელის დიდის ცხჳრის ნესტოებით, საშინელის ბაკიმბარდებით. როდესაც გაიცინებდა, რომელიც მოსდებოდა ხო-

ლმე ძლიერ იშჯათათ, მაშინ მას გამოუჩნდებოდა სოლმე არათუ კბილები, არამედ ღმილებიც. გარდა ამისა მას ჰქონდა შუბლი პატარა, შესხედულობა ბნელი, მომკვლელი.

ეს კაცი განასორციელებდა თავის თავის ორს გრძნობას: პატივისცემას უმაღლესის მართებლობისას და სიძულილს აღრეულებისას. იმის თვალში, ქურდობა, კაცის-კვლა და სხვა გარდასხდომილება იყვნენ ნაწილნი აღრეულებისა, ანუ შფოთისა, ყოველი რასაცკი ჰქონდა მართებლობის თანამდებობა, მოყოლებული მინისტრიდამ უკანასკნელ სტოროჟამდინ, სარგებლობდა მისგან განუსაზღვრელის სარწმუნოებით და პატივის ცემით. იმისი ხშირი სათქმელი იყო ხოლმე: «ჩინოვნიკი არაოდეს არ შესცდება.» და თუ ვისმე ერთხელაც არის დაერღჯა სჯული, ის იყო იმის ჰაზრით საუკუნოთ დალუპვილი; იმის ფიქრით იმ გვარის კაცის გამოცვლა ანუ განკეთილება შეუძლებელი იყო. და აი ეს საშინელი კაცი არაოდეს არ აშორვებდა მადელენს თვალსა, მადელენმა ბოლოს შენიშნა ესა, მაგრამ არ უგდებდა ყურსა. ის არც ერიდებოდა იმას და არც ცდილობდა ხში-

რათ იმასთან შეერასა, და ეპყრობოდა იმასაც ისე, როგორც სხვებსა, თავაზით და კეთილ სულობით.

ზოგიერთს ქოვერის სიტყვდან სჩანდა, რომ ის ემებდა კვალსა უწინდელის მადლენის ცხოვრებისას: ერთხელ მოჰკრეს ქოვერს ყური, რომ ის თავისთჳს ბუტბუტებდა: «მგონია კელში მყავს მე ეს უფალი;» მერე იმის შემდგომ სამდღეს ქოვერ დადიოდა ერთობ დაფიქრებული, ეტყობოდა რომ ძაფი გამოძიებისა, რომელიც მას უწინ კელში ეჭირა, გასწყჳტოდა.

ქოვერს აწუხებდა სრული გასვენებული სახე მადლენისა; მეტადრე ერთხელ მან აწარმოვა საკუთარი მოქმედება ქოვერის კელში, აი რა შემთხვევის გამო.

ერთხელ მადლენი მიდიოდა ერთს მოუკიწყლავს ქუჩაში, და გაიგონა რაღაც ხმიანობა; როდესაც მიახლოვდა ხალხის ხროვას, მან შენიშნა, რომ მოხუცებული კაცი სახელათ ფაშლევანი იყო ურემს ქჳეშ მოტანებული,

სცადეს როგორმე გამოეთრიათ, მაგრამ ვერ შესძლეს. მცირედი გაუფრთხილებლობა შველისა,

დროს უღუპავდა საცოდავს მოხუცსა. ერთი ღონისძიება იყო დარჩენილი იმის საშველათ,--საჭირო იყო, რომ მირიდამ ვისმეს აეწია ურემის ღერძი. ჟოვერი გაჩნდა იმ დროს იქა და გაგზავნა კაცები ჯოხებზედ, რომლითაც უნდოდათ აეწიათ ღერძი. იმ დროს მოვიდა იქ მადლენიც.

--მიშველეთ! იძახდა ფაშლევანი.-- ნუთუ არავინ გამოჩნდება თქჳენში, რომ დაიხსნას სიკჳდილისაგან საწყალი მოხუცი?

მადლენი მიუბრუნდა ხალხსა:

--იშოება აქა კეტები თუ არა?

--გაგზავნეს მოსატანათ, მიუგო ერთმა გლეხმა კაცმა.

--მალე მოიტანენ?

--ერთი რუბის განმავლობაში. მიუგეს მას.

--ერთი რუბი, სთქჳა თავისთჳს მადლენმა. და ურემი უფრო და უფრო ღრმათ ჩადიოდა ტალახში და აწვებოდა მოხუცს; ხუთს წამში მას სრულიად გასრესდა.

--თხუთმეტს წამს ცდა არ შეიძლება, სთქჳა მადენელმა ხომ ხედავთ. რომ ეგ საცოდავი იღუპვის. გამიგონეთ ძმანო, განაგრძო მადლენმა,

ურემ ქჳჩამ ადგილი კიდევ არის ჯერა. თუ ვინმე გაბედავს, შევა ტალახში და შეუდგამს ზურგს და გადაარჩენს ამ საცოდავს მოხუცს, მე ვაძლევ იმას ხუთ თუმანს.

ყველა ჩუმათ იყო.

ვაძლევ ათ თუმანსა, აბა ვის უნდა? ყველამ ძირს დაიწყო ყურება: ერთმა წაიბუტბუტა: ემმა-კის მალა უნდა ჰქონდეს იმის მშჳწლელს; მშჳწ-ლელს თითონ მოელის აუცილებელი სიფათი.

ვაძლევ ოც თუმანს, დაიყჳრა მაღლა მადელე-ნმა.

კიდევ ჩუმათ იყვნენ.

აქ ფულის საქმე არ არის, სთქჳა ერთმა, არამედ ღონისა; საშინელი ღონის პატრონი უნდა იყოს ამ კაცის მშველელი; ეს სიტყვები სთქჳა, ჟოვერმა. მერე დაუწყო რა დაკჳრვებით ყურება მადელენისა, განაგრძო ისევ ჟოვერმა; უ. მადელენ მე ვიცნობდი ერთს კაცს, რომელსაც შეეძლო იმის შესრულება, რასაც თქჳენ ეხლა ითხოვთ. ის იყო კატორჟნიკი ტულონის საპყრობილეში.

მადელენს წაუვიდა ფერი.

ამ ლაპარაკში ურემი უფრო და უფრო ეფლო-

ბოდა; ფაშლევან ხრინწიანის ხმით იძახდა: მიშველეთ! ეს არის დამამტვრია! მაშინ მადელენმა გადახედა ხალხსა და მოუვიდა საწყალო ღიმილი. მერე ხმა ამოუღებლად დაეცა მუხლზედ, და ვინემ ხალხი მოასწრებდა ხმის ამოღებას, ის გაჩნდა ურემს ქუეშ.

თჳთქმის გაშოტვილი ტალახში, ცდილობდა მუხლი მუხლთან მიეტანა. მას ყოვლის მხრიდამ უძახდნენ: უ. მადელენ! გაეცალეთ! თჳთ ფაშლევან უჴროდა მას: თავი დამანებეთ უ. მადელენ! მარტო ვერას მიშველით, ჩემი დახსნა შეუძლებელია, თქუენც ჩემთან გასრესთ ურემი! მაგრამ მადელენ ყურს არავის უგდებდა. იქ მდგომთ შეესუთათ შიშისაგან სული და ურემი უფრო და უფრო ეფლობდა ტალახში. ყველას ეგონა შეუძლებლათ, რომ მადელენი ამოსულიყო იქიდამ კიდევ ცოცხალი.

უცებ დაიძრა ურემი, იწყო ზევით ამოწევა. და თვლები გამოჩნდნენ, მაშინ ურემის თვლებიდამ ამოვიდა ხმა: ჩქარა მიშველეთ! ეს ხმა იყო მადელენისა, რომელიც ხმარობდა უკანასკნელს ღონესა.

მაშინ ყველანი ერთ ბაშათ მისცჳვდნენ: ასწიეს ურემსა, ფაშლევანი გადარჩა სიკჳდილსა.

მადელენი ადგა, ის იყო მლიელ ფერმკრთალი, ოფლი ჩამოსდიოდა მას პირიდამ; ტანისამოსი ჰქოდა გასვრილი და დახეული. მოხუცი ჰკოცნიდა მას გულზედ და უწოდდა მას თავის მხსნელად.

მადელენი უყურებდა ჟოვერსა და ჟოვერიც არ აშორებდა მას თვალსა.

ფაშლევან გაგზავნეს მაშინვე იმ სასნეულოს სახლში, რომელიც იყო გაკეთებული მადელენისაგან მუშებთათჳს. მეორეს დღეს მოხუცმა კაცმა ნახა თავის სტოლზედ ასის თუმნის ბანკის ბილეთი და პატარა ბარათი, რომელშიაც მადელენ სწერდა ამას: «მე ვყიდულობ შენს ურემსა დაცხენსა» ფაშლევანი თუმცა მორჩა, მაგრამ დაკოჭლდა; მაშინ მადელენმა განაწესა ის მებაღეთ მონასტერში.

## XII

როდესაც ფანტინა მივიდა მარსელის ქალაქში, ის ქალაქი იყო მაშინ სრულს ყვავილოვანს წარ--მატებაში, და თვინიერ შრომისა იშოვნა იმავ დღესვე

ადგილი მადელენის ფაბრიკაში. თუმცა ის არ იყო შეჩვეული მუშაობასა, მაგრამ ის მუშაობდა იმდენს, რომლისაც სასყიდლით მას შეეძლო როგორმე ცხოვრება. იმან იქირავა ერთი პატარა ოთახი, აიღო მცირე ვალი და მით მორთო მებილით. ფიქრობდა თავის კაზეტტაზედ და იყო თჳთმის ბედნიერი.

ის იყო გაფრთხილებული და არავის არას ეუბნებოდა თავის ქალზედ; მაგრამ საიდუმლო მაინც განცხადდა. იმ საქჳშუნო მწერალმა, რომელიც უწერდა მას წიგნებსა ტენორდიეთსან გაამჟღავნა ფანტინას საიდუმლო.

ერთს დილას ზედამხედველი ქალი საოსტატოსი შევიდა ფანტინასთან, ჩააბარა ოთხმოცდა ათი ფრანკი და უთხრა მას, რომ ის იმიერიდგან დათხოვნილია ფაბრიკიდამ, და მერის ბმანებით მან სრულიად უნდა დასტოვოს ის ქალაქიც.

ეს მოსდა სწორეთ იმ დროს, როდესაც ტენორდიეთ მოსთხოვეს მას თვეში თხუთმეტი ფრანკი კაზეტტისათჳს.

ფანტინა იყო სრულებით მოკლული იმ ამბით. დატევება ქალაქისა არ შეეძლო იმისთჳს,

რობ იმას ემართა ვალები; ურჩიეს მას მისულიყო მერთან, მაგრამ იმან ეს ვერ გაბედა.

მადელენმა კი ეს სრულიად არა იცოდარა. ეს განკარგულება მოახდინა მადელენის შეუტყობლათ მოხუცმა ქალმა, რომელიც იყო ზედამხედველათ საოსტატოში.

ფანტინამ მოისდომა მოახლეთ შესვლა სადმე, მაგრამ არავინ მიიღო, მაშინ მან დაიწყო სალდათების პერანგების კერვა და იღებდა დღეში თორმეტს კაპეიკს. სწორეთ იმ დროს ვეღარ შესძლო თავის დროზედ გზავნა კაზეტტის ხარჯისა.

სიღარიბე აწუხებდა, და მშრალი ხველება სტანჯავდა მას.

დაზდვა ზამთარიც; დღეები შეიქნენ მოკლენი: სამუშაოც ილეოდა ხარჯსკი ემატებოდა, შეშით თუ სამთლით. საშინელი დროა ზამთარი ღარიბთათვს!

ფანტინას თჳთქმის აღარა ჰქონდა სამუშაო, და ვალებსკი ემატებოდა, ტენორდიები თავისის მხრით სტანჯავდნენ მას თავისის წიგნებით და სწერდნენ, რომ კაზეტტას სრულებით არა აქვს სატფური და სოსოვდნენ იმასთანავე ათს ფრან-

კსა.

ერთს საღამოს ფანტინა წავიდა დალაქთან და სთხოვდა ეყიდნა მისკან თმა.

--მართლათ ჩინებული თმა გაქუსთ, მიუგო მას დალაქმა.

რას მომცემ ამ თმაში? ჰკითხა მას ფანტინამ.

--ათს ფრანკსა.

--კარგი, მოსჭერ ეხლავე.

ფანტინამ იყიდა სატფუნო კაზეტტასათჳს და დაუგზავნა ტენორდიეებსა. ამაზედ უფრო ისინი უფრო გაბოროტდნენ; იმათ უნდოდათ ფული და არა სატფუნო. ის ჩააცვეს თავისს უფროსს ქალსა და კაზეტტაკი კანკალებდა უწინდებულათ სიცივით.

ფანტინა დიდ სანს პატივს სცემდა მადელენსა, მაგრამ როდესაც ნახა, რომ დარჩა სრულიად უსაშუალოთ ცხოვრებისა, იწყო სიძულვილი მადელენისა, რადგან იმას მხოლოდ აბრალებდა თავის უბედურებასა.

ერთხელ ფანტინამ მიიღო აი ამ გვარი წიგნი; «კაზეტტა ავათ არის საოფლით და ტანზედ რაღაც ნაირის ლაქებით. საჭირო არის მჯრფასი

წამლები, ჩუენ სადა გვაქუს შემლება ამ გვარის წამლების უიდვისა; თუ რომ რუა დღის განმავალობაში არ გამოგზავნით ორმოცს ფრანკსა, კაზეტტა უთოვოთ მოკუდება.»

ფანტინა ამ წიგნზედ მოგუუა რაღაც ნაირს უდუნურს სარსარსა, და უთხრა თავის მეზობელს ქალსა: ერთი შეხედე რასა მწერენ ის უგუნურნი გლეხნი. ორმოცს ფრანკსა მთხოვენ, იფიქრე რა ფულია ორმოცი ფრანკი ჩემთჳს, საიდამ უნდა გაუგზავნო მე იმათ ის ფულები?

მერე გავიდა გარეთ, დადგა კიბეზედ და ერთი კიდევ წაიკითხა წიგნი, მერე გაიქცა ქუჩაში და მივიდა სროვა ხალხთან, რომელიც მოგროვილ იყო მასლობლად ვიღასიც კბილის აქიმისა, რომელიც შორიდამ მოსულიყო და ჰყიდდა რაღაც სხუა და სხუა წამლებსა.

კბილის ექიმმ შენიშნა ხალხში ფანტინა, მიუბრუნდა და უთხრა.

რა მშუენიერი კბილები გაქუსთ; თუ რომ თანახმა იქნებით მომაგლეჯინოთ, თითოში მოგცემთ თითო თუმნის ოქროსა.

--რომელი კბილები? ჰკითხა მას ფანტინამ.

--ორი ზედა კბილი, უთხრა მას აქიმმა.

--ეს რა მესმის! რას ამბობს ეს საშინელი კაცი! დაიყვირა ფანტინამ.

--კარგათ იფიქრე, ჩემო ლამაზო, უთხრა მას ექიმმა, ორი თუმანი ფული ვგონებ არ იყოს ურიგო, თუ გარდასწყვეტოთ მოდით თეთრის შავარდნის ტრახტირში; მე იქა ვდგევარ.

ფანტინა დაბრუნდა სახლში და უამბო ყოველივე თავის მეზობელს მარგარიტას. ორი ზედა კბილი, რომ მოვიგლიჯო, რაღას ვჰგავნები, მე საშინელი სანახავი ვიქმნები მაშინ, განამარგარიტა? უთხრა მას ფატინამ,

რა შემოგამლია ჰკითხა მას მარგარიტამ.

-ორი თუმანი, უთხრა ფანტინამ.

-კარგი ფულია ოთხმოცი ფრანკი.

ფანტინა დაფიქრდა, მერე მიჰყო რაღაც საკერავს ხელი. შემდგომ გაუშვა ისევ ის მუშაობა და კითხა. თქვენ იცით რა სნეულებაა საოფლე და ლაქები ტანზედ?

-ვიცი, უთხრა მას მარგარიტამ, ეგ ძლიერ ცუდი სნეულებაა.

მართალათ მვირფასი წამლებია იმისთვს საჭირო?

-სწორეთ.

-საბავშო სნეულებაა ის სნეულება?

-საბავშო.

-ისოცებიან ხოლმე იმისგან ბავშვები?

-ძლიერ ბევრნი.

იმის შემდგომ ფანტინა გავიდა კარზედ და ერთი კიდევ გარდაიკითხა ტენორდიეების წიგნი.

საღამოს ნახეს, რომ ფანტინა მიდიოდა იმ ტრასტირი საკენ, სადაც იდგა კბილის აქიმი.

მეორეს დღეს მარგარიტა შევიდა ფანტინასთან და ნახა, რომ ის იჯდა ფერმკრთალი, სიცივით მართოლვარე. იმას მთელი ღამე არა სძინებოდა, ჩეფჩიკი (ქალის თავ სახურავი), ეღო მუხლზედ და იმის ოთახში იყო რაღაც ნაირი უწესოება. მარგარიტა გაჩერდა უცებ კარებში მოწყლული იმ უწესოებით, მერე დააკვირდა ფანტინას, და შენიშნა, რომ გუშინდელს აქეთ ის დაბერებულიყო ათის წლით, და ბოლოს ჰკითხა; ეს რა ამბავია, რადაგმართნია?

არაფერი, მიუგო მას ცივათ ფატინამ. ახლა იმედი მაქუს ჩემი ქალი აღარ მოკუდება იმ საშინელის სნეულებით, შენ რომ მითხარი, უთხრა მას ფანტინამ.

აი შეხედე თუმნიან ოქროებსა. ვინ მოგცა მაგდენი ფული? ჰკითხა მას მარგარიტაა.

აი, ამ კბილებმა, რომელიც აღარა მაქჳს. მიუგო მას ფანტინამ, უჩვენა რა ზემო ღრძილები, რომელშიაც აღარ უჯდა ორი მშვენიერი მარგალიტის მსგავსი კბილი.

ის ფული მაშინვე გაუგზავნა ტენორდიებსა განვლო რავდენმანმე ხანმა. კაზეტტა სრულებით. არ ყოფილა ავათ. იმის ავათ მყოფობა იყო სიცრუე, მოგონილი ავაზაკთ ტენორდიებთაგან.

მოკლეს დროში ფანტინამ მიიღო კიდევ წიგნი, რომლითაც მას სთხოვდნენ ას ფრანკსა, და წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ მას კაზეტტის გარეთ გაგდებასა.

მაშინ ფანტინა დაფიქრდა ძლიერათ. ხედავდა, რომ მდგომარეობა იმისი იყო უიმედო. იფიქრა დიდხანს და ბოლოს ამოიოხრა და სთქვა; ეჰ რაღა გაეწყობა, გავყიდი ყოველსავე, რაცკი რამ დამრჩენია, და საცოდავი ფანტინა შეიქნა საქვეყნო ქალათ....

ყოველს პატარა ქალაქში არიან ერთგვარნი ემაწჳლნი კაცნი, რომელნიც სარჯჳტნ წელიწადში ორი ათას ფრანკსა, იმა ანგარიშით როგორც

სხუანი ორასი ათასსა აბნევენ პარიჟში. ეს კაც-
ნი არიან ბიწიერნი, სრულიად ამაონი; ისინი
სახაშმეში ხშირათ იტყჳან ხოლმე «ჩემი ტყეები.
ჩემი მინდვრებიო.» ტეატრში ხშირად დასცინიან
აკტრისებსა, რომლითაც აჩუჱნებენ, რომ ისინი
არიან კაცნი, რომელთაც იციან გემოვნება. ისინი ხწევენ,
სმენ, თამაშობენ; ერთის სიტყჳთ სრულიად თავის
სიცოცხლეს განატარებენ ყავახანებსა და სახაშმებ-
ში.

თუ რომ ტოლომიესი დარჩენილ იყო სადმე
ამ გვარ პატარა ქალაქში, ვინეჲ ის გაიცნობდა
პარიჟსა, ის უთუოთ იქნებოდა ამ გვარი კაცი
როგორც ჩუჱნ ესლა ავსწერეთ.

ათის თვის შემდგომ რაც ჩუჱნ ავწერეთ უკა-
ნასკნელთ შემთხუჱვა, ესე იგი პირველს რიცხ-
ვებში იანვრისა ჩყკგ-სა წელსა, ერთი იმ გვარ
ყმაწჳლ კაცთაგანი შეექცეოდა უკანდევნით ქალისა
რომელიც იყო ჩაცმული საბალო ტანისამოსით
დასეირნობდა ერთის ყავახანის წინ.

ყოველთჳს, როდესაც ქალი გაივლიდა მახ-
ლობლად ფანჯრებისა, ყმაწჳლი კაცი მიუშვერდა
იმაზედ სიგარის კომლსა და ეუბნებოდა შემდგომს

სიტყვებსა, რომელიც მას მიაჩნდა ძლიერ მასვილ გონიერულათ:» რას გვაქვს პირი! აბა თუ დამემალები უგბილოვ. ქალი არ უგდებდა ყურსა იმ სიტყვებსა და მიდიოდა თავისთჳს ჩუმათა. ამ დაუდევნელობამ უარესათ შესმრა პატივის მოყვარება ემაწვილის კაცისა, მიეპარა ერთხელ ჩუმათ იმ ქალსა, აიღო გუნდი თოვლისა და ჩაუდო იმას კისერში. მაშინ ქალმა უცებ დაიყვირა, მივარდა სახეში ემაწვილს კაცსა, დაუწყო ფრჩხილებით ფხაჭნა და ლანძღვა საშინელის სიტყვებით.

იმ სმიანობაზედ გამოსცვინდნენ სხვა აფიცრებიც ყავახანიდამ, მოგროვდნენ სხვანიც მრავალნი იმ ყვირილზედ და შეიქნა არეულობა, რომელშიაც ემაწვილი კაცი თავშიშველი იცავდა თავსა განრისხებულის ემაწვილის ქალისაგან. მაშინ ხალხიდამ გამოვიდა ერთი მაღალის ტანის კაცი, მოჰკიდა ფანტინას კაბის კალთაში ჴელი და უთხრა:« წამომყევი მე»

ქალმა შეხედა იმ კაცსა და კინაღამ გულ შემოეყარა. იმის წინ იდგა იმ დროს ჟოვერი.

ემაწვილმა კაცმა, მიზეზმა იმ უწესოებისამ, ისარგებლა იმ შემთხვევით და მიიმალა სადღაც

ჩუმათ.

ჟოვერმა მოჰკიდა ხელი ფანტინას და თითქმის ძალათ მიათრევდა პოლიციისაკენ. როდესაც ფანტინა შევიდა ოთახში, დაეცა ძირს გულ შემო-ყრილი.

სერჟანტმა დასდვა სამთელი სტოლზედ; ჟოვერმა ამოიღო ჯიბიდამ ღერბის ქაღალდი და დუწყო რაღასაც წერა.

საქვეყნო ქალები იმყოფებიან სრულს პოლი-ციის მთავრობაში; პოლიცია ეპყრობა მათ როგორც უნდა, და სჯის, როგორცკი სურს. ჟოვერი შადგენდა ხოლმე იმათზედ სრულს განჩინებას. ფანტინას საქმეში ის ხედავდა დიდს გარდასდომილებასა. იმისის ჰაზრით ფანტინამ შეურაცხჰყო მთელი საზო-გადოება წინოვნიკთა, მამულის პატრონთა, და მერე ვინა? საქვეყნო ქალმა!

ჟოვერ სწერდა ჩუმათ.

როდესაც გაათავა, მოაწერა ხელიაც, შეჰკეცა ქაღალდი, და მისცა რა სერჟანტსა, უთხრა: მოი-ყვანე სამი კაცი და ეს ქალი წაიყვანეთ საპყრო-ბილეში. მერე მიუბრუნდა ფანტინას და უთხრა: შენ გადაგიწყვეტე ექვს თვეს საპყრობილეში ჯდომა.

უბედური ქალი ათრთოლდა.

ექვსი თვე საპყრობილეში! ეს რა მესმის? რისთვის? ჩემს კაზეტტას რაღა ემელება? უ. ჟოვერ, იცით, რომ მე ასი ფრანკი ვალი მმართებს იმათი, ვისაც ჩემი ქალი აბარია. ღვთის გულისათვის მაპატიეთ უ. ინსპეკტორო. იმ კაცმა, რომელსაც მე სრულიად ვერ ვიცნობდი ჩამიდო ზურგში თოვლი, განა იმასა აქვს უფლება ასე წვალებისა, მაშინ როდესაც ჩვენ ჩვენთვის მივდივართ, და არავის ხმას არა ვსცემთ? გარდა ამისა მე ცოტა ავათაც ვარ, ის დამცინოდა კიდეც საშინლათა: შენ უკბილო, შენ უშნოვო! ვინ მისცა იმას იმაების უფლება? მე თითონ კარგათ ვიცი, რომ საუმჯობესო კბილები აღარა მაქვს და რა უყოთ მერე, იმას რა საქმე აქვს ჩემს კბილებთან? მე იქნება დანაშაული ვარ მხოლოდ იმაში, რომ გამოვედი მოთმინებიდგან. მაგრა ღვთის გულისათვს ჟოვერ ნუ ჩამაგდებთ მე საპყრობილეში, თორემ საცოდავი ჩემი ბავშვი დაიღუპება; თუ მე დაუგვიანე ფული ტენორდიეებთა ისინი გააგდებენ ჩემს ბავშვს ქუჩაში, და მომიკვდება სიცივით და შიმშილით. უნდა იცოდეთ, რომ იმათ არა ვითა-

რი შებრალება არა აქვსთ, მე ეს კარგა ხანია შევნიშნე. ცოტა მოზდილი რომ მაინც იყოს შეეძლოს როგორმე თავის რჩენა, მაგრამ ხუთის წლის ბავშვმა, იფიქრეთ, რა უნდა ქნას, რა შეუძლიან? უ. ჟოვერ, შემიბრალეთ მეცა და ჩემი შვილიცა. იმ დროს ფანტინა დაეცა მუხლზედ და ჰკოცნიდა ჟოვერის პალტოს კალთებსა. იმის სიტყვებს შეეძლოთ მოეყვანათ გრძნობაში ქვის გული, მაშინ როდესაც სრულებით ვერ შესძრა ვერცა მცირედი ხის გული ინსპეკტორისა. გაათავე შენი სათქმელი? ჰკითხა მას ცივათ ჟოვერმა, თუ გაათავე ახლავე გასწიე საპყრობილეში ექვს თვეს. უთხრა ეს და შეაქცია მას ზურგი.

იმ დროს, როდესაც უნდოდათ სალდათებს წაეყვანათ ფანტინა, ვიღაც მივიდა ჟოვერთან და უთხრა:

--გთხოვთ, ერთი წამი მოითმინოთ.

ჟოვერმა მიიხედა და დაინახა მადელენი, მადელენმა ყოველივე გაიგონა.

ჟოვერმა მოიხადა ქუდი და უთხრა:

--უკაცრავათ უ. მერო!

როდესაც ფანტინამ გაიგონა ლექსი «მერი»

გაიმართა წელში, ჰკრა კელი სალდათებს, მივიდა პირდაპირ მადელენთან და ჩააცქერდა რა თვალებში, შეჰყვირა საზარლის ხმითა:

—-შენა ხარ უ. მერი!

მერე გაიცინა გიჟივით და შეაფურთხა იმას შიგ პირში.

მადელენმა მოიწმინდა პირი და უთხრა ჟოვერს: ესლავ უნდა განათავისუფლოთ ეს ქალი. ჟოვერ გაშეშდა განკვირვებისაგან.

საძულველო ქალი აფურთხებს მერს პირში, ის იწმენდს პირსა და განსვენებულის სახით იმასის: განათავისუფლეთ. ჟოვერს აემღვრა ტვინი, ვერასფერს ვერ მისუდა იმ ლაპარაკში.

ფანტინაც საკმაოთ იყო განცჰვფრებული მერის სიტყვებით.

მაშ მე გამიშვებენ! აღარ დამიჭერენ! ვინა სთქვა ეს კურთხეული სიტყვები? ჰყვიროდა გიჟსავით ფანტინა. მე არა მჯერა, თუ ეს სიტყვები სთქვა ამ საზარელმა მერმა; ვგონებ თქვენა სთქვით ეს სიტყვები უ. ჟოვერ. იცით რას გეტყვით უ. ჟოვერ? აი, ეს უ. მერია მიზეზი ჩემის უბედურებისა. მე ვიყავი მაგის ფაბრიკაში და

ვმუშაობდი როგორც პატიოსანი ქალი, ამან გამომაგდო უმიზეზოთ, მამაკლო ლუკმა პური. იფიქრეთ რა საშინელი საქმე მიყო, და აი იმ დროიდგან იწყო ჩემა უბედურებამ. გარდა იმისა მე მყავს ქალი, რომელსაც რჩენა უნდა, და მიზეზიც ის იყო, რომ მე შევიქენი ცუდი ქალი. ახლა ხომ მისჭდით თუ რა ბოროტი მიყო მე უ. მერმა ფაბრიკიდამ გამოგდებით.

მადლენი უგდებდა ყურსა ფანტინას დიდის გულსმოდგინებით, და როდესაც მან დაასრულა, ჰკითხა მას:

--რამდენი გმართებსთ თქვენ ვალი?

ფანტინამ შეხედა მას და უთხრა: განა თქვენ გელაპარაკებით?

მერე მიუბრუნდა სალდათებსა და უთხრა: ხომ ნახეთ რა რიგათ შევაფურთხე მე მერსა პირში. აი, შეხედეთ ამ მგელს ბოროტმოქმედსა, ამასა ჰგონია, რომ შემაშინებდა თავისის მოსვლით. ისკი არ იცის, რომ მე ამისი სრულიად არ მეშინიან; მე მეშინიან მხოლოდ უ. ჟოვერისა და არა მერისა.

მერე მიუბრუნდა სალდათებსა და უთხრა; მე

გამიშვა უ. ჟოვერმა და აი მივდივარ ჩემთჳს.

როდესაც მოჰკიდა კარებს ხელი და უნდოდა გაეღო, მაშინ ჟოვერი მოეგო ღრმა ფიქრებისაგან და შესძახა სალდათებსა: ხომ ხედავთ რომ მიდის ეგ ქალი: ვინ მოგცათ თქუენ ნება მაგის გაშუებისა?

მე, მე მივეცი ნება შესძახა მას მაღელენმა.

როდესაც გაიგონა ეს სიტყუები, ფანტინა ათრთოლდა, დაჩუმდა, როგორც მუნჯი, და დაუწყო ყურება ხან ერთსა და ხან მეორესა.

საჭირო იყო რომ ჟოვერში მომხდარიყო საკუთარი რამ ცვლილება, როდესაც მან გაბედა პასუხის გება ანუ წინააღმდეგობა პირისპირ მერისა, და მართლაც იმაში მოხდა ის მიუწთომელი ცვლილება. ფერმკრთალი, აღელვებული და ცივი, ჟოვერი იყურებოდა მირსა და მტკიცის ხმით მიუგებდა.

--უ. მერო, ეს არ შეიძლება!

--რატომ, რა არის შეუძლებელი?

--იმან შეურაცხ ჰყო ჩინოვნიკი.

--უ. ჟოვერ, უთხრა მას მაღელენმა:--გამიგონეთ რა გითხრათ. მე თქუენ პატიოსან კაცად გიცნობთ

და ამისთჳს ადვილათ შეგვიძლიან ჩვენ ამ საქმეზედ მოლაპარაკება. აი როგორ იყო საქმე: მე იმ დროს გამოვიარე მეიდანზედ, როდესაც მოვყავდა ეს ქალი; ჯერ ხალხი კიდევ არ დაშლილიყო, მე წვრილად გამოვიკითხე მაგის საქმე და აღმოჩნდა, რომ იმ შემთხვევაში ყოფილა სრული დანაშაული ის ჩინოვნიკი და არა ეს ქალი, რომ ის არის ღირსი დაჭერისა და არა ესა.

—ეგ კარგი, მაგრამ ამ ქალმა ჩემ თვალწინ უპატიურ ჰყო მერი, ამაზედ რაღას იტყჳთ?

—ეგ შემეხება მე, მიუგო მადელენმა, ჩემი შეურაცხება მეკუთვნის მე. უნდა მაგაზედ ვზრუნავდე მე, და არა სხვა.

—უკაცრავათ უ. მერო! მე ვფიქრობ რომ ეს შეურაცხება ეკუთვნის მმართებლობის გამომიებას.

—უ. ჟოვერ, უთხრა მას მადელენმა. უმაღლესი და უპირველესი მართებლობა კაცისა არის სინიდისი. გეუბნებით მე კარგათ გავიგე გარემოება მაგ ქალისა და კარგათ ვიცი რასაც ვშვრები.

—მეკი, სწორე უნდა გითხრათ, თჳთქმის სწორეთ არ მესმის რასა შვრებით, მიუგო ჟოვერმა.

--მაშ თუ კარგათ არ გესმისთ, დაემორჩილეთ ამ ჩემს ბძანებას, მიუგო მტკიცეთ მაღელენმა.

--მე ვემორჩილები ჩემს საღმრთოს ვალდებულებას, და ის ვალდებულება მაიძულებს მეთქმ ეს ქალი დავატუსაღო უთოვოთ ექჩს თვეს.

მაღელენმა მიუგო წყნარათ: მე თქვენ გეუბნებით, მიხვდით კარგათ, რომ არც ერთს საათს ეგ არ იქნება ტუსაღათ.

მაშინ ჟოვერმა შეხედა მერსა და პატივისცემის ხმით უთხრა:

--მე თუთქმის სასოწარკვეთილებაში ვარ, უმეტეს როდესაც წარმოვიდგენ, რომ ეს პირველი შემთხვევაა თუთქმის, რომ არ ვასრულებ ჩემის უფროსის ბძანებასა. გაბედვით მოვახსენებ უ. მერსა რომ მე ვმოქმედებ იმ ჩემის უფლების საზღვრებაში, რომლითაც ვარ შემოსილი მართებლობისაგან, თუ თქვენ იყავით იქა, როდესაც ამ ქალს შეემთხვა ის ამბავი, მოგახსენებთ, რომ მეც იქ დევესწარ იმ დროს. ამ ქალმა გაალახა ჩინოვნიკი უ. ბამატაბუა. ამ ქალის მოქმედება შეეხება პოლიციის გამომძიებას, და რადგან მე ვარ თავი პოლიციისა, ამისთვს მე ვერ შევ-

ცვლი ამ ქალზედ, ამ დამნაშავეზდ, ჩემს გარდა-წყვეტილებასა.

მაშინ მადელენმა დაჰკარგა თჯთქმის მოთმინება, დაიკრიფა გულხელი და უთხრა ჟოვერს სასტიკათ: უ. ჟოვერ! თქჵენ შემცდარი ხართ, ამ ქალის დანაშაულობა მალისამებრ **9**, **11**, **15** და **17** მუხლების, სისხლის სამართლის სჯულებისა: ეკუთვნის ჩემს მსჯელობასა და არა პოლიციისას; და ამისთჳს გიბმანებთ ესლავ განათავისუფლოთ ეს ქალი.

--უ. მერო, შესმასა მას ჟოვერმა.ნება მომეცით. კიდევ ერთის სიტყჳს თქმისა.

--აღარც ნასევარ სიტყჳსა.

მერე მივიდა მადელენი, ჰკრა მკერდი ჟოვერსა და უთხრა: ესლავ გაბმანდით აქედამ. ჟოვერმა დაუკრა თავი თჯთქმის მიწამდინ და გავიდა გარეთ.

როდესაც ჟოვერი წავიდა, მადელენი მიუბრუნდა მთრთოლვარეს და სისარულით აღტაცებულს ფანტინას, რომელიც იმ ლაპარაკის დროს უგდებდა ყურსა ხან ერთსა და ხან მეორესა, და უთხრა:

--მე წვრილათ შევიტყვე თქჵენი ყოველივე გარემოება. მე ვგრძნობ, მე დარწმუნებული ვარ,

რომ თქუენ რაცა სთქვთ ყველაფერი მართა-
ლია. მე არა ვიცოდი რა თქუენი. რატომ ჩემ-
თან არ მოხვედით და არ მიანბეთ თქუენი გა-
რემოება, როდესაც თქუენ დაგითხოვეს ფაბრიკი-
დამ. აი ახლა რას ვიქ: მე გადავიხდი სრულიად
თქუენს ვალსა რაც ან აქ გმართებსთ და ან იქ
თქუენი ბავშვის შესანახავათ. მე უბძანებ აქ
მოყვანას თქუენის ბავშვისას, და თუ გინდათ
თქუენ თითონ წადით მოსაყვანათ. თქუენ ამას
იქით გინდა აქ იცხოვრეთ, გინდა პარიჟში, ხარ-
ჯს ჩემგან მიიღებთ სრულსა. თქუენ მიიღებთ ჩე-
მგან იმდენს ფულსა, რამდენიცკი საჭიროა თქუე-
ნის უზრუნველის ცხოვრებისათჳს; როდესაც
თქუენ შეიქნებით უზრუნველ, კმაყოფილი ხარჯით,
მაშინ უეჭუელია თქუენ ისევ შეიქნებით პატიო-
სან ქალათ, და თუ სწორეთ აგრეა, რომ პატარა
თქუენი შჳლი, იმისი ხარჯი, თქუენი სიღარიბე
და ნაკლულევანება ცხოვრების საშუალობისა
იყვნენ მიზეზნი თქუენის დაცემისა, ეს სუყველა-
ფერი მოგეტევებათ ღუთის წინაშე.

—ფანტინასთჳს ეს იყო ზეციური ნუგეში; ყოფნა
თავის ქალთან, დატოება საზარელის ცხოვრების

სახისა, ყოფნა პატიოსან ქალათ, ქონება უზრუნველის ცხოვრებისა,--ესე ყოველივე ეჩვენებოდა მას სიზმრათ და ბოლოს უცეფ წაერთვა მას ნიჭი ლაპარაკისა, წამოუვიდა ნაკადული ცრემლისა, დაეცა მადელენის მუხლების წინ ისრეთის სისწრაფით, რომ იმან ველარ მოასწრო აყენება მისი, დაეწაფა ორთავ ხელებზედ და ურეცხდა მათ ცხელის ცრემლითა. მაგრამ მან ვერ აიტანა სრულათ ის ძლიერი შერყევა და შემოყვარა გულსა. მაშინ მადელენმა უბრძანა გადატანა ამისი თავის სახლში, ჩააბარა ზედა მხედველობას ერთის სათნო მონაზონისას. ფანტინამ მთელი ღამე გაატარა როტვაში და სიცხეში; მეორე დილაზედ ცოტა მიეძინა. მადელენი თითქმის არ მოშორებია იმის კრაოტსა.

გ. დიდებულიძე.

(განგრძელება იქნება იანვრის ნუმერში.)

## ეპიტაფია მირზაჯანასი.

მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,
სიყჳარულითა და ღჳნითა, ჩემებრ დაითვერ?
დაღუპე ეშხში და ღჳნოში ყოველი სიმწარე,
რომ გზა ცხოვრების განვლო ლხინით, ვით მე ვიარე?
რომ შავი ბედის წინ ჩემებრ მთვრალი უშიშრად დამ-
ღერ;
თვარა გონებით, გინდ ცა მოვლო, ჩემებრ იქმნა
მტჳერ.

თ. გრ. ორბელიანი.

---

## ჩემი ეპიტაფია.

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა მკითხჳელო,
მეცა მიყჳარდა, მეც ვსტიროდი, ვილხენდი,
და დაფიქრებით დავმზერდი საფლავთ ქჳათ?
მერგო რიგი და აწ ჩემს საფლავს დაჰმზერ შენ!

გზჳდების მენც რიგი და შენს საფლავს დაჰმზერის სხჳა;
მეფეს გლახაკთან შეასწორებს ეს რიგი:
მიწა მიწადვე გარდიქცევის ცვლილებით,
და ცადა აღვალს ნაწილიგი მღჳთაებრი?

თ. გრიგ. ორბელიანი.

---

## ყვავილი (პუშკინით.)

(თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებიდგან.)

ყვავილი მხმარი, სუნ მილებული,
წიგნშიდან იდვა დავიწყებული:
მისმან დანახვამ მყისად აღმავსო
მიმოგონებით გული ვნებული.
ნეტარ ეს მდელო სად ყვაებულა?
დიდხანამც შლილა? როდის მოსთლულა?
უცხოს თუ მცნობის ვისიმეს ჴელით?
და რას მიზეზით აქ შთადებულა?
საგონად ტკბილის ერთად შეყრისა,
თუ ნიშნად მწარის მოშორვებისა,
თუ მყუდროთ ველთა და გრილთ ტყეთ შინა
სახსოვრად მარტოდ რონინებისა?
ნეტა არიან სადმე ცოცხალი
ამის მომწყვეტი კაცი და ქალი,
თუ გლახ ისინიც ეგრეთვე მჭკნარან,
როგორც ეს მდელო არის მიმჭკნარი?

* * *

ნეტარ არიან ვის დღენი თჳსნი,
გაუტარნიათ თავისუფლებით,
ნეტარ არიან ვის გაცთა გული,
არ მოჩლებიათ იმავე სიყრმით.
ლაღობა, სიტკბო, უდარდელობა
მის დაახშნია ბუნების ნიჭათ
და მისი მტკიცეთ ხალხშიგან გცემა
ყველას მოიყვანს თაყვანის ცემათ.
მაგრამე რა ჰქნას მან, ვინც სიყრმითვე,
იყო უწყალოს მტარვალებში,
მან, ვის გონება დღის მუცლითვე,
ჰქონდა შერობილი უმსგავსებაში!
რა ჰქნას მან, ვინცა სიყრმითვე იყო
მოწყლული გაცთა ჩაგვრის გულითა,
ვინც ყოვლ კეთილის შორებით იყო
და იზრდებოდა უზრდელობითა!...
იგი რა იცნობს შემდგომ ქუეყანას,
და თჳსთა ცნობათ უმღრთო თჳსებას.
ებრძჳს ძლიერათ თჳს უსაზრობას,
და მძლევი ყოვლის უგვანობისა,
ჯან მოწყვეტილი, სხეულ შემძრული,
და ჩავარდნილი გულსა და მხამსა,
გაცთ გვემისაგან აღელვებული,
ჰგმობს ყოველს ცუდსა საწყლად ტანჯული,
ყოველს ბოროტსა სასტიკათ სდევნის,

და ცდომილს ხალხსა გულში ლახვარებრ
მირუთნეველად მართალს ჩასძახის,
კეთილის გულით სიმართლის მთქმელსა,
ყველა უცქერის ვით თჳს მოსისხარს,
და განსდევნიან ყველგან საწყალსა,
უხშობენ კარსა შეწყნარებისას.

ანტონ ფურცელაძე.

**1860** წელსა.

---

*
* *

რისთჳს ვშორდებით ერთმანერთი ჩხუბით და წყრომით?
მერე რისათჳს? დაშხამულის ენისა მტრობით?...
ვგრძნობ გული მიცემს სუსტად, მძივსდა, ჭმუნვით
მოსილი,
ვითა საათის მაატნივი უცებ მოშლილი!
ოჰ! მომითმინე: დღეს, ანუ ხვალე, სრულად დადგება:
გაიკმენდს ხმასა, საუკუნოდ დასათვალადება!..
გითხრა, ჭაქიმმა:—შენ ხომ რა გენაღვლება,
შენგნით, მოკლულის გულისათჳს აჲ რა ინება:
ყური მიადო ჯერ ჩემს გულსა, ხმა გაიკმინდა
და დანანებით შედგომს თავი მან გაიქნია!...
ცხადია, ვკდები, ახლოს არის ჩემი სამარი,
შენ გაგეხარდეს, რომე მნახო მე შენგნით მკჳდარი!
არ უნდა მეთქუა მომაკჳდავსა მიზეზი ამის,

მისთჳს, რომ ვწუხვარ, უეჭველად ქვეყანა დავსჯის.
მარამ ამ თქმით შვებას ჰპოვებს, თითქოსო გული?
გული, ჩაგრული, ყოველს იმედს გამოკლებული!..
იცი რისათჳს მიგლიჯვებს და მეფლითებს
გული, რომლისთჳს მსურს სიკუდილით მე მოსვენება?
მაშ გეტყჳ: ამა ჩემსა გულით შენ თამაშობდი,
როგორც რომ ბავშვი ყმაწვილურად შეგეცოდი.
ისეთ გრძნობით; და რა გრძნობით! გვერვას ის იწვავდა
ვარდთგან, ფარვანებრ შემოგტრფოდა, მარად გიცავდა,
და ის მხურვალე გრძნობა ჩემი, დამჭკნარი უდროთ
მოჭკვალი, მარამ, როგორ მოჭკვალი?! მოჭკვალი უდროოდ!
მაინც რასა ვიქ? ემშვლებას რა, წარსულის ბედსა,
რა გააცოცხლებს ერთხელ მიკლულს სიჭაბუკესა!
ვკუდები უდროოთ, მაგრამ ვიხოვ ღმერთს, ეგებ ისმინოს,
და ეს ყოველი შენი ბრალი სულ მოგიტყოს!... (*)

მოლაყბე.

**1862** წელსა, დეკემბრის **1**-სა.
ქ. ტფილისს.

---

(*) ჩუენი მოლაყბე საპოეტა ასპარეზზედაც გამოვიდა და ვნახოთ რას დაგვიწერს შემდგომისათჳს, იმედი კი დიდი გვაქჳს მოცემული, ესვე ვიცით, დაწერილი აქჳს ლექსთ ერთი ანბავი, რომელსაც ჰქჳა «ჩემი აღსარება.»

რედ.

საქართჳჱლოს მეფის გიორგი მეათცამეტის მეფობა,

(განგრძელება.)

ოდეს სცნეს ლეკთა კავკასიისა მთასა შინა მცხოვრებ-თა დაღისტნელთა აღება ტფილისისა სპარსთაგან, შეკრბენ გამორჩეულნი და გამოცდილნი ბრძოლისანი, გაცნი უმეტეს ორი ათასთა, და განიზრახეს ვითარმედ არღარა სცალით ჟამსა ამას ქართველთა მჴედრობასა, სპარსთა ძლით, და ჩუჱნ წარვიღეთ და ვითარეშით სოფელთა შინა კახეთისა და ქართლისათა, და ვჰოვნეთ მუნ ნატყუევნავნი და ტყუენი მრავალნი: წარმოვიდეს ესენი მთის გზით, და ენებათ ზედა დასხმაჲ დაბისა მატნისა, (1) რათამცა ივარ ჴყვეს იგი. აღრე სცნა რა ესე

(1) მატანი არს დაბა დიდი, და მუნ არს ციხე ქვ-ტკირითა ნაშენი, და სასახლე თავადთა თიანეთისა და

პირ მშომან და მემკვიდრემან მეფის ძემან გიორგიმ, რომელიცა იყო სახლეულებითა თჳსითა მაშინ ახმეტას და მეფე ჯერეთ მთიულეთსავე იყო, შემოიკრიბნა სწრაფით მეფის ძემან მხედრობანი, და განვიდა მატანსა, და დასდგა მუნ: ხოლო ჰსცნეს რა ლეკთა მათ ესე, შიშნეულ იქმნეს მისვლად მატანს. და ღამე, დაფარულის გზითა: იულტოდეს მუნით, და წარვიდეს მთის გზით, და გნვლეს ერწოთ კერძო ტყიერნი და უშენნი ადგილნი, და გარდავლეს თავსა მარტყოფისასა, და ზედა დასხმა ჰყვეს დიდსა მას დაბასა მარტყოფისას ნორიოს. შორავს ადგილი ესე ტფილისისა ოთხითა ეჯითა, ე.ი. მილითა ოთხითა, რაიცა შეადგენს ვერსსა ოცდარვასა. მაშინა იმყოფებოდა დიდს მარტყოფსმოურავი, ზაალი კუზის თავადი ენდრონიკაშჳლი და სახლოვანი გულოვანი, და სიმხნითა წარჩინებული სრულიად საქართუჱლოს შინა. მოაშუჱლა ამან მსწრაფლად მარტყოფით მკჳრცხელნი მეთოფარნი, და ნორიელთა და მარტყოფელთაგან იძლინეს ლეკნი ესე და არა უტევნეს იგინი არცა მარტყოფს და არცა ნორიოს, არცა ერთსა რაჲსამე მცირისაცა ნივთისა მოტაცებად და ესრეთ ძლეულნი ლეკნი უკუნიქცეს; გარდავლეს თავსა ლილოსა, განვიდეს მდინარესა მტკვრისასა, პირისპირ დიღომისა აღვლეს მთა დიდ გორი, და გარდავლეს წალკა, და მივიდეს სოფელსა ჯა-

---

ფშავ-ხევსურეთისა მოურავთა ჩოლაყაშჳლთა, და მოყვარეთა მეფისათა.

ვახეთისასა კოთელიას. ხოლო სოფელი (1) ესე კოთელია არს საათაბაგოჲსა (2) ნაწილსა შინა: მივიდეს მუნ, და დადგრეს დღე რაოდენმე, და განისვენეს მუნ. და სხჳსანიცა ლეკნი უწინარეს მათსა მისრულნი, ახალციხის სოფელთა შინა მყოფნი, მიიყვანნეს თჳსთანა და უტევნეს მუნ დაკოდილნი მათნი, და განემზადნენ მალად გამოლაშქრებად საქართველოსა კერძო: გარდავლეს მთანი თრიალეთისა, და მოვიდეს ზემორე გატეხილისა ხიდისა მახლობელ მდინარისა მტკვრისა იედი ბოლუქად სახელდებულსა ადგილსა და ზედა დასხმა უყვეს ელსა დემურჩასასანლუსასა, რომელნიცა არიან თათართა მომავლობანი, მაგრამ ფრიად ერთგულნი ყმანი საქართველოს მეფეთა, და საქართველოსანი: აცნობეს შემთხჳეულება ესე მალიად ტფილისის მყოფსა მეფის ძეს მემკჳდრეს გიორგის, და ბოლჩალოში მყოფსა მეფის ძეს დავითს: მეფისძემან გიორგი, თუმცა წარმოუვლინნა მჴედრობა და ოთხი ზარბაზანი, და წარმოატანა ძესა თჳსსა ჯერეთ მცირე წლოვანსა მეფის ძე ბაგრატს, რათამცა შეერთოს ძმასა თჳსსა მეფის ძეს დავითსა და ესრეთ ეწყვნენ მტერთა, გარნა ვიდრე ესენი მივი-

(*) კოთელია და გარემო მისსა ადგილნი, და სოფელნი ჯავახეთისანი ახალ-ციხეს მჯდომისა თურქთა ფაშისა ჴელსა ქუეშე იყო.

(2) საათაბაგოსა ძუელთა სახელის დებითა ეწოდების მესხია, ანუ მესხეთი, და ესე ნაწილი არს ზემოჲსა საქართუელოჲსა.

დეს და მიიწყოდეს იედი ბოულუქად, უსწორო ამათ ბორ-ჩალოთ წარმოსრულმან მეფის ძმან დავით ფრიად მცირედითა მხედრობითა, რომელსაცა ჰყვეს მხოლოდ სამ-ასადმდე ცხენოსანნი მხოლოდ: მიუსწრა მან ლეკთა ჯარით მყოფთა იედი ბოლუქადვე, რომელნიცა ჰსტყუენვიდეს მცხოვრებთა დემურჩასახლისათა. და მცირედითა მხედრო-ბითა ესრეთ ძლიერად ეკვეთა მათ, რომელ მეისვე და-ჰყარნეს მათ ყოველნი იგი ნატყუენავნი, და ტყუენი, და ნაშოვარნი, და ივლტოდეს. და სდევნნა იგინი, და მოკლეს მხედრობათა მეფის ძისათა უმეტეს ოთხასი კაცი, და მოიშოვნეს უფროს და უმეტეს დახოცილთა მათზედა განსლვასა შინა მდინარის მტკვრისასა. ვინაჲდგან შიშნეულთა ვერღარა ჰპოვეს ადგილად განსავალი მდინა-რისა: ესე იყო, წელსა მასვე. ოდეს იგი აიღეს ტფილისი სპარსთა თჳსა დეკემბერსა (რომელ არს ქრისტეშობისთვე) რიცხვსა ა–სა დღესა ხუთშაბათსა, გამარჯვებაჲ ესე იქმნა. და ამისთჳს ერნი ტფილისისა და გარემოთა მისთანი ფრიად მხნე იქმნეს, და იწყეს უმეტეს გულს მოდგინებით აღშენებად სახლთა და საცხოვრებელთა მათთა და მხიარულ იქმნა ფრიად მეფე ირაკლი ამას ზედა და ნუგეშიცა ამით არა მცირედ ესე ვითარითა, რა ხედჳდა სიმხნესა შვილის შვილისა თჳსისა.

ლეკთა მათ ლტოლვილთა, თჳსნიცა რაჲცა აქუნდათ, დაჰყარნეს მუნ, და ყოველითურთ სირცხჳლეულნი მიიქცეს ყარაიის გზით. სივლტოლით, სახლთა შინა თჳსითა. და გზათა ზედა მდევარნი საგარეჯოსა და ხიზი-ყისანი ეწივნეს, და მათცა მრავალნი მათგანნი დახოცნეს

ლეკნი, და ესრეთ ფრიად მცირედთაღა დიდის იწროებით და სიმხნელით, ძლივღა მიაწივნეს თავნი თჳსნი სახლთა შინა თჳსთა, მხოლოდ სამასადმდე ვიდრედა კაცთა: ძმაჲ მეფისა დავით შევიდა ტფილისსა შინა გამარჯვებული, და მრავალნი ცოცხალნი შეპყრობილნი ლეკნი შეიყვანნეს ტფილისად, და ალამნი მათნი. და მიეგება მას სიხარულით მამაჲ თჳსი, და ერი ტფილისისა, და მადლობდეს ღმერთსა: და ესეოდენისა მცირედის კაცთა ძლევისა თჳს ესეოდენთა ლეკთა: ჯილდო უბოძა პაპამან მისმან მეფემან ირაკლი მეფის ძმან დავითს ქარვასლა ე. ი. ყოველთა სადგური, ტფილისისა დიდი:

ზამთარსა ამას არა რაჲ ჰყო სხუაჲ მეფემან, თჳნიერ მზადებისა მხედრობათასა, რათა მომავალსა გაზაფხულსა წარვიდეს განჯას, ჯავად ხანსა ზედა, და მიაგოს მას ნაცვალი ორგულებისა მისისა, რომელიცა მან ჰყო მეფისა მიმართ და ტფილისისა. ეგრეთვე მოუწოდა იბრეიმ-ხანს ყარაბაღელსა, რათა შეკრიბნეს მანცა ლაშქარნი ყარაბაღისანი. და მივიდეს განჯას, ოდეს იგი დაუნიშნოს დროცა მეფემან:

## აღამაჰმადხანისა, და მეფისაც ირაკლი ბ-სა სიკჳდილი.

ოდეს მოიწია გაზაფხული, მეფემან ირაკლი უბრძანა და წარავლინა მის ძმაჲ თჳსი დავით მეწინავეთა მხედრობითა განჯასა ზედა. და შეუ გინა მას კვალად სხვითა მხედ-

დეს და მიიწეოდეს იელი ბოულუქად, უსწრო ამათ ბორ-ჩალოთ წარმოსრულმან მეფის ძმან დავით ფრიად მცირედითა მხედრობითა, რომელსაცა ჰყვეს მხოლოდ სამ-ასადმდე ცხენოსანნი მხოლოდ: მიუსწრა მან ლეკთა ჯარეთ მყოფთა იელი ბოლუქადვე, რომელნიცა ჰსტყვევნიდეს მცხოვრებთა დემურჩასანლისათა. და მცირედითა მხედრო-ბითა ქსრეთ ძლიერად ეკვეთა მათ, რომელ მეისვე და-ჰყარნეს მათ ყოველნი იგი ნატყვევნავნი, და ტყვენი, და ნაშოვარნი, და ივლტოდეს. და სდევნნა იგინი, და მოკლეს მხედრობათა მეფის ძისათა უმეტეს ოთხასი კაცი, და მოიმთვნეს უფროს და უმეტეს დახოცილთა მათზედა განსლვასა შინა მდინარის მტკვრისასა. ვინაჲდგან შიშნეულთა ვერღარა ჰპოვეს ადვილად განსავალი მდინა-რისა: ესე იყო, წელსა მასვე. ოდეს იგი აიღეს ტფილისი სპარსთა თვესა დეკემბერსა (რომელ არს ქრისტეშობისთვე) რიცხვსა ა—სა დღესა ხუთშაბათსა, გამარჯვებაჲ ესე იქმნა. და ამისთჳს ერნი ტფილისისა და გარემოთა მისთანი ფრიად მხნე იქმნეს, და იწყეს უმეტეს გულს მოდგინებით აღშენებად სახლთა და საცხოვრებელთა მათთა და მხიარულ იქმნა ფრიად მეფე ირაკლი ამას ზედა და ნუგეშიცა ამით არა მცირედ ესე ვითარითა, რა ხედჳდა სიმხნესა შჳლის შჳლისა თჳსისა.

ლეკთა მათ ლტოლვილთა, თჳსნიცა რაჲცა აქუნდათ, დაჰყარნეს მუნ, და ყოველითურთ სირცხჳლეულნი მიიქცეს ყარაიისა გზით. სივლტოლით, სახლთა შინა თჳსითა. და გზათა ზედა მდევარნი საგარეჯოსა და ხიზი-ყისანი ეწივნეს, და მათცა მრავალნი მათგანნი დახოცნეს

ლეკნი, და ესრეთ ფრიად მცირედთაღა დიდის იწროებით და სიმხნელით, ძლივღა მიაწივნეს თავნი თჳსნი სახლთა შინა თჳსთა, მხოლოდ სამასადმდე ვიდრეღა კაცთა: ძმაჲ მეფისა დავით შევიდა ტფილისს შინა გამარჯვებული, და მრავალნი ცოცხალნი შეპყრობილნი ლეკნი შეიყვანნეს ტფილისად, და ალამნი მათნი. და მიეგება მას სიხარულით მამაჲ თჳსი, და ერი ტფილისისა, და მადლობდეს ღმერთსა: და ესოდენისა მცირედის კაციითა ძლევისა თჳს ესოდენთა ლეკთა ჯილდო უბოძა პაპამან მისმან მეფემან ირაკლი მეფის ძმან დავითს ქარვსლა ქ. ი. ყოველთა სადგური, ტფილისისა დიდი:

ზამთარსა ამას არა რაჲ ჰყო სხვაჲ მეფემან, თჳნიერ მზადებისა მხედრობათასა, რათა მომავალსა გაზაფხულსა წარვიდეს განჯას, ჯავად ხანსა ზედა, და მიაგოს მას ნაცვალი ორგულებისა მისისა, რომელიცა მან ჰყო მეფისა მიმართ და ტფილისისა. ეგრეთვე მოუწოდა იბრეიმ-ხანს ყარაბაღელსა, რათა შეკრიბნეს მაინცა ლაშქარნი ყარაბაღისანი, და მივიდეს განჯას, ოდეს იგი დაუნიშნოს დროცა მეფემან:

## ალამაჰმადხანისა, და მეფისაც ირაკლი ბ-სა სიკჳდილი.

ოდეს მოიწია გაზაფხული, მეფემან ირაკლი უბრძანა და წარავლინა მის ძმაჲ თჳსი დავით მეწინავითა მხედრობითა განჯასა ზედა. და შეუგინა მას კვალად სხვითა მხედ-

რობიითა ძე თჳსი ალექსანდრე. და მოვიდნენ ესე მეფის ძენი განჯას, და აღიღეს ქალაქი განჯაჲ წელსა **1796** სა ქორონიკონს **8**, აპრილს **3**-სა დღესა ხუთ შაფათსა: მაშინ იბრეიმ ხან ყარაბაღისა მოსრული იყო მაჴლობელად განჯისა, და სდგა ქურაქჩაისა მდინარესა ზედა, რომელიცა მორავს განჯასა ორისა მილითა ე. ი. ათოთხმეტისა ვერსითა: ხოლო ჯავად ხანს, ვინაჲდგან, სასახლეცა თჳსი აქუნდა ციხესა შინა, და ყველანი სახლეულებანი მისნი ჰყვეს მისთანა, განამაგრა მან ციხეჲ ჰყვეს მას მეციხოვნენი გამოცდილნი და გულოვანი, და აქუნდა საჭმელთა სიმრავლე, და სახმართა ყოველთავე ციხისათა, აღრიდგანვე მომზადებულნი: გარე შემოზღუდნეს ციხეჲ მხედრობამან მეფის ძეთამან: ხოლო იხილა რა ხანმან ყარაბაღისამან იბრაჲმ, ესე მოვიდა და დასდგა ერთ ვერსთა გარე ქალაქისა განჯისა, ადგილსა, რომელსა ეწოდების იმამზადა, და არა მოვიდეს ესენი ბრძოლასა ზედა ციხისასა, ვინაჲდგან იყვნეს ყარაბაღელნი ყოველნივე ცხენოსანნი მხედრობანი, და არა მკჳრცხლნი, და არცა აქუნდათ მათ ზარბაზანნი:

და ვითარცა იხილა განჯის ხანმან სიმცირე მხედრობისა მეფის ძეთა, რომელთაც შემოეზღუდათ ციხეჲ, იდუმალისა კარითა გამოვიდა იგი ციხით განთიადისა ჟამსა, და ზედა დასხმა მხედრობათა მეფის ძეთასა: მაშინ აღმხედრდნეს მეფის ძენი, და მიმართეს მტერთა, ჰსძლეს, და შეჰყარნეს იგინი ლტოლვილნი ციხესა შინა, და შეიპყრეს მათგანნი კაცნი სამასნი, და რომელნიმე მათგანნი იყვნეს ლეკნი, მათგანნი რომელნიცა

მოემზადნეს ჯავადხანს, და ჭუჩნ ციხეს შინა თჳს თა-
ნა შემწედ ციხისა: ხოლო ესე ძლევაჲ მეფის ძეთაგან
განჯელთი იქმნა მაისის 9-სა დღესა შაბათსა: კვალად
სწორსა ზედა მის გამარჯუებისასა, მაისის ათექჳს-
მეტსა, გამოუხდეს ციხით უმრავლესნი მჴედრობანი,
მათთანა: მაშინ დღესა მას, ძლეულნ ჭუჩნა იგინი მეფის
ძმან დავით, მცირედითა მჴედრობითა თჳსით, და მოიკლა
ბრძოლასა მას შინა აზნაური ვინმე ჩინებული გულო-
ვანი, ერთგული და დიდად საყუარელი ჯავადხანისა. და
მხედართ მძღუანი მისი. ესე აზნაური იყო სომეხი გვა-
რითა და სარწმუნოებითა, და იყო იგი ყარაბაღელთა
სომეხთაგანი, გარნა ადრიდგანვე მცხოვრები ჯავადხანი-
სა თანა: ხოლო ესე აზნაური მოიკლა ჴელთა მეფის ძის
დავითის ბაირაყის მტჳრთველისა (ე. ი. ალამდარისა)
გივისა მიერ, რომელიცა იყო გვარეულებითა ჩინებულ-
თა ოსთაგან, და ესე იყო სიყრმითგანვე აღზრდილი
მეფის ძესა დავითისთანა, და გამოჩინებული გულოვანი
იყო ესე: მას დღესა განჯის ციხით გამოსრულთა მათ
მებრძოლთაგანნი მრავალნი მოსწყჳტნეს და შეიპყრნეს
ცოცხალნი მჴედრობამან ამან მეფის ძისამან დაშთო-
მილნი მათგანნი სირცხჳლეულნი შეივლტნენ ციხესავე
შინა: ხოლო ამას შინა, ვიდრე თიბათჳს (ე. ი. ივნისის)
ნახევრადმდე ათექჳსმეტ გზის მოუხჳდეს ბრძოლაჲ
მეფის ძეთა მჴედრობასა და განჯელთა, და მარადის
იძლივნეს განჯელნი: და მოიკლა მელიქ მაჯნუმ, რომე-
ლიცა იყო სომეხი, მელიქთაგანი ნაღაბართისათა. იყო
ესე ადრიდგანვე ჯავადხანისათა და უყუარდა იგი მას

და პატრიკის ფრიადის უყოფდა, და ცნობილიცა იყო იგი ალამაჭმადხანისა და პატივცემული მის მიერ და თანა განმზრახ იყო ჯავახანისა, და მხედართ მძღუანი მისი ჩინებული და გულდოვანი ქებული: ესე და იყო ბრძოლასა შინა თოფითა მახლობელ ადგილსა მას სადა იგი ბრძოდა მეფის ძე დავით, და ეგრე ჭგიანებდეს მახლობელ მისსა მყოფნი რომელ მოხჳდა მას თოფი მას დავითის ამილახვრის როსტომისა, რომელიცა იყო ერთი თავადთ მოსამსახურეობათაგანი დავითის შჳლი, მე მანმესი, მეფის ძის მილახვარისა, გარნა მრავალთა სხჳათაცა ჰსტყორცნეს თოფნი მასვე დროსა შინა ერთობა. მაშინ შევიდა ქრისტე მოწყლული კოშკსა შინა ფერხისასა მელიქ მეჯნუმ. და შემდგომად არს მრავლის ჟამისა მოკუდა ჭრილობითა მით:

ამას შემდგომად, მოვიდა ყოვლითა მხედრობითა თჳსითა მეფე ირაკლი და ჰყვნდს თანა ძენი თჳსნი პირმშო და მემკჳდრე გიორგი, და ძის ძენი იოანე და ბაგრატ: აქჳნდეს გათ მხედრობასა ურემნი მრავალნი საზრდოთა ალისავსენი და კაცნი მებრძოლნი ფრიად რჩეულნი და აქჳნდათ სახილველობა მხედრობასა მას და ურემთა მათთა ფრიად ზარის საცემელი მტერთა, ურემნი მათნი იყჳნეს დიდი (ვითარცა არს ჩჳწეულებისა მებრ) და ყოველთა ურემსა ებნეს თჳთოეულსა ოთხოთხნი ხარნი და კამბეჩნი, და თჳთოეულის ურემსაზედა იყჳნეს კაცნი ორნი, თოფოსანნი, და სრულიად, ყოვლითა საჭურველებითა მკჳრცხლთათა შეჭურვილნი ხოლო ურემნი იგი იყჳნეს ვიდრე რჳა ათასადმდე

და აქუნდათ ურემთა ზედა ყოველნივე საჭურველნი მოსახმარებელნი ციხის აღებისათჳს, და იარაღნი, და გარდა ამისა ჰყჳდს მეფესა სხუანიცა კუალად უმეტესნი მხედრობანი ქჳწვითთაგანი და რჩეულთა მხედრობათა ცხენოსანთანი მრავალნი.

ურემთა მათ აქუნდათ განწყობა თჳსი, თუ ვითარ და სად, რომელსა კერძოსა შემთხვევისამებრ წინააღმდეგობისა და ადჳლისა დასდგებოდეს იგინი ბრძოლისა ჟამსა და თჳთოეული კაცი ურმისა მის წარვიდოდეს ბრძოლად პირისპირ მტერთა. ხოლო თჳთოეული დაადგრებოდა ურემსა თანა თჳსსა, და ოდესცა დაშჳრებოდეს ბრძოლისაგან ბძანებითა მხედართ მძლჳანთა თჳსთათა მოიქცეოდეს ურემთა მიმართ. და სხუანი შესვენებულნი ურემთა თანა მყოფნი მივიდოდეს ბრძოლად. გარნა არცა ერთსა მებრძოლთაგანსა ძალ-ედვა თავით თჳსით მიქცევა, ანუ უკუნქცევად თჳნიერ ბძანებისა უფროსთა თჳსთა, მაშინ, ოდესცა უბძანებდეს მათ მხედართ მძლჳანნი: ხოლო ბანაკთა შინა აქუნდათ იგი გარემო ბანაკსა, გარე მოხვეულნი, ვითარცა ზღუდე რაიმე და ზედა დასხმისაგან მტერთასა არა რაიმე აქუნდათ შიში ვითარცა მიეახლა მეფე განჯასა, მოეგება მეფესა იბრეიმ ხან, და მიიღო იგი მეფემან შესაბამითა პატივისცემითა; და შეიტკბო იგი ფრიად: ხოლო ვითარცა ისილა იბრეიმ ხანმან ესე ოდენი ძლიერება, და დიდებული მისვლა მეფისა, და უკჳრდა ფრიად, და ვითარცა მბრძოლარე ეგრე იქმნა ხილვასა მას ზედა მეფისა და მხედრობათა მისთასა: მაშინ მოიკითხა ძწლედ მეფემან

იბრეიმხან; და ნუგეშინისცა მას მასზედა, ვინაჲდგან მრავალი წაუხდა, მოსვლასა ზედა აღამაჰმადხანისასა, ხანსა მას ყარაბაღისასა ასიჯნა ნიჯნი მდიდარნი მეფემან, ვინაჲდგან ნაკლულევან იყოფოდა მას ჟამსა ხაზნი: მიბძანდა განჯას მეფე, და შთამოხდა:

მაშინ ვერღარა იკადრეს გამოსვლად გარე ციხისა მხედრობამან და მეციხოვნეთა ჯავადხანისათა. რამეთუ შემოზღუდეს და აიწყეს ფრიად მხედრობამან მეფისამან ციხესა შინა მყოფნი, და განამზადნეს პატრუზნი და კიბენი. და ყოველნი სახმარნი ნივთნი აღებად ციხისა, მაშინ ევედრა მეფესა ფრიად ჯავადხან მიტევებასა ბრძოლათა მისთასა, და შემდგომად მრავლისა ვედრებისა და შუა მდგომლობისა მოდრკა მეფე მოწყალებად ერთ კერძო სიბრალულთა განჯისა მცხოვრებელთა, ვინაჲდგან განდიდნა სენი სიცხისა მიერ და იწროებისა ციხესა შინა შემწყვდეულთა და დღითი დღე იხოცებოდეს მცხოვრებნი მას შინა ურიცხჳნი. და ვინაჲდგან დედაწულნიცა იყჳნეს მრავალნი მათგანნი, შეეწყალნა იგინი მეფესა, და ამისთჳს ინება მიტევება, რათამცა არა მოწყუეტილ იქმნენ მხედრობისაგან მისისა: თუმცაღა მიუტევა მას, გარნა არა ინება წარდგინებაჲ ჯავად ხანისა თჳსთანა, არცა მიუშვა იგი წინაშე მისსა, არამედ დასდვა მას ხარკი ვითარცა ბირჳტლ, და გამოართვნა ტფილისისნი რაოდენიცა იყჳნეს განჯასა შინა შინა ანუ ჯავადხანისა მიერ წარყვანილნი, ანუ მოსყიდულნი მისგან, მხედრობათაგან სპარსთასა, ანუ განჯელთაგან მოსყიდულნი და წარტყუენილნი ყოველნივე უკლებ-

ბლად გამოართვნა, ხოლო იყნეს ტფილისისანი უმეტეს ათასთასა; კჳალად მიუხჳნა ნივთნიცა იგი, რომელნიცა წარეღოთ ანუ მოესყიდნათ სპარსთაგან ჯავადხანს ანუ განჯელთა ტფილისით, და რაჲცა წარეგო მეფესა ლაშ-ქრობასა მას ზედა, ანუ ხანსა ყარაბაღისასა, იგიცა აზღევა მეფემან: გარნა, ვინაჲდგან სრულიად არა ძალ-ედვა მას მოცემა, რომელნიმე აპატივა მას და ესრეთ მოიქცა მეფე, და განუტევა ხანი ყარაბაღისა სახლად თჳსად, მრავლითა ნიჭითა და საბოძვრითა, და ეგრეთვე ჩინებულნი მისნი. და ფრიადის მადლობითა წარვიდა იბრეიმხან: ხოლო მეფე, ყოვლითა მხედრობითა თჳსითა, მოიქცა ძლევა შემოსილი ტფილისად. და ანიჭნა მხედ-რობათა თჳსთა, რომელნიცა ღირს იყჳნეს სიმხნისათჳს მათისა, ჯილდონი და წყალობანი მრავალნი: მცირედ ჟამ დაჰყო მეფემან ტფილისს, და მიიქცა, კახეთადვე, თელავს, სადა იგი ჰყჳნს თჳსნი სახლეულებანი.

ხოლო ჯავადხან დაშთა ციხესავე შინა განჯისასა, არღარა დაშთა მას სრულიად განჯისა საზღჳარსა შინა არცა ერთიღა სოფელი შენად, აღუოხრდა ქალაქი მისი, სრულიად ციხისა შინა მისსა, ჟამსა მას გარე მდგომი-სა მეფისასა, მოსწყდეს სენისათჳს, (1) მცხოვრებთაგან განჯისათა, ათი ათასი სული: მიეღო მას ნივთნი იგი, რომელსა ზედაცა აქჳნდა მას სასოება, და ესრეთ ყო-

(1) ვინაჲდგან ზაფხულსა შინა ზომისაგან უმეტეს არს სიცხე მარადის, განჯას, ციება და ცხელება ფრიად მავნებელი არს მუნ ხშირად.

ვლითურთ განწირულებასა შინა მიწევნილსა, ვერღარა რაჲსამე მწე ექმნა აღამაჴმადხან, ვერცადა სპარსნი, და ვერცადა სხუანი მახლობელნი მისნი, და სინანულსა შორის იყოფოდა იგი.

ამასვე წელსა 1796, ოდეს მოიქცა მეფე განჯით ტფილისად, მოვიდეს რუსიის მჴედრობანი მრავალნი დიდის განმზადებულებით, წარმოვლინებული იმპერატრიცა ეკატერინეს მიერ, მძღვანელობასა ქუეშე გრაფ ვალერიანე ზუბოვისასა, მოიწივნეს დარუბანდის გზითა, და დაიპყრეს (1) დარუბანდი. ყუბა, ბაქო, სალიანი და შამახია, და გავიდა მჴედრობაჲ მისი მდინარესა მტკუარისასა, დიდის მას მინდორსა ზედა მუღანისასა. ხოლო მაშინ აღამაჴმადხან ჯერეთ არა მოქცეულიყო ხორასნით, არამედ იპყრობდა მუნ ადგილთა ხორასნისათა, რომელნიცა არა იყვნეს ქუეშე ჴელისა ჴელმწიფობისა მისისა: ხოლო ზუბოვმან წარმოგზავნა მხედრობითა ღენერალ მაიორი კორსაკოვი და მოვიდა იგი პირუტყლად განჯას და მუნ მიეგება მას განჯის ხანი ჯავადხან, ზმანებით და კითხვით მეფის ირაკლისათა, დაისტუმრა იგი ფრიადის პატივისცემითა, და გამოუცხადა მას ერთგულებაჲ რუსეთისა კარისა, და მორჩილებაჲ თჳსი მეფისა ირაკლის მიმართ, შეიყარნა მჴედრობანი რუსთანი ციხესა შინა, მიართვენა

---

(1) ესე ადგილნი მახლობელ არიან კასპიის ზღჳსა. ერთ კერძო ახლავს მთაჲ კავკასია. და რომელნიმე ადგილნი ამათგანნი მახლობელ არიან მდინარისა მტკვრისა.

მას ძლჳერნნი და მხედრობათა მისთა ყოველნი სახმარნი რაჲცა მას ჴამსა მოუპოვებოდა მას. მაშინ კორსაკოვმან დაუტევნა განჯის ციხესა შინა რაოდენნიმე მხედრობანი და თჳთ წარმოვიდა მხედრობითა (1) თჳსით ტფილისს, სადაცა მიიღო მეფემან დიდის პატივისცემითა, და მხედრობანი მისნი დაჰყენნა სოფელთა შინა ქართლისა და კახეთისათა, და მისცნა მათ საზრდო, და ყოველნი-ვე სახმარნი საკმაოდ: ხოლო განიზრახეს მეფემან და კორსაკოვმან ერთად, ვინაჲდგან განზრახვაჲ იმპერატ-რიცა ეკატერინასი იყო ესრეთ, რათამცა გრაფ ვალე-რიანეს გელისა ქჳეშეთა მხედრობათა წინამძღჳარ ექმნენ მხედრობანი მეფისანი და რათამცა აღარჩიოს მეფემან მხედრობანი რჩეულნი საქართველოსანი და უწინამძღჳ-როს მათ ერთი ძეთა ანუ ძის ძეთა თჳსთაგანი, და ექმნას წინამძღჳარ მხედრობასა რუსთასა, და შევიდნენ შინაგან სპარსეთისა, და დაიპყრან ქჳეყანანი და ქალაქნი სპარსთანი, და მისგან შური აღამაჰმადხანს, რომელი-ცა ჰყო მან ტფილისს, სამაგიეროდ მისსა. ხოლო ღე-ნერალი კორსაკოვი რათამცა დაშთეს საქართჳელოსა შინა, მხედრობითა თჳსითა, მეფისა ირაკლისა თანა-ვინაჲდგან განიმხედრებენ მხედრობანი საქართჳელოსანი სპარსეთისა, რათამცა არ აქჳნდეს შიში საქართველოსა სხჳსათა მეზობელთაგან მათთა: სთნდეს განზრახჳსანი

(1) განჯით მოსრული, გარდავიდა კახეთად თელავს და ესმა რა მოსვლა რუსთა, გჳალად მოიქცა ტფილი-სადვე.

ესე მეფისა ირაკლის ფრიად განმზადებად მის ძესა თჳსსა დავითს, წარვლინებად მხედრობითა ფრიად რჩეულთა, წინაწარმძღოჳანებად, შეყვანად უშინაგანესსა სპარსეთსა შინა გრაფ ვალერიანე ზუბოვისა ყოვლითა მხედრობითა თჳსითა: მაშინ შემდგომად არა მრავლისა ჟამისა, გარდაცვალებული იქმნა რა იმპერატრიცა ეკატეირინა მეორე, და მიიღო საყდარი მისი ძემან მისმან იმპერატორმან პავლემან პირველმან, უკუნ აქცივნა მან ყოველნი მხედრობანი რუსიისანი რუსიადვე და ყოველნი ესე დაწყობილობანი შეიცვალნეს სხუებრ.

ჯერეთ არა უკუნქცეულნი იყვნენ რუსნი, ოდეს მოიქცა აღამაჴმადხან თეჰრანად, და ვითარცა ესმა მოსლვა რუსთა მხედრობისა, და დაპყრობა ადგილთა მათ გარემოთა საქართველოსათა, და ერთბამად განმზადება საქართველოჲსაცა მხედრობისა და შესვლად შინაგან სპარსეთის შინა, შეძრწუნდა ფრიად, გარნა არა შეიმეცნივა მაშინ შიში, არამედ განრისხებულისა სახითა განმზადებდა ფრიადსა მხედრობასა, წინააღმდეგობად რუსთა და საქართველოჲსა მხედრობათა: ამას შინა გრაფ ზუბოვმან ვალერიანე აჴყარნა მხედრობანი თჳსნი, და უკუნ იქცა რუსიად. და რომელნიმე ნაწილნი მხედრობისა თჳსისანი წარმოავლინა საქართველოსა შინა რათამცა გარდავიდნენ იგინი რუსიად დარიელსა კარისა გზით. და სთხოვა მეფესა ირაკლის გზაჲ, რომელნიცა მისცნა მათ ნება. მაგრამ სწუხდა მეფე ამა საქმეთა მოშლისათჳს: მაშინ წარავლინა მის ძეჲ თჳსი, მეფის ძე დავით წინაშე იმპერატორისა პავლესსა. მიუღოცა

აღსლჳა ტახტისა იმპერატორობისა, და სთხოვა მოუშლე-ლობა საქმისა ამის, რომელიცა იმპერატრიცამან დედამან მისმან, რათამცა შევიდეს მჴედრობა რუსიისა სპარსეთად. აღუთქმიდა მეფე რათამცა წინამძღვანელ მათდა ჰყოს მჴედრობანი თჳსნი რჩეულნი, და ყოველნივე რა-ჲცა საჭირო იქნებიან მჴედრობისათჳს რუსიისა ყო-ველსავე შეწევნასა, დიდისა გულსმოდგინებითა ჰყოფდეს მეფე მათდა მიმართ.

მიიღო იმპერატორმან პავლე მეფის ძეჲ დავით შესა-ბამისს პატივისცემითა ვითარცა შჳენის ძეთა სახლისა მეფეთასა, და აღუთქჳაცა მეფესა აღსრულებასა ამას თხოვნილისა მისისა. მაგრამ აღრეულდა მიზეზთა გამო სხჳსათა და სხჳსათა, ვინაჲდგან არა ენება მას განზრახუ-ლისა მის აღსრულებაჲ და ბრძოლა სპარსთათანა.

სთნდა უკჳე სიკეთეჲ მეფის ძის დავითისა, და უბძანა რჩევით რათამცა მიიღოს დაწყსება მჴედრობასა შინა მისსა, და ეტყოდა «ისწავე შენ ამით ჩემთანა საქ-მესა მჴედრობისათა, და ასწავე შენ ყმათა შენთა მჴე-დრობასა საქართველოსასა, ვინაჲდგან მამისა შენისა საქართველოს სამეფოჲსა ტახტის მემკჳდრისა პირვე-ლი შჳლი ხარ შენ და მემკჳდრე მისი, რათამცა გაქუნ-დეს სწავლა საქმეთაცა ევროპიულთა, და მაშინ ვერღარა მომრევ გექმნენ მტერნი თქუენნი:» ხოლო მეფის ძის ძემან ჰკითხა პაპასა და მამასა თჳსსა ესე, და მათცა ნება სცეს, და დაავედრეს რათამცა ისწავლოს მან საქ-მენი სამხედრონი ევროპიულნი გულს მოდგინებით: მაშინ დაასწრეს იგი იმპერატორმან პავლემ პრეობრა-

ჟუნიის (1) პოლკსა შინა დრაგონისასა, პირველად აღნიშნა იგი პოლკოვნიკის ხარისხითა, და პატივს უყოფ-და მას იმპერატორი ფრიად, არათუ სთვლიდა მას სხუა-თა შორის, ხოლო წარსაგებელი ყოვლისავე სრულიად ყო-ფისა შინა მეფის ძისასა სანკტპეტერბურგად იყო სა-კუთარი თჳსი; და არცა ერთსა რასა მიიღებდა გარისა-გან როსსისა: მაგრამ სათნო ყოფისათჳს იმპერატორი-სა, და განმცდელობისათჳს თავისა თჳსისა, ყოველთა ზედა გული მოდგინე იყო სწავლისა, და ჩჳეულებად თჳსისა, იმპერატორისა მიმართ და ფრიად მარჯუე იყო ყოვლისავე შინა მოძღვრობასა სამხედროისა.

ხოლო მომავალსა გაზაფხულსა, წელსა ქრისტესით 1797-სა, ქორონიკონს. ქრ. უპე. მოიცალა აღამაჰმადხანმან ხორასნის საქმისაგან, და დიდისაგან მზადებულებითა მხედრობისათა წარმოვიდა თეირანით, და მოვიდა არდავილს: მაშინ რუსთა მხედრობანი. ვა-ლერიან ზუბოვი, და სხუანი მიცვალებულიყვნენ რუსეთად დარუბანდის გზით, და რომელნიმე მხედრობანი მისნი წარმოვიდეს საქართუელოს გზით, და დამთეს საქარ-თუელოს შინა შემოდგომის ჟამადვე.

ესმა რა იბრეიმ ხანსა ყარაბაღისასა უკუნ ქცევა რუსთა, და მოისმა მეორედ მოსვლად აღამაჰმადხანისა, ვერღარა ძალ იდვა მან განმაგრებად შუშის ციხისა, ვი-ნაიდგან მცირედნიღა დაშთომოდეს მას მცხოვრებთაგა-

(1) არქუბრაყუნის ფერის ცხენებად გამოთარგმანე-ბის.—

ნნი ყარაბაღისა. ვინაჲთგან მიზეზითა აღამაჰმადხანის მიერ წარტყუჱნილისათა, ყოველნი მცხოვრებნი რომელნიცა განერნეს, ანუ დაშთეს, მათ შემდგომთაცა წელთა არარა აქუნდათ ხუნაჲ და თესვაჲ, ვინაჲთგან არარა ჰყუჱათ მათ პირუტყუჱნი, და დაიმშნეს: ამისთჳს აიყარნეს, და შევიდეს უმრავლესნი მათგანნი საქართველოსა შინა, ქართლსა, კახეთსა, და სხუათა ადგილთა შინა, და მუნ განმოიზარდნეს, და მრავალნი მათ მცხოვრებთაგანნი დაშთეს საქართველოსა შინა, და არღარა უკუნიქცეს ყარაბაღად, არამედ დაეშენნეს საქართველოსა შინა: ხოლო თჳთ იბრეიმხანს რაჲცა საკუთარი მისი ჰყუეს რემანი ცხენთანი, მროწლენი ძროხათანი, ყოველივე წაროყუჱწნეს სპარსთა: რამეთუ ჰყუჱა მას გარემე სხუათა პირუტყუჱთა ათი ათასი ხრდალი ცხენი, რომელნიცა წლითი წლად მოიგებდეს არარა აქუნდეს მას პური, არცა საზრდო რაჲმე, არცა წამალი თოფისა, არცა ტყჳა. და ამისთჳს დააგდო ციხე მისი, და მცხოვრებნი მას შინა, და წარვიდა დედა წული თჳსითურთ, და ყოველითა საზღუულებითა, და რომელნიმე მცხოვრებნიცა ყარაბაღისანი ციხით წარყუჱწს მას, და რომელნიმე დაშთეს მუნ, და სხუანი განიბნივნეს სხუათა და სხუათა ადგილთა:

მაშინ წარვიდა იბრეიმხან ლტოლვილი ყარაბაღით ყოველითა თჳსითა მეოჯითა. განვლო მდინარე მტკუჱრისა და ალაზნისა, მივიდა და შეეხიზნა ლეკთა ჭარისა მოსახლეთა, და დასახლდა იგი დიდსა მას სოფელსა შინა,

რომელსაცა ბელექსად (1) სახელს დებენ. მაშინ ადვიდა ალამაჭმადხან, და შევიდა ციხესა შინა შუშისასა, ყოვლითა მხედრობითა სპარსთათა, და დასდგა მუნ. და

---

(1) მოსრულმან ალამაჭმადხან· იხილა რა ხიდი არეზისა მდინარისა შთაქცეული, და ვერღარა გამოვიდა მას ზედა, და უმეტეს იყო მრისხანება იბრეიმხანსა ზედა, ვინაჲდგან სცნა რომელ შთაქცევნა იგი იბრეიმხანმან დასაბრკოლებელად ალამაჭმადხანისა: მაშინ, თუმცალა ესოდენ განდიდებულ იყო მდინარე, რომელ კიდეთაცა მდინარისათა გარდასრულ იყვნეს წყალნი, და დაეპყრათ გარეშე კიდისა წყალთა ვრცელნი ადგილნი, ნავნი მდინარესა მას შინა, მას ადგილსა, სიმსწრაფლისა გამო მდინარისა, და მიზეზითა კლდოვანთა ადგილთათა, შეუძლებელ არიან ყვანებად, მაგრამ არა მიხედა საშინელებასა მას მდინარისასა ალამაჭმადხანმან, არამედ მოუწოდა კიდეთ მხედრობასა თჳსსა, და განამხნო იგინი და უწინარეს ყმათასა შევიდა თჳთ, ცხენსა მჴედომარე და უწინამძღუარ ექმნა ამათ, და შეჭყუჩნეს ყვანით წარჩინებულნი მისნი და ყოველნი მხედრობანი ცხენოსანნი და ეგრეთ განვიდა მსუმუქითა მხედრობითა თჳსითა, თუმცა მოუშთნეს კაცნი არა მცირედნი: განაჩინნა კაცნი სამძიმოთა მხედრობისათა და ქუეითითა გამოსხმად და თჳთ ყოვლითა დევნა უყო იბრეიმხანს, გარნა ველარა ეწია მას და დასდგა ქუემორე შუშის ციხის, და ელოდა სადაცა მოვიდეს ყვანით დაშთომილნიცა მისნი მხედრობანი:

ფრიად მრისხანებდა იბრეიმ ხანსაზედა. რამეთუ ვერ იგდო იგი ხელად. წარავლინნა მხედრობანი თჳსნი გაღმართ მდინარისა მტკვრისა, შირვანსა და შაქსა ზედა, და მოუწოდა თჳს თანა ხანსა შამახიისასა, და მოიყვანა თჳს თანა. და ვითარცა მოვიდა იგი, შეიპყრა იგი, ამის თჳს ვინაჲდგან მოსლვასა ზედა რუსთა მხედრობისასა, მიეგება წინა ზუბოვსა მუსტაფახან და ზუბოვმან მიაპყრა მას დიდი პატივი: ეგრეთვე ჯავად ხანმაცა განჯის ხანი მოიხმო თჳსთანა, და შეიპყრა იგი, და ენება აღამახმადხანს ორთავე მათ მუსტაფა ხანისაცა და ჯავად-ხანისაცა დასჯაჲ სიკვდილითა: მაშინ დიდისა განმზადებულებითა ჰყოფდა მოსწრაფებასა წარსვლად საქართველოსა ზედა, მაგრამ ესმოდა ამბავნი, რომელ ჯერეთ არიან მუნვე სიმრავლე რუსთა მხედრობისა..

ხოლო მეფე ირაკლი, თუმცა იყვნეს მუნ ჯერეთ მხედრობანი რუსთანი, მაგრამ, არა სასოებდა მათსა ზედ, ვინაჲდგან განმზადებულ იყვნეს იგინი მიქცევად რუსიად. არამედ მეფე და ძეჲ მისი მემკჳდრე გიორგი განამზადებდეს ყოვლისა გულსმოდგინებითა თჳსითა მხედრობათა სრულიად საქართველოჲსასა, და ენებათ ბრძოლისა ყოფა აღამახმად ხანის მიმართ და იყოფოდეს იგინი მას ჟამსა ტფილისს: მეფე სადგურებდა სასახლესა შინა დედოფლისასა ფრიად სახელდებულისა და მეფის ძე მემკჳდრე მუნვე, მახლობელ მეფისა. ხოლო სახლეულებანი მეფისანი ყოვლივე იყვნეს თელავს, და სახლეულებანი მემკჳდრისანი მარტყოფს, დიდსა შინა დაბასა ნოროისსა, რაჲცა, არს შორს არს ტფილისით.

მას ჟამსა ოდეს იგი იყო ალამაჭმადხან ციხესა შინა შუშისასა, და ენება დღეთა მათ წარმოსლვა ყოვლითა ძალითა თჳსითა, მაშინ შეითქვნეს მსახურნი მისნი შინაგანნი, რომელნი მარადის მახლობელ მისსა მსახურობდეს, ცუდად ვინმე ისპანელი, და ორნი სხვანი მხევალნი მისნი, და თანა მოსამსახურენი ალამაჭმადხანისანი: რამეთუ დღესა ერთსა, თვესა თიბათჳსასა, რომელიც არის იუნისი, წელსა ქრისტესით **1797**, ქორონიკონს ოპზ. მეათოთხმეტისა მოქცევისა, ოდეს იგი განთიადსა ილოცა (1) ალამაჭმადხანმან, წესითა თჳსითა, და მერმე დაიძინა, მაშინ შეთქმულნი იგი მსახურნი მისნი დაესხნეს მას ზედა, კარავსა შინა მისისა, სადა იგი ეძინამას, და აღიღეს დანაჲ მისი დიდი, რომელი ერტყა მძინარესა, წელსა მისსა, ჩვეულებისა მებრ სპარსთასა, დააწვნეს მძინარესა მას თავსა, და რა ჟამს განეღჳძა მას ეპედრა მრავალსა, გარნა არა შეიწყალეს იგი, არამედ განგმირეს მახჳლითა მით, იღლიასა ქჳტშე, და მოკლეს და დააბურნეს მას საბურველი საბანნი, და აღიღეს სამკაულნი მისნი, რომელსა სპარსნი უწოდებენ ბაზმანდსა, რომელსა შინა სხდეს უძჳრფასესნი თვალნი სპეკალთანი, წარმოიღო ესენი და მო-

---

(1) ჩუეულება ალამაჭმადხანისა იყო ესრეთ, რომელ არცა ერთსა ღამესა არა დაიძინებდა იგი, არამედ საქმეთა შინა ივლის მარადის და მახლობელ განთიადისა აღასრულებს ნამაზსა, რომელ არს ლოცვა მათი, და მერმე განისვენის ძილად.

ვიდა წინაშე მას ყამსა პირველისა მხედართ მძღვანისა აღამაჭმადხანისა სადუხ ხანისა შაღაღელისა მიმართ, და გამოუცხადა შემთხვეულებაჲ ესე საიდუმლოდ ყოველივე, ხოლო იგი არა ირწმუნებდა სიტყუასა მისსა, და შემდგომად მრავლისა დარწმუნებისა აღმოიღო უბით და უჩუენა მას საკლავენი იგი რომელსა არა განიშორებდა არაოდეს თჳსთან აღამაჭმადხან, და მისცნა იგინი მას: მაშინ ფრიად შეშფოთებულ და შეძრწუნებულ იქმნა სადუხ-ხან, და არა იცოდა ჯერეთ თუ რაჲ ქმნას, დაჰკითხა მკვლელსა მას აღამაჭმადხანისასა თუ რაჲსა მიზეზისათჳს მოაკვდინეს იგი, და მიუგო მან. «გვწადდა ჩუენ სიკუდილი და შიშით თავისა ჩუენისათა, მოვაკვდინეთო იგი.» ხოლო სადუხ ხან, მოეგო რა თავსა თჳსსა, უთხრა მკულელსა მას, რათამცა არავის უთხრას საქმეჲ ესე და სდუმნენ იგინი ვიდრემდის მე თჳთ მოვიდოდე გარავად აღამაჭმადხანისა: მაშინ აღსდგა სადუხ ხან, და შეიმოსა სამოსლითა მით, რომლითაცა აქუნდა ჩუეულებაჲ მარადის მოსლვისა აღამაჭმადხანსა თანა, და წარვიდა გარვად მისსა რაოდენითამე მისანდოთა გაცებითა თჳსითა, შევიდა თჳთ მაშინ მისსა, და იხილა მოკლული იგი ესრეთ მდებარე, შესწუხნა ფრიად და იტირა მასზედა მდუმრიად მრავალი, და შემდგომად მოუწოდა, რეცა ბძანებითა აღამაჭმადხანისათა მხედრობათა თჳსთა რჩეულთა, მისანდოთა მისთა, და უბძანა მათ, რათამცა აღმხედრენ იგინი მსწრაფლ, რომელ ჯერეთ არა გამოეცხადების საქმე ესე მხედრობასა, ვიდრე განსვლადმდე, და განშორებად ციხისა მისგან: მაშინ

აღიღო რომელნიმე ნივთნი აღამაჭმადხანისათა სადუხ ხანმან, და წარიღო, და ხუთის ათასითა მხედრობითა გამოვიდა დღესა მეორესა სიკჳდილისა მისისა, განემორა ციხესა შუშისასა, და მიჭმართა სახანოსა თჳსისა მაღალისა კერძოსა: ხოლო მკვლელნი იგი აღამაჭმადხანისანი არა წარიყჳანა თანა, არამედ დაშთეს იგინი ციხესა შინა შუშისასა: მაშინ ჰსცნეს რა მხედრობათა აღამაჭმადხა-ნისათა საქმეჲ ესე, და სიკჳდილი აღამაჭმადხანისა, შე-ედვათ მათ ფრიად აღრეულებაჲ, და განიყვნეს იგინი სხჳად და სხჳად ნაწილად, და ძრცჳდეს მოყჳასი მოყ-ვასსა, თჳსსა და ხოცდეს ურთიერთსა.

(განგრძელება შემდგომ იქნება.)

# წავიდა ის დრო.

(სატირული ოხუნჯობა.)

ხორა უაზრო მწერლებისა.

(მღერიან.)

ჩუჱნ ვიყავით რაც ვიყავით,
ჩუჱნ უშუჱლეთ საქართუჱლოს,—
თუ ჩუჱნ არ ვყოფილვიყავით,
ის ჭაყვებოდა ამ ცუდს დროს.
დიდება ღმერთსა მაღალსა!
დიდება ჩუჱნ ძლიერებას!
დიდება ცისა ძალასა,
დიდება ჩუჱნსა დიდს ცოდნას!

ხორა სიძველის მქადაგებელის მწერლებისა.

(მღერიან.)

ჩუჱნ ჩუჱნის ქადაგებითა,
ხალხში სიგეოუ დავთესეთ,

და ძუელის ჩუენის აზრითა—
ძუელი დრო არს მოგვშალეთ.
ჩუენის მეცადინეობით—
საქართუელო სდგას ერთს ალაგს:
თუ ჩუენ არ ვყოფილვიყავით,
უწყებდა ევროპას ბაძვას.

ხორა უაზრო მწერლებისა.
(მღერიან)

ჩუენც დიდი სიკეთე ვქენით,
მაგ გუარ კეთილს საქმეშია:
ჩუენის სწავლულის მწერლობით,
ხალხი გვეჭირა ხელშია.
და ნიადაგ ჩავძახოდით:
კარგათ ესწავლათ მონობა,
უღელი რომ მიეშჯრათ
ეთქუათ მძლავრისთჳს მადლობა.

ორივ ხორა ერთათ (მღერიან.)

დიდება ღმერთსა მაღალსა,
დიდება ჩუენს კელოვნებას,
დიდება ცისა ძალასა,
დიდება ჩუენს მოქმედებას!

სიძველის მქადაგებელნი.

ახლა უფრო მარჯუე დრო გვაქუს, რომ ჩავაგონოთ ხალხსა ჩუენი მტკიცე და მაღალი აზრები: ეხლა მოვედით «საქართუელოს მოამბის» რედაკტორთან და მოუტანეთ სხუა და სხუა თხზულებები, რომელიც პირველს №-ში უნდა დაიბეჭდონ... ჭვაი გიდი!... მაშინ

უყურე თუ ჩჳჱნ ქართველები ისევ იმ ჩჳჱულებასა და განათლებაზედ არ დავაყენოთ, როგორც თარგამოს ქართველთ მამის დროსა ყოფილან: ჰეი! ჰა, ჰა, ჰა! რა კარგი იქნება და! ერთიც ვნახოთ... ჩჳჱნი ქალები ისევ ისე მზეთ უნახავები ხდებიან და თუ არ თავის ძმისა და ნათესავისა სხჳსა არავის ხმას არ გაიგონებს... და კიდევ ვინ იცის რამდენი სხჳსა... ერთიც ვნახოთ... მაგრამ რა ვნახოთ: წავა რაღა! ჯერ რომ, ერთის ჟურნალით რა ვქენით! ახლა ორი იქნება და მაშინ უყურეთ რას ვიზამთ.... ზოგიერთებს უნდოდათ, რომ რაღაცა ჯანაბეთი ქჳჱყნის, ევროპია თუ რაღაცა, იქაური ჩჳჱულება და განათლება შემოეტანათ ჩჳჱნს დალოცვილს საქართველოში; თითონ «ცისკრის» რედაკტორიც მაგ აზრისა იყო, მაგრამ თავის ქეიფის ხალხი და მწერლები მალე შევაშინეთ და შეუკარით... და დაგვრჩა ჩჳჱნ ბურთი და მოედანი...

უაზრო მწერლები.

ჩჳჱნ ძალიან საქმე უყავით ცისკარს და ქართულს მეცნიერებასა: ისეთი რამეები ვსწერეთ, რომ ყარამანიანი და ომანიანი ღმერთმა შეარცხჳნოს... ოო! ეხლა გვაქჳს კარგი რამა ახალის ჟურნალისათჳს,.. რა იქნენ, რედაკტორებია თუ რაღაცა, მივცეთ ერთი, რომ ამაზედ უწინ არა დაიბეჭდოს რა.

სიძჳჱლის მქადაგებელნი.

არ შეიძლება ერთი თქჳჱნი დაწერილი რამ გვიჩჳჱნოთ?

უაზრო მწერლები.

(ყველანი ერთად).

რატომ, რატომ! (ყველას უნდა, რომ თავისი წაიკითხოს და არ აცლიან ერთმანერთს.)

**1** არა, ჯერ მე წავიკითხავ...

**2** არა, ჯერ მე წავიკითხავ...

**3** არა, ჯერ მე: ჩემისთანა შენი რათ იქნება: ჩემს თხზულებაში ყარამანზედ უფრო ღონივრები არიან. მე ვსწერ, რომ ყუზელ-ყარამანმა ერთის შებერვით ყარამანიცა და სალბიხურამანიც, ზღჳას იქით გადაგდო! აი ბატონო, წავიკითხოთ...

**4** არა, ჯერ მე დამაცადეთ, ჩემისთანა როგორ იქნება! ბათარიანჯან მდევს სამასი ათასი თავი აბია და თითო მუსუნთქჳაზედ თითო თავი ათას ათას ვარსკჳლავს ჩაჭყლაპავს ხოლმე- თითქო იმისი თავზედ იმისთანა მეიდნიებია, რომ თითო პოლკი რუსის დრაგუნის ჯარი დადგება ხოლმე და ბათრიაჯან მდევი ბუზის ოდენათაც ვერ ჰგრძნობს. აი წავიკითხოთ...

**5** ეგ რა არის! ჩემისთანა როგორ იქნება: ჩემი სამეცნიეროა...

ოთხნი წინანი ერთად. (შეტევით).

ჩჳტნიკი სამეცნიერო არ არის! აბა ამისთანა დასწეროს ვინმე ეხლანდელს დროშია!,..

**5** არა, ბატონო, ჩემი სხჳა რიგია. აი რა გახლავსთ: ვიღაცა რუსებს, რომ დაუწერიათ, ვითომც დედამიწა ბრუნავდეს და მზე იდგეს და ლამის ამ სიცრუით ქუჳყანა დააჯერონ და ქრისტიანობაზედ ხელი აალებინონ

თავათ ახალ გაზდა ყმაწვილები სულ დაავჯერეს. მე ამის გასამტყუნებლათ აი რას უწერ: თითონ სამ. . . . . .
. . . . სწერია, რომ მზე დამდგარიყო. . . . . . . . .
მეორეც ესა, თუ დედამიწა ბრუნავს: რატომ ან თაზრო არ გვეხვევა, ან ქვესკნელს არა გვხედავთ, ან თავდაყირ, არ ჩავცვივით, ან ერთი, ან მეორე!......... მე ბევრს ამისთანაებს უმტკიცებ. აი, ბატონო, მოიხსენიეთ...

6 მოიცადეთ, ბატონო, მე უფრო კარგი რამა მაქვს წასაკითხათ. ზნეობის გასამართი.... (ამ დროს გამოდიან «მოამბის» რედაქტორები.)

ყველანი ერთათ, (ერთმანერთს.)

ოჰ! ესენი უთუოთ სულის კაცნი უნდა იყვნენ, რომ წვერები გამოუშვიათ! მავებიც რომ ჩაუცვამთ! უთუოთ ბერათა დგებიან და ამათ ყურნალი უფრო სამღრთო წერილის საგნებს დასწერს.

7 მე მაქვს სამღრთო წერილისა ბევრი რამა: მე ვნახე სიზმარში, რომ ვინც დღე გამოშვებით პურსა სჭამს, დღეში ათჯერ ილოცავს და არც წირვას და არც ლოცვას არ დააკლდება, ის ოცს წელიწადს უკან ხორცშესხმული ზეცას ავა მამა იაკობის კიბით, რომელიც იმან სიზმარში ნახა....

რედაქტორები

ბატონებს გახლავართ! რისთვის გასჯილხართ თუ უკაცრავათ არ გახლდეთ?

ყველანი ერთათ

ჩვენ მოვიტანეთ თხზულებები დასაბეჭდავათ და გთხოვთ, რომ პირველსავე იანვრის წიგნში ესენი დაბეჭდოთ.

ერთი რედაქტორთაგანი.

(ართმევს ერთის უაზრო მწერალთაგანს თხზულებას) ეს რა გახლავს! ლექსები?

უაზრო.

დიახ! მოითმინეთ, მე თითონ წაგიკითხავთ (კითხულობს ვეფხვის ტყაოსანის ხმაზედ.)

ხბო მოდიოდა ღმუილ ღმუილით,
მგელი მოჰქონდა წმუილ, წმუილით..
მოვა ის დროცა ქშუილ ქშუილით:
ხბო მგელსა სჭამდეს ხრამუნ, ხრამუნით....

ერთი რედაქტორთაგანი

(გაამშვებინებს) კმარა, კმარა! მაგისთანა უშვერს და უაზრო ლექსებს ჩვენი ჟურნალი ვერ შეიწყნარებს...

უაზრო.

რატომა! ჩემზედ მოწყობილი ლექსები ვისა აქვს??.

ერთი რედაქტორთაგანი

მე მართლა არ გახლავართ, აი ესენიც რედაქტორები არიან.

უაზრო.

აბა ბატონო, ნახეთ, ამისთანა ლექსები აქვს ვისმე?

რედაქტ.

თქვენ იცით პოეზია რაც არის?.

უაზრო.

დიახაცა და ვიცი.

რედაქტ

მაშ, ჯერ მატემატიკურის შერდგენილობით, შეერთებული და განცალკევებული განმარტეთ და ალმი-

ხსენით; მერე მოიყვანეთ სისტემატიკურს წესზედ, შემდგომ დაუდეთ საშინელი პოეზიის მნიშვნელობასა.

უაზრო.

(ბუტბუტებს) მათემატიკა! პოეზია! სისტრიკ მისტრიკა! ოო! ძრიელ სწავლული უნდა იყვეს!

ყველანი: უაზრონიცა და სიძველის მქადაგებელნიცა. არა ბატონო! ჩვენ ფრანცუზული და ინგლიზური არც გვისწავლია და არც გვეყურება, ქართულათ გვიბრძანეთ: მათითიკაცა, პოეზიაცა და სუსტიმისკაცა, მაშინ იქნება გავიგოთ და კიდეც შევარდგინოთ ცალკეცა და მარტოცა: თუკი შეიძლება, რატომ არშევარდგენთ.

რედაკტ. *

მოითმინეთ! ერთიც ეს კიდევა: ჩვენი ჟურნალი ვერ შეიწყნარებს ვერა სტატიასა თუ ან ერთი გრამატიკული, ან ერთი სიტყვაც არის ლოღიკის წინააღმდეგი მოვიდა.

ყველანი.

ოო! ეს ძრიელ სწავლულსა ჰგავს! ეს უთუოთ ფარეჟში იქნება ნამყოფი...

უაზრონი.

ე! ეგ ჩვენი საქმე არ არის; წავიდეთ ისევ ცისკართან. ჩვენ უჩვენებთ მაგათ ნოშებსაცა და მათრახებსაცა (გადიან)

სიძველის მქადაგებელნი.

ჩვენც თხზულებაები მოგართვით და არ გიცით რას გვეტყვით!...

რედაქტორები.

თქჳენ რასა ჰსწერთ?

1 მე ვსწერ, რომ ჩჳენს ქალს სწავლა არ უნდა, თორემ ძალიან ირყვნებიან ზნეობითა და აღარ გვემორჩილებიან... ამას მე სხჳა და სხჳა საბუთებით ვამტკიცებ, რომ სწავლა ჯერ კაცისათჳს მაწყინარია, თორემ ქალისთჳს რა იქნება... სწორეთ დამღუპავი სენია.

რედაქტორები.

არა! ჩჳენ მაგისთანა უგვან სტატიებს ვერ მივიღებთ.

თქჳენი რაღა გახლავსთ?

მე ვსწერ, ბატონო, რომ თუ მამა-პაპის ჩჳეულებას გადუდექით რაშიმე სულ დავიღუპებით მეთქი და ევროპიელებივით უშჳერები შევიქნებით...

რედაქტორები.

მაგისთანა სტატიებსა ასკაჩენსკი და კატკოვილა ჰბეჭდიან მთელს ქჳეყანაზედ და თუ გნებავთ გადათარგმნეთ რუსულდათა და დაბეჭდინეთ, ფულსაც მოგცემენ....

თქჳენა?

3 მე, ბატონო, ვასნობ, რომ ქართული ენა ძრიელ წაახდინეს, მეტადრე მოლაყბეებმა—და იძახიან, რომ იმისთანა ენაზედ უნდა ვსწეროთო, რომ სუყველას ეყურებოდესო. ამისგამო დავსწერე და ვამტკიცებ კიდეცა მაგის ურიგობასა და ვასნობ, რომ დავითნის ენით დავსწეროთ, რომ, ხალხს არ ეყურებოდეს, თორემ, ისინიც სწავლას დაიწყებენ და დიდსა და პატარაში გარჩევა აღარ ექნება.

რედაკტორები.

მაშ რისთჳს ვსწერთ თუ ყველა არ ისარგებლებს, არ გაიგებს და არ ისწავლის? არა! ჩუჱნ ვერც მაგას მივიღებთ,—ეგეც გატკოვისა და ასავაჩნსვის ქელობაა... როგორც ვატყობთ თქუჱნ სულ ერთის ხმაზედ გაიძახით და ტყუილიდა იქნება თქუჱნი ნაშრომების შინჯუჱა... მშჳდობით ბძანდებოდეთ!

სიმღჱრის მქადაგებელი.

მშჳდობით! (და გადიან ბუტბუტით)

გამოსვლა.

ახალ გაზდა მწერალი (შემოდის ფრაკით და სათვალებით).

ოჰ! უფალს რედაკტორებს ვახლავართ, მე ერთი ჩინებული რომანი დავსწერე.—მიბაძვა გოგოლისა და ჩუჱნი ხალხის ჩუჱულება, ხასიათები, უშჯჱრება და ბევრი სხუა მხარე ისე გამოვხატე, როგორც მოგაგონდებოდეთ გოგოლის. «Мертвыя души.»

რედაკტორი.

ემას წინათ, რომ სწერდით?

მწერალი.

დიახ

რედაკტორი.

კარგი უნდა იყუჱს...

რედაკ.

თქუჱნ სხუა ჟურნალში სწერთ და რაც უნდა კარგი იყოს ჩუჱნ აღარ შეგჳძლიან დავბეჭდოთ, თუ «ცისკარზედ» ქელს აიღებთ, მაშინვი შეიძლება დაიბეჭდოს, ისიც ამ პირობითა, რომ არც ერთი გრამმატიკული შე-

ცდომა არ იყვეს და ლოგიკურათ იყვეს დაწერილი.

სხჳა რედაკტორი.

(წასჩურჩულებენ) კატო, რას ეუბნები გრამმატი-კასა და ლოღიკაზედ რომ ჩჳენც სუსტათ ვართ და მაგას რასა სთხოვ; სხჳაფრივ იყვეს კარგი თორემ, ეგ მიეტევება.

რედაკ. *

(მეუტევს) ვინა! მე ვარ სუსტათ გრამმატიკაზედ,— მე, რომელიც ეხლა ვარდგენ სამაგალითო ქართულს გრამმატიკასა (ჩუმათ ჩაიბუტბუტებს) თუ ჩემი მეგობა-რი ფერხნცუზი ცოცხალი მეყოლება, მე ვიცი როგორც შევიმუშავებ გრამმატიკასა!...

მწერალი.

თქჳენ რა განაღვლებსთ, რომ იქაცა ვბეჭდო და აქაცა? ეგ, ვგონებ, თქჳენთჳს სულ ერთი უნდა იყვეს!..

რედაკ. *

რათ იქნება სულ ერთი! რადგან თქჳენ აგრე ამბობთ, მაშ არა გცოდნიათ ჟურნალისა და ლიტერატურის მნი-შჳნელობა,

მწერალი.

რა არის აქ წინააღმდეგი ჟურნალისა და ლიტერატუ-რისა?

რედაკ. *

ჯერ უნდა მომზადება გქონდეთ და მერე გველაპა-რაკო მაგ საგანზედა.

მწერალი.

კარგი. მარტო თქჳენს ჟურნალში ვბეჭდო—იქ თავს

დავანებებ. ხი დაბეჭდეთ.

რედაკ.

ერთიც კიდევ: თქუენი რომანი არ იქნება კარგი ამიტომა, რომ მომზადება არა გაქუთ. ჯერ რომ ისინი ვერა ჰსწერენ რიგიანათ ერთს უბრალო ამბავსაცა გინც უმაღლესს სასწავლებელში არიან დაზრდილები და მოუსმენიათ სხუა და სხუა გამოჩენილის პროფესორების ლექციები, თქუენ როგორ დასწერთ რიგიანს რომანსა, რომელსაც ქალაქს გარეთ ფეხი არ გაგიდგავთ.

მწერალი.

მაშ მშჳდობით ბძანდებოდეთ! უნიჭოებს ვერცარა პროფესორები უშუელიან და ვერცარა უმაღლესი სწავლა. (გადის დაცინვით).

ფარდა ეშუება.

მოქმედება 2

(სცენა წარმოადგენს «ცისკრის» რედაკციას. სიძველის მქადაგებელნი და და უაზრო მწერლები ბაასობენ)

სიძუელის მქადაგებელნი.

ჩუენ ყოველივე ღონისძიება უნდა მოვიხმაროთ, რომ არას დროს ევროპიის სწავლა და განათლება არ შემოგვეპაროს საქართველოში. რა გვიჭირს, რომ იმათსავით რაღაცა ჯანაბაებს არ ვიგონებთ! ეგ რაღაცა ჯანაბებს იგონებენ, გვონიათ მაგაში ღმერთი ერიოს თუ!—თქუენ არ მომიკუდეთ! აბა,

ღმერთი რათ ერევა, თუ ქრისტე გრწამთ, მაგ. რაღაცა ჯანაბური, ტელოგრაფია თუ რაღაცა: შენ რომ მოსწონს იყვე და მე აქ ისე ველაპარაკებით ერთმანერთსა, თითქო აქა დგანანო. ამისთასა ეშმაკურს საქმეში ღმერთი გაერევა?

უაზრო მწერლები.

ოღონდა და არ გაერევა! ბატონო, თუ მაგაში ღმერთი ერიოს, მაშ რატომ წრეულს ჩვენში მოსავალი აღარ მოვიდა, რაც ეგ ბოძები დაურჭვეს იქა! ეგ იმიტომა, რომ ის, რაღაცა ჯანაბაა რკინის თოკი გაბმული იმაში ერთი რამ ეშმაკის სახე უნდა იჯდეს: მე შევიტყე, რომ ევროპიელებს ის ქვაბი უპოვნიათ, რომელშიაც სოლომონ ბრძენმა ეშმაკები დაამწყვდია და ახლა იმათთვის პირობა დაუდებინებიათ..

სიძველის მქადაგებელნი.

არა, აგი წმინდა მარინეს წიგნში სწერია, რომ, როდესაც მარინემ ეშმაკი შეიპყრა ის ეშმაკი უამბობს, რომ ჩვენ გამოგვიშვესო იმ სოლომონ ბრძენის ქვაბიდამაო.

უაზრო მწერლები.

მაშ მოჯადული იქნება, ან იქნება სული მიჰყიდეს ეშმაკსა და აბა, შენი ჭირიმე, სადაც ეშმაკეული და მოჯადული რამ გაერევა იქ ღვთიანი ან მოსავალი რაღათ იქნება.

სიძველის მქადაგებელი.

ჰო, და! ჩვენ ეხლა უნდა ემაგას ვეცადნეთ, რომ ჩვენმა ქართველებმა არ ისწავლონ ე მაგისთანა რამეები. აქამდინ ამიტომა გვწყალობდა ღმერთი, რომ

ემაგისთანა ეშმაკობა არა იყოფა: მეგობრობაც მტკიცე იყო, ნათესაობაც დაცული იყო, ძმობა და სიყუარულიც სარწმუნო იყო. აი, ემანდერა ევროპიელებს როგორ ღმერთი გაუწყრათ: აღარც ნათესაობას დანდობა, აღარც ერთი, აღარც მეორე... ასე ამბობენ, რომ ეგ უგვანოები, ვითომც ბაყაყს და ლოკოკინასა სჭამდნენ (ყველანი ზიზღით აფურთხებენ) ღფუ!... აბა, ვინც იმათ აჭყუტბა, რაკითხი უნდა კეთილი არ დაეყრება!..

ერთი უაზრო მწერალთაგანი.

მე ახლა დავწერე ერთი აზრი დასაბეჭდავათ: უცხადებ ყველა ქართველებსა, რომ ეგება საზოგადოთ ვსთხოვოთ მთავარმმართებელსა, რომ, ეგ ტილიფრალაები და მაგისთანა მოჯადული საქმეები გადააგდოს ჩვენი საქართველოდამა... ახლა კიდევ ამბობენ, რომ რკინის გზის გაკეთებას აპირებენო, რომელიც შეუბმელად უსაქონლოთ ივლისო. აბა, სადაც ემაგისთანა რაღაც რაღაც რამ შემოვა კეთილი რათ დაგვეყრება; აბა თქვენი ჭირიმეთ თუ ეშმაკის მანქანება არ იყვეს, შეუძლებელია როგორ გაივლის. ჯოჯოხეთს ერთი ნიგუზალიღა აკლდა და ისიც შეუშვეთუსო: ერთი ეგღა აკლდა ჩვენს გაურჯულობასა და უმაწვლი ხალხის გადაბირვასა... ღმერთო, შენ დაგვიფარე ამისთანა განსაცდელისაგან...

სიძველის მქადაგებელნი.

ვაყო, ჩვენი მამა-პაპანი ჩვენზედ ჭკვიანები და ჩვენზედ უკეთესები არ იყვნენ, რომ უცხოვრიათ და ლხინითა და ქეიფით დრო გაუტარებიათ!..

უნდა ვეცადნეთ რომ წერითაცა და საქმითაცა, ევროპიელებმა არ მიგვიზიდონ, თორემ ჩუენც იმათსავით გარმიანებულები შევიქმნებით...

უაზრო მწერლები.

სწორეთ. სწორეთ! დავდოთ პირობა, რომ არას დროს ჩუენ ჩუენს აზრს არ უმტყუნოთ და ერთ პირათ ვიმოქმედოთ.

სიძუელის მქადაგებელი.

ვინც უმტყუნოს ღმერთმა მიაყენოს საუკუნო რისხვა.,

ყველანი ერთათ.

ამინ! ამინ! ამინ!!!.. ღმერთო გაუმარჯვე ჩუენს აზრს!... (ალტაცებაში ჰკოცნიან ერთმანერთს).

მღერიან.

დიდება ღმერთსა მაღალსა,
დიდება ჩუენს ძლიერებას,
დიდება ცისა ძალასა.
დიდება ჩუენსა დიდს ცოდნას!ა..
ურა! ურა! ურა! ურა!!!

გამოსვლა 2.

(შემოდის ორი იასაული ახალი წლისა.)

იასაულები.

თქუენ ვინ ბხანდებით?

ყველანი.

ჩუენა ვართ მწერლები.

იასაულები.

თქუენ რასა სწერთ?

ყიძველის მქადაგებელი.

ჩუ̂ენა ვსწერთ და ვქადაგებთ, რომ მამა პაპის ჩუ̂ეულებას და ცოდნას არ გადავიდეთ.

უაზრო მწერალი.

ჩუ̂ენ სულ იმისთანას ვსწერთ, რომ წამკითხველი გავაკვირვოთ თავის საკვირველებითა და მოუფიქრებლობითა.

იასაულები.

ჩუ̂ენა გვაქუ̂ს ბრძანება ახალის წელიწადისაგან, რომ ვინც ძველს მიზდევს, ისინი ძველს ხალხთან—მამა პაპასთან გავისტუმროთ და ვინც ჭეშმარიტებისა და სინანდვილის წინააღმდეგს სწერს, ისინი ყიზილბაშებში გავისტუმროთ და აღარ გაბედონ, რომ «ცისკარში» მაგისთანა რამ დასწერონ. ახლა დრო არის, რომ «ცისკარიც» გადადგეს მეცხრამეტე საუკუნეში.

ორივე მხარე. (შეტევით)

ვინა! ჩუ̂ენა? ჩუ̂ენ უნდა დავანებოთ მწერლობას თავი?! ჩუ̂ენ რომ მწერლობას თავი დავანებოთ, ხომ დაიღუპა საქართველო! არა, ჩუ̂ენ ჩუ̂ენის ცოცხალის თავით არ დავანებებთ მწერლობას თავსა. ეგრე მოახსენეთ ახალწელიწადსა.

იასაულები.

არა! ჩუ̂ენ სასტიკი ბრძანება გვაქუ̂ს, რომ აქედამ გაგრეკოთ.

ორივე მხარე. (გაბრაზებულები)

ვინა! ჩუ̂ენ უნდა გაგვრეკოთ?! ჩუ̂ენა?! აბა, ამათ! გეტი ძველებურათა—ქართულათა! გეტი ამათ მამაპაპურათა, გეტი! (ერტყმიან იასაულებს გარეშემო და სცემენ; იასა-

ლები ჭყვიტიან და აზრუებენ გაგცევას)

გამოსვლა 5.

(შემოდის ახალი წელიწადი და თან ახლავს სიახლით მოსილი სვიტა)

ახალწელიწადი.

რა ამბავი გაქვთ?

ორივე მხარე.

(შეშინებით)

ჩუენა ვართ მეცადინენი საქართველოს კეთილ დღეობისა და ჩუენგნით იყო აქამდის საქართველო დაფარული ყოველის განსაცდელისაგან.

ახალწელიწადი.

ჰო! გიცნობთ! თქუენ იყავით მიზეზი მკითხველების ასე დავარდნისა; თქუენა ცდილობთ თქუენის უგვანის მწერლობით ძველი ჩუეულების დაცვას და ყოველის წარსულის ძველის მწერლობის შემოტანას და ახლა არის თქუენის მეცადინეობისა და შრომის ბოლო: დღეის შემდგომ «ცისკარს» აქვს თქუენთვის კარები დახშული,—ახლა უნდა იქადაგოს: წარმატება ხალხისა, აუხსნას თვალი ყოველის შეცდომილებისა და საკლულევანებისაგან და უნდა უჩვენოს ყოველი საჭიროება თქუენგნით დაცემულს ხალხს. ყოველგან შემოვიდა მეცხრამეტე საუკუნე და აქ ისევ ძახაბახობაა.... გამოესალმეთ მწერლობას, რადგან არ დაგიშლიათ, გინდათ იქადაგოთ წინ წაუწევლობა და სიძვე-

ლე, არის ორი ჟურნალი: ერთი გატეგოვისა და ერთიც ახჯაჩენსკისა, შეგიძლიანთ ერთმა ერთს და მეორემ მეორ-ეს დაბეჭდვინოთ... (იასაულებს) მათრახი მაგათა! მათრახი! თორემ სხჳა მაგათ ვერა დაიოკებს რა! (იასაულები დაუშე-ნენ მათრახს და მწერლები აფუულები გარბიან ყვირილით და ტირილით)

ორივე მხარე.

ვაჲ, ჩჳენო ძველო დროვ! ვაჲ ჩჳენო ძველო მწერლო-ბავ! (გადიან მოთქმით)

უაზრო მწერლები.

გარდამვხდა გადასავალი
უარესაცა მოველი...

სმელის. მქადაგებელი.

ისდრო წავიდა დრო სანატრელი,
ვაჲ ამ დროთ მოყრას, ვაჲ ჩჳენი ბრალი!.
(ორივე მხარე იწეწენ თმებსა და გადიან)

ფარდა დაეშვება.

თავხელი.

# ჟურნალთ ჩამომავლობაზედ ევროპაში.

ერთი განსაკუთრებითი პირობა ჟურნალის გამოცემისათჳს არის პირობა პერიოდიკული, ესე იგი: გამოცემა დროთი დრომდე. არსებობა ჟურნალებისა იწყების ორნახევარის საუკუნისა წინათ. პირუელთა პერიოდიკულთა ევროპისა, ჟურნალთა, იწყეს თავისი მყოფობა მეჩჳდმეტეს საუკუნოში. თჳთქმის ერთ დროს ანგლიაში, გერმანიაში და გოლანდიაში, და იყვნენ დაწყებულნი ერთისა მიზეზისაგან: სარწმუნოებითთა უთანხმოებათაგან. მეათთუთხმეტე და თჳთქმის მეათთექჳსმეტე საუკუნეში ევროპიის საზოგადოებანი არ მიზდევდენ, არცა ხალისობდენ საქმეთა გარეგანისა პოლიტიკისას, რომელნიც შეადგენდენ, მზრუნველობასა მხოლოდ, ხელმწიფეთა და მინისტრებთა, არა იცოდარა საზოგადოებამ რაცა მოხდებოდა. განა წარმოებდა იმათ მეზობლებთა შორის. სარწმუნოებითთა ომებთა, კათოლიკეთა და პროტესტანტ შორის მოუღეს ბოლო ესრედსა უყურადღებელობასა შემდგომ, «ოცდაათიწლის ომისა» თჳთოეული პირი ხალისობდა, რომ შაეტყო წარმატება თავისის ერთ მესარწმუნების ჯარისა, რომელს

სახელმწიფოშიაც უნდა ყოფილიყო ესე უკანასკნელი; დასაკმაყოფილებელად ქსრეთის ახლად განღვიძებულის ხალისობის და სურვილის, ევროპიელთ საზოგადოებაში დაიბადა საჭიროება, რომ გამოცემულ იყვნენ პერიოდიკულად სხუა და სხუა ცნობანი სარწმუნოების და პოლიტიკურთ საგნებთ ზედა. ესე ვითარი გამოცემა შეიქმნა დასაწყისად იმა ჟურნალთა, რომელთა ნაყოფთაგან გვემოვნებენ აწ აურაცხელნი მკითხველნი.

ამის შემდგომ დარწმუნებული ვარ, მკითხავს «ცისკრის» მკითხველი: რომელი იყო პირველი ჟურნალი ანგლიისა, როგორი ხასიათი აქუნდა და რომელნი არიან პირობანი, რომელნიც შეადგენენ ღირსებათ თჳთოეულის ჟურნალისას? ამაზედ მოვახსენებ შემდგომს: ანგლიის, პირველს ჟურნალსა, გამოცემულს **1622** წელში, ეწოდებოდა «თჳთოეული კვირის ამბავი ის იყო საშუალო ტანისა, რომელიცა გამოდიოდა კვირაში ერთხელ, და რომელშიაცა იბეჭდებოდენ სხუა და სხუა ცნობანი შესანიშნველთ შემთხვევათ ანუ მოქმედებათა, მომხდართ ევროპიის სახელმწიფოებში, გარდა ანგლიისა; იმისი გამომცემი იყო ნათანიელ ბათერა, რომელიცა ხშირად განაცხადებდა თავის უმადურობასა იმ განკარგულებაზედ მართებლობისა, რომლითაც აღეკრძალა იმას ბეჭვდაჲ ყოველთა შინაგანთა ცნობათა. ამ გვარმა აღკრძალულებამა მისცა არა მცირედი საშვალობა, რომლით დაიწყო სხუა წოდებით გამოცემა — ახალის ამბავების ბარათებისა, ესე იგი, ველონაწერთ ფურცლებთა; (მზგავსთა მოვითხვის წერილთა) რომელნიცა იგზავნებოდნენ დედაქალაქიდგან უაღრესთა პირთა და აზნაურთადმი,

საჴელმწიფოშიაც უნდა ყოფილიყო ესე უკანასკნელი; დასაკმაყოფილებელად ქსრეთის ახლად განღვიძებულის ხალისობის და სურვილის, ევროპიელთ საზოგადოებაში დაიბადა საჭიროება, რომ გამოცემულ იყვნენ პერიოდიკულად სხუა და სხუა ცნობანი სარწმუნოების და პოლიტიკურთ საგნებთ ზედა. ესე გვარი გამოცემა შეიქმნა დასაწყისად იმა ჟურნალთა, რომელთა ნაყოფთაგან გემოგნებენ აწ აურაცხელნი მკითხველნი.

ამის შემდგომ დარწმუნებული ვარ, მკითხავს «ცისკრის» მკითხველი: რომელი იყო პირველი ჟურნალი ანგლიისა, როგორი ხასიათი აქუნდა და რომელნი არიან პირობანი, რომელნიც შეადგენენ ღირსებათ თჳთოეულის ჟურნალისას? ამაზედ მოვახსენებ შემდგომს: ანგლიის პირველს ჟურნალსა, გამოცემულს **1622** წელში, ეწოდებოდა «თჳთოეული კვირის ამბავი ის იყო საშუალო ტანისა, რომელიცა გამოდიოდა კვირაში ერთხელ, და რომელშიაცა იბეჭდებოდენ სხუა და სხუა ცნობანი შესანიშნველთ შემთხვევათა ანუ მოქმედებათა, მომხდართა ევროპიის სახელმწიფოებში, გარდა ანგლიისა; იმისი გამომცემი იყო ნათანიელ ბათერა, რომელიცა ხშირად განაცხადებდა თავის უმადურობასა იმ განკარგულებაზედ მართებლობისა, რომლითაც აღკრძალა იმას ბეჭვდაჲ ყოველთა შინაგანთა ცნობათა. ამ გვარმა აღკრძალულებამა მისცა არა მცირედი საშუალობა, რომლით დაიწყო სხუა წოდებით გამოცემა —ახალის ამბავების ბარათებისა, ესე იგი, ჴელონაწერთა ფურცლებთა; (მზგავსთა მოკითხვის წერილთა) რომელნიცა იგზავნებოდნენ დედაქალაქიდგან უახლესთა პირთა და აზნაურთადმი,

და რომელშიაც თავისუფლად აღიწერბოდნენ და განისჯებოდნენ მრავალნი შინაგანნი ცნობანი, წარმოდგენილნი არა იშვიათად მატყუარს და შეცდომის სახეში. რაც შეეხების პირობათა, რომელნიც შეადგენენ ღირსებათა ჟურნალისას, მე ვიტყვი, რომ ის პირობანი არიან მრავალნი და რადგანც აღწერა თვითეულისა წამიყვანს ძრიელ შორს, ამისთჳს ვახსენებ რაოდენთამე იმათგანთა, რომელთაც, ჩემის ფიქრით, აქუსთ დიდი ზედმოქმედება იმის ხასიათზედ.

პირუელი პირობა ის არის, რომ ჟურნალსა აქუნდეს მიმართულება თანამედროვული, ესე იგი, უნდა იდგეს თანასწორ თავისის საუკუნისა; მეორე, რომ აქუნდეს სასტიკი მიუდგომელობა, ესე იგი თვითეულსა წარმოდგენილსა და განსჯილსა მის მიერ ცნობაში ღირსებათა ანუ ნაკლულევანებათა ზედა ვითარიმე პირისა ანუ ნივთისა, იყვნენ ხელთ მძღუანველ და დამარხულ სასტიკი მიუდგომელობა, სინამდვილე და ჭეშმარიტება; მესამე და უმთავრესი პირობისაგან, არის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჟურნალისა; მაგრამ ესე უკანასკნელი ეგრეთვე, თავის მხრით, დამოკიდებულია იმა ხარისხსაგან, რომელშიაც სდგას უწყებულს სახელმწიფოში თავისუფლება საბეჭდავისა. აქედგან ცხადათ სჩანს, თუ წყარო, რომლისაგანაც მომდინარეობენ ზემო აღნიშნულნი, და სხუანი უმრავლესნი პირობანი შემადგენელნი ღირსებათა ჟურნალთა, იმყოფების უპირველესად თავისუფლებაში საბეჭდავისა, ხოლო ესე ვითარი თავისუფლება საბეჭდავისა უმრავლესთა სახელმწიფოებში ევროპიისა ეგოდნათ სუს-

ტი და ნაკლულევანია, რომ ვგონებ არ შევცდე, შეითუ ვსთქჳა: არის მოჩვენებითი.

მრთელს ევროპიაში არის მხოლოდ ერთი საჴელმწიფო, რომელშიაც, ვიტყჳ თამამად, თავისუფლება საბე-ჭდავისა მიწევნილ არის თითქმის ყოვლად სისრულეში, და იმის წყალობითა იქაურნი ჟურნალნი და მრთელი პერიოდიკული ლიტერატურა, სავსენი მრავლითა ზნეო-ბითითა ღირსებითა ყვავილობენ და კჳალად აყვავილებენ, აკეთილ დღევანებენ და აბედნიერებენ ყოველთა მცხოვრე-ბთა იმა საჴელმწიფოთა, რომელიც არის ანგლია.

რადგანაც სიტყჳა ჩამოვარდა თავისუფლებაზედ საბე-ჭდავისა, ვიტყვი ორ სიტყჳას ამაზედ საზოგადოდ: მე არ მეგულვება საჴელმწიფო, არათუ ევროპიაში, არამედ არცაღა მრთელს ქვეყანაზედ, სადაცა: სწავლა, ხელოვნება და ვაჭრობა იყვნენ მიწევნილნი იმა უმაღლესს ხარისხზედ თავისისა გახსნილობისა, როგორც რომ ანგლიაში, სადა-ცა სიმართლენი პიროვნობისა და საკუთრებისა იყვნენ დამარხულნი და დაცულნი ყოველთა უმცირესთ უსამართ-ლოებათაგან და, მაშასადამე, სარგებლობდენ ესრედ ვრცლად უშიშროებისაგან, როგორც რომ ანგლიაში, სადაცა თანხმობა, კეთილ განწყობილება, მადლიერება და ურთიერთობრივი რწმუნება, შორის მმართებლობისა და ხალხთა, იყვნენ ეგოდენ დიდნი და ჭეშმარიტნი, როგორც რომ ანგლიაში. უკანასკნელად, სადაცა თავისუფლება სარწმუნოებისა და თავისუფლება სჳნიდისისა, რომელი არის ნაყოფი ახლანდელის განათლებისა და სიქადული მეათცხრამეტის საუკუნისა, იყოს ესრედ პატივცემულ

და ქუთილად-შეწყნარებულ კანონთაგან, როგორც რომ ანგლიაში.ახლა ესეც ვიკითხოდ:რა არის მიზეზი?—არიან მრავალნი; ვარნა რიცხუთა შორის ამა სიმრავლეთა, ვიტყვი სრულის კანონიერებით, პირუწოლი ადგილი უპყრიეს თავისუფლებასა საბჭოსავისას, იმა საბჭოსავისას, რომელიცა; ერთის მხრით, უზოგველად და შეუპოვნელად განამზებს ყოველთა ვითარცა კარგთა, ეგრეთვე ცუდთაცა მოქმედებათა არა თუ მარტო საშუალ მოსამსახურეთა სასამართლოებში, არამედ თჳთ მინისტრებთაცა, ხოლო მეორეს მხრით იგი აძლევს სრულსა ნებასა თჳთოეულსა ანგლიჩანსა, რომ იმან სთქუას და განსაჯოს ყოველი ნავთი თავისებურად, თავისის საკუთარის შეხედვითა, სრულის სითამამით, და იმოქმედოს ისე, როგორც მას ნებავს; მხოლოდ აქ უსაჭიროეს არის დამარხვა მის-მიერ ერთისა პირობისა: რათა სიტყუანი და მოქმედებანი იმისნი არ იყვნენ მავნებელნი და საზარალონი სხუათა პირთა, მაშასადამე ერთობ საზოგადოებისაცა, და უკეთუ ესე პირობა ბეჯითად დაცულ და დამარხულ არის, მაშინ თავისუფლებასა ანგლიჩანისას არა აქუს საზღვარი.

პეტრე ჩარუქოვი.

ნოემბრის. **1862** წელსა.
ლეჩხუმი. ს. მური.

# რამდენიმე ცნობა გარიბალდიზედ.

გარიბალდის მძიმე დაჭრილობა წინად გაცნობეთ ჩუ̂ენს მკითხუ̂ელებს და ახლა გვინდა გახაროთ ამ დიდს საიმედო კაცის განთავისუფლება დაჭრილობიდამ. უკანასკნელს №№-ი გაზეთებში გვამცნეს, რომ გარიბალდი, შემდგომ ბევრის წვალებისა და იჭჳსა, ძლივს ამოართვეს ტყვა კოჭიდამ ამ საქმისათჳს, თჳთქმის მთელი ევროპიის პირუ̂ელი სწავლული ექიმები იყვნენ შეკრებილნი გარიბალდისთან, ახლა რაკი, ტყვა ამოართვეს, იმედია მალე განთავისუფლდება სნეულებისაგან და არ დასტოვებს თავის დაწყობილს დიდს და მძიმე საქმეს იტალიის შეერთებას, რომლისათჳს თავის სიყმაწვილითვე იბრძვის.

ჩუ̂ენ უნდა მივულოცოთ ჩუ̂ენს საყვარელს მკითხველს დაცემა რატაციის სამინისტროსი, რომელიც იყო მიზეზი გარიბალდის საქმის გავრცელების დაბრკოლებისა და იმის დაჭრილობისა. ეხლა, როდესაც იტალიის პარლამენტი შეიკრიბა და გასინჯეს ყოველივე დაწყობილებს და საქმის წარმოება რატაცცისა შესახებ იტალიის ერთობისა და რომიდამ ფრანცუზების გასვლისა,(1) სცნეს

---

(1) რადგანაც მთელს იტალიას უნდა შეერთება ერთს

რატტაციის საშინელი უთავდარიგობა და უაზრობა. რომელთამე პარლამენტის ჩლენთ აშკარათ, მთელი პარლამენტის შეყრილობის წინ, გაამტყუნეს რატაცცი იმის უწკუო მოქმედებაზედ შესახებ იტალიის საქმისა და გარიბალდის წინააღმდეგობისა, ამისგამო რატაცი სამინისტროთ ველარ დარჩა სამხრეთში (2) ამის სამინისტროს მაგიერათ დგება სხუა სამინისტრო, რომელიც, უფრო

---

სახელმწიფოთ, ამისგამო იტალიის მთავრობა ცდილობდა რომ რომის პაპისაგან ჩამოერთვათ საერო მფლობელობა (Свѣтскую власть) რომის სამფლობელოში, რომელიც ეკუთვნის იტალიას, მაგრამ ნაპოელმა დააყენა აქა თავის ჯარები პაპის საშუწლებლად, გარიბალდი, როდესაც მიდიოდა რომზედ თავის ვალენტორებით, მაშინ დღე იყო დანიშნული როდესაც მთელი რომის ხალხი და პაპის საკუთარი ჯარები უნდა აშლოდნენ პაპასა და ფრანცუზის ჯარებსა და ამ დღეს თითონ გარიბალდიც უნდა მოსდგომოდა რომს თავის ჯარებით, მაგრამ რატაცცის წინ დაუხედავმა თავხედობამ მოშალეს ეს პლანები: გარიბალდი დაიჭირა მძიმეთ და ამის ჯარები დაიფანტნენ; ამისგამო ველარც რომში მოხდა რევოლიუცია.

(2) კონსტიტუციურს სახელმწიფოებში პირუწლს მინისტერს, რომელსამე შემთხვევაში კოროლებზედ მეტი ხმა აქუს, რადგანაც პირველი მინისტრი უნდა იყვეს ხალხისგან ამორჩეული ვადამდინ.

რატაციაზედ მხნედ აწარმოებს ამ დიდს საქმესა: იტალიის ერთობას.

საბერძნეთის აშლის დროს (1) გარიბალდის ნება დართუთ, ამის ვოლონტიორები წავიდნენ ათინაში ხალხის მოსაშჳელებლად. რომელიც აემაღლა თავის უსამართლო

(1) სადაც საბერძნეთის მცირე ნაწილი განთავისუფლდა ოსმალოების სამფლობელოდამ, თჳთქმის მას აქეთია, რაც ევროპამ დაუწესა ერთი კოროლი ოტონ საბერძნეთს. ეს კოროლი იყო სხჳა სარწმუნოებისა, რომელიც ცოტათ სწყინდათ ბერძნებს. გარდა ამისა ეს კოროლი გამოდგა სრულებით უვარგისი საბერძნეთის საპოლიტიკო გინა სხჳა ფრივის მდგომარეობისათჳს და ამის გარდა საშინელი ცუდი და ურიგო გაციცა; ამ მიზეზებით საბერძნეთში რამდენჯერმე შესდგა საზოგადოება რევოლიუციის მოსახდენათ, რომლითაც უნდა გადეგდოთ თავის უვარგისი კოროლი, მაგრამ ყოველთჳს, ამ საქმის აღსრულებამდის, უგებდა კოროლი და მთავრობა კაროლისა და აყენებდა სასჯელს ამ საქმეში გამრევთა. ბოლოს, ამ უკანასკნელს დროს, ღჳნობის თვეში, მოხდა უცებ რევოლიუცია. მაშინ, როდესაც, თჳთქმის მთელი ევროპა სდგას რევოლიუციის მდგომარეობაზედ და ვერც ერთგან ვერ მისწდომია თავის სურვილს, რომ მთავრობამ არ შეუტყოს, ამ დროს საბერძნეთში სწარმოებდა ისე ჩუმათ რევალიუცის საზოგადოება, რომ არც ერთმა, კაროლის მომხრე პირი ვერ შეიტყო. ბოლოს ეს რევოლიუციის საზოგადოება ისე გავრცელდა

კოროლს.

რომში ერთს რომელიღაც გაზეთის რედაქციას გამოუცია ერთი ალმანახი, რომლისათვისაც დაურქმევიათ «კაცობრიობის კეთილმომქმედნი» ეს ძალიან მომქმედნი არიან გარიბალდი ანტონელლი (რომელიც არის საშინე-

---

რომ მთელი საბერძნეთის ხალხი და ჯარი დადგა იმის მხარეს და ერთიც ვნახოთ, რევოლიუციამ იფეთქა თავის წამალივით და უომრად. უხმაუროდ გადააგდეს თავის უსიამოვნო კოროლი ტახტიდამ და გააგდეს კიდეც სახელმწიფოდამ, და ეხლა ირჩევენ თავის გუნებით ახალ კოროლსა. უფრო აზრი აქვთ, რომ კოროლათ გამოირჩიონ ანგლიის კოროლევას მეორე შვილი პრინცი ალფრედი, მაგრამ ცოტა არ არის სხვა სახელმწიფოები არ ეთანხმებიან ამ ხალხის ამორჩევას.

ეს თქმული ჩვენგნით ხალხის ასეთი გასაოცარი გამარჯვება უნდა მივაწეროთ ჩვენ იქაურს დაბალი ხალხის განათლებას, როდესაც საბერძნეთი განთავისუფლდა ევროპამ ოსმალების მტრობიდამ, საბერძნეთის ხალხის პირველი ფიქრი ის იყო, რომ დაეფუძნებინათ ყველგან რიგიანი სახალხო სასწავლებლები, რომელიც კიდეც აღასრულეს. ამ სასწავლებელში იქამდის მოემზადა მთელი ხალხი, რომ ეყურებოდათ თავის ურიგო და რიგიანი მდგომარეობა და აქედამ წარმოსდგა ეს მარჯვე რევოლიუცია, რომელიც მოახდინეს ამ უკანასკნელს დროს ერთ პირათ საბერძნეთის ხალხმა, და იმედია, რომ არც კოროლის ამორჩევაზედ შესცდებიან.

ლი წინააღმდეგი იტალიის შეერთებისა) და რედაქტორები ორიოდეს კლერიკულის ჟურნალებისა. რუსული გაზეთი «Современное слово» ამბობს, რომ ძალიან ვსწუხვართ, ამ ალმანახის შემადგენელნი ვერ იცნობდნენ ჩუენს ლიტერატურასა, თორემ უთუოთ თავის ჩანებულს ალმანახში მოაგცევდნენო: ასკაჩენსკის, სკარიატინს, ნ. ფ. პავლოვს და სხ. ჩუენ ჩუენის მხრივ ვიტყჳთ, რომ ჩუენც დიდათ ვსწუხვართ, რომ არც ჩუენი ლიტერატურაა იმათთჳს ნაცნობი, თორემ თჳთქმის მომეტებული ნაწილი ჩუენი ლიტერატორებისა მოაგცეოდა იმ ალმანახში და უფრო ნამეტნავათ: ქვემოული ქფოჯმე წერეთელი, ალ. სულხ. . . და სხუა

ანტონ ფურცელაძე.

---

## მის ანნა ნეიტი. (ნეკროლოგი).

ამ ცოტას ხანში სოფელს კალდერბახში, რეინის ბოლოს, მოკუდა მის ანნა ნეიტი, რომელიც იყო გელნეფორდიდგან. ის თავის სიცოცხლეში ცდილობდა, რომ ნეგრები (*) განთავისუფლებულ იყვნენ; ამისგამო იმან

---

(*) ნეგრები არიან შავი კანის ხალხი, რომელნიც ჰყავთ მონებათ სამხრეთის ამერიკაში ევროპიიდამ გადასულს ხალხს; ისინი არიან საცოდავს მდგომარეობაში

დასწერა ამ საგანზედ რამდენიმე სტატიები, და ამაზედ დახარჯა მომეტებული ნაწილი თავისის საცხოვ-

---

თავის მეპატრონეთაგან: ყოველ რიგს სამსახურს ასრულებენ, და თუ ერთი ბეწვაც არის შესცდა რამშიმე, მაშინ ყოველი სასჯელი მიადგება უბედურს შავი კანის კაცს, თეთრის კანის კაცისაგან. უწინდელს დროში, როდესაც ევროპიელები ახალი გადასულები იყვნენ ამერიკაში, ნეგრებსა და თჳთონ მკჳდრს მცხოვრებლებს ამერიკისას ხმარობდნენ პირუტყჳს მაგივრათ: აბამდნენ გუთანში, ურმებში და სხჳა. რადგანაც ესენი იყჳნენ მიღებულნი სახიერ პირუტყჳობათ და დიდხანს არ იყვნენ მიღებულნი ამათის კაცობაზედ; მაგრამ ბოლოს დიდის მეცნიერების გამოძიების შემდგომ, მიიღეს და იცნეს კაცებათ, მასუკან თუმცა შეუმსუბუქეს სამსახური, მაგრამ მაინც კიდევ დიდს უჯათში არიან თავის მეპატრონეთაგან და ეხლაც კიდევ არიან თჳთქმის ჩჳენი ზოგიერთ გლეხკაცებზედ უარესს მდგომარეობაში. ეხლა ჩრდილოეთის ამერიკელები და სამხრეთის ამერიკელები ომობენ ამ საქმეზედ. ჩრდილოეთის ამერიკა ამბობს, რომ არ უნდა იყვესო კაცი კაცისაგან ამისთანა უსამართლოებაშიო და სამხრეთის ამერიკელები ვერ ერევიან ნეგრებსა თავისის უმჳჭრობით, რადგანა ჰგონიათ რომ უამათოთ დაეცემოდეს ამათი კეთილი მდგომარეობა, ისგი არ იციან, რომ სადაც თჳთონ პატრონი არ აწარმოებს საქმესა და აქჳს მინდობილი უფასო დაძალებულს კაცზედ, ის კაცი არას დროს ხეირიანათ არ გააკეთებს საქმესა და

რებულისა. ამის სახელი ძალიან უყჳარდათ ნეგრებსა, და ამისთანა შემწეობით განთავისუფლებულებმა ნეგრებმა

---

თუ გააკეთებს, ისე გააკეთებს, რომ არ გამოდგეს, როგორც კიდეც ჩადიან ნეგრები, გინდა ჩჳენი გლეხკაცებიცა. ამ ჩჳენი აზრის სიმართლისათჳს შეგვიძლიან მოვიყვანოთ მაგალითათ ჩრდილოეთის ამერიკა და სამხრეთის ამერიკა: ჩრდილოეთის ამერიკა არის სრულს კეთილ მდგომარეობაში, თუმცა მიწა და ალაგები ამათში უფრო უნაყოფოა, ეს ამიტომა, რომ თჳთონ მამულის მეპატრონნი ჰბეჯითობენ ყოველს საქმესა და მუშა კაცი ჰყავთ ფასით დაჭერილები. მუშა მუშაობს ყოველთჳს კეთილ სინიდისიანათ და ბეჯითათ, რადგანაცა ცდილობს რომ კვლავაც ეს აიყვანონ მუშათ და გარდა ამისა, არც სინიდისი მისცემს ნებას საქმის თათლიბით გაკეთებისას, რადგანაც ამ საქმეში ფასს იღებს. ამისგამო ყოველი საქმე ჩრდილოეთის ამერიკაში კეთდება ბეჯითად და საფუძვლიანათ. და ეს არის მიზეზი, რომ ყოვლის მხრით კეთილმდგომარეობა ჩრდილოეთის ამერიკისა არის წინ წასული სამხრეთის ამერიკაზედ.—სამხრეთის ამერიკაში თუმცა მიწაც უფრო ნაყოფიერია და სხჳა მდგომარეობა უფრო მარჯჳენა წარმატებისათჳს აქ მცხოვრების ხალხისა, მაგრამ კეთილმდგომარეობა, როგორც ზემოთაცა ვსთქჳთ, ამათი სდგას გაუზომელს სივრცეზედ დაბლა ჩრდილოეთის ამერიკისაგან. ამის მიზეზი სწორეთ პატრონობაა: იქაურმა მონამ (შავი კანის კაცმა) რავი იცის, რომ საქმეს აკეთებს სხჳსთჳს თავის უსარ-

დაარქვეს ნეიტვილის სახელი, (პირველი იმათგან დაფუძნებული მოსახლობა.) ის ყოველთჳს სწუხდა რუსეთის გლეხკაცობის მდგომარეობისათჳს და დიდის გულსმოდგინებით ცდილობდა იმათს განთავისუფლებას, და როდესაც შეიტყო რუსეთისა გლეხკაცების განთავისუფლება დიდათ გაეხარდა და აქებდა

---

გებლოთ და ჯავის ფასი ცემა-ტყეპისა და უსამართლოების მეტი არა მიეცემა რა, ამისგამო ყოველ საქმეს აკეთებს უგვანათ, ანუ ერთს დღეს; ერთს კვრას და ამით შეჰყავს დიდს ზარალში თავის მეპატრონე (თეთრი განის კაცი) რომელიც ამას ვერა ჰხედავს, ანუ უკეთა ვთქვათ არ უნდა დანახვა. ეხლა იმედია, რომ, ჩრდილოეთის ამერიკამ დასჯაბნოს სამხრეთის ამერიკას ომში და უთუოთ განათავისუფლებინებს ამ გვარს კაცთა უგვანს ჩვეულებისაგან, საცოდავს შავის კანის ხალხს ნეგრებს, და უმეტესად ეხლა უფრო იმედია, რომ ამ საქმემ გაიმარჯოს, რადგანაც ჩრდილოეთის ამერიკის პრეზიდენტმა ლინკოლმა გასცა ბძანება ნეგრებზედ, რომ, რომელიც ამათგანი გაიქცევა სამხრეთის ამერიკიდამ, ის ნეგრი გამოირიცხება მონობიდამ. ეხლა უკანასკნელს ნუმერში გაზეთს «Современное слово» სწერია, რომ იმდენი ნეგრები გაქცეულან სამხრეთის ამერიკიდამ, რომ ამ ნეგრებიდამ ერთს გენერალს შეუდგენია ოთხი პოლკი მეომარი ხალხი და რაც ისე დარჩენილა ის კიდევ სხჳა არის.

ამ საქმის მოთავეებსა.

თ. ვას. მაჩაბელი.

---

## რედაქციისაგან.

«ცისკრის» რედაქცია სთხოვს უმორჩილესად, რომელსაც სურს ამ ჟურნალის დაბარება **1863** წელიწადს, დროთი აცნობონ რედაქციას. ამასთანავე საჭიროთ ვრაცხთ მოვახსენოთ რომ ამ წელიწადს სრულებით სხვა მიმართულებით გამოვა «ცისკარი». იმ გვარ თხზულებაებს შემოვიტანთ ჩვენს ჟურნალში, რა გვარსაც მოითხოვს ახლანდელი დრო და ახლანდელი საჭიროება. ჩვენის ჟურნალის კითხვის გასავრცელებლად რედაქციამ დასდვა კანონათ: რომლის სასამართლოს, გინა საკუთარის გამგებლობის ხაზინადარი მიიწერს ცისკარს ათ წიგნზედ მეტს სამსახურში მყოფთ პირთ დასარიგებლათ, იმას გაეგზავნება უფასოთ. ამას გარდა რედაქციაში ხაზინადარი შემოიტანს ფულს იმ ქელის მომწერთ ჯამაგირითგან წვრილწვრილად, თვეში თვითო ორ ორს მანეთს, ისე რომ ყოველს ქელის მომწერს

გაუადვილდეს ფულის შემოტანა ჟურნალი გამოვა თავისის დამატებით რვა დიდის ტანის თაბახიდგან თუთხმეტ თაბახამდინ, ზოგჯერ მეტიც. ფასი, რომელიც დანიშნულია «ცისკარზედ» ჰელის მომწერთათვის, მეორის, თუ იეფი; დაჰფარავს ხარჯს თუ არა, ამისი განხილვა მიგვინდია მკითხველთათვის, ჩვენ ამაზედ ვერას მოვახსენებთ. ამასთანავე გვსურს ვაცნობოთ ქართველთ საზოგადოებას, იანვრის ნომერში რა თხზულებები იქნებიან «ცისკარში» დაბეჭდილნი:

1.—სიტყვა ოცდა მეოთხეს კვირიაკესა ზედა, თქმული ქუთაისის გაბრიელ ეპისკოპოზისაგან.

2. საბრალონი. (რომანი ვიკტორ ჰიუგოსი.) გ. დიდებულიძისა.

თურქმენული ცხენი. . . . . ბაქარ ქართლელისა.

შოთა რუსთაველ და იმისი ცოლი თამარ (ლეგენდა.) ან. ფურცელაძისა.

3. ლექსები.

4. ისტორიისათვის მასალები: დავით აღმაშენებლის ანდერძი. . . . შენიშვნა. —დიმ. ბაქრაძისა.

5. ჯონსონის თხზულების «სურამის-ციხის» განრჩევა . . . . . . . . . . . . . . . . ქალის ბექასი.

6. გარიბალდის ბიოგრაფია . . . ან. ფურცელაძისა

7. სხვა და სხვა ამბავი.

ნეკროლოგი. კვირას, 9 დეკემბერს, დილით ცხრა საათზედ, გარდაიცვალა ტფილისში, ხანგრძლივ ავათ მყოფობის შემდეგ ოთხმოცდა ცამეტის წლის მოხუცი, საქართველოიმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორის მწევრი და წინამძღვარი ანჩისხატის ხელთუქმნელის ჴირიმღჳთისასი, დეკანოზი დიმიტრი ალექსიევ მესხიევი.—

---

**1863** წლის კალენდარი ქართულს ენაზედ შედგენილი სერგი მდივანოვისაგან, ახლად გამოცემული, ისყიდება ტფილისში ენფიაჯიანცის მაღაზიაში, ათ შაურად. ამ კალენდარში მოხსენებულნი არიან: ქართველთა და სომეხთ საუქმო დღეები.

---

# შესხმა

დასაფლავების დროს თავადის დავითის ყაფლანის-ძის ჯამბაკურიან ორბელიანისა, მომზადებული სათქმელად მღუდლის ალექსანდრე ზუმბულიძის მიერ სოფლის ტაბახმელის ეკლესიასა შინა. ივლისის **21**-სა **1862** წელსა.

აწ ბწყინვალენო თავადნო! შევკრებილვართ ამა წმინდასა ტაძარსა შინა, რათა ერთბამად საფლავად წარვგზავნოთ იგი, რომელმან მოიხადა ბუნებითი ვალი საწუთოისა ამა სოფლისა. იგი იტყჳს; მშვიდობით მშობელნო, ნათესავნო და მეგობარნო!

ვინ გვეთხოვების, ვის ვგზავნით საფლავად? რომელმან გამოიმეტოს მშვენიერი ახალგაზდა და მემკვიდრე მშობელთა, მარამ გამოგიცხადებ; სანატრელი ყმაწვილი თავადი დავით, ყმაწვილი, გარნა საზოგადოთ საგლოვარი, სავსე კეთილზნეობითა და ყოფაქცევითა.—არა თუ მხოლოდ აქუნდა დავით ღუთისაგან მინიჭებული შეხედულობა მშვენიერი, არამედ გამოუთქმელად მომატებული იყო შინაგანი მშვენიერება მისის სულისა.

ნეკროლოგი. კვირას, 9 დეკემბერს, დილით ცხრა საათზედ, გარდაიცვალა ტფილისში, ხანგრძლივ ავათ მყოფობის შემდეგ ოთხმოცდა ცამეტის წლის მოხუცი, საქართველოიმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორის მწევრი და წინამძღვარი ანჩისხატის ხელთუქმნელის პირი-მღჳთისასი, დეკანოზი დიმიტრი ალექსიევ მესხიევი.—

---

**1863** წლის კალენდარი ქართულს ენაზედ შედგენილი სერგი მდივანოვისაგან, ახლად გამოცემული, ისყიდება ტფილისში ენფიაჯიანცის მაღაზიაში, ათ შაურად. ამ კალენდარში მოხსენებულნი არიან: ქართველთა და სომეხთ საუქმო დღეები.

---

## მესხმა

დასაფლავების დროს თავადის დავითის ყაფლანის-ძის ჯამბაკურიან ორბელიანისა, მომზადებული სათქმელად მღჳდლის ალექსანდრე ზუმბულიძის მიერ სოფლის ტაბახმელის ეკკლესიასა შინა. ივლისის **21**-სა **1862** წელსა.

აწ ბწყინვალენო თავადნო! შეკრებილვართ ამა წმინდასა ტაძარსა შინა, რათა ერთბამად საფლავად წარვგზავნოთ იგი, რომელმან მოიხადა ბუნებითი ვალი საწუთოისა ამა სოფლისა. იგი იტყჳს; მშვიდობით მშობელნო, ნათესავნო და მეგობარნო!

ვინ გვეთხოვების, ვის გზავნით საფლავად? რომელმან გამოიმეტოს მშვენიერი ახალგაზდა და მემკვიდრე მშობელთა, მარამ გამოგიცხადებ; სანატრელი ყმაწვილი თავადი დავით, ყმაწვილი, გარნა საზოგადოთ საგლოვარი, სავსე კეთილზნეობითა და ყოფაქცევითა.—არა თუ მხოლოდ აქჳნდა დავითს ღჳთისაგან მინიჭებული შეხედულობა მშვენიერი, არამედ გამოუთქმელად მომატებული იყო შინაგანი მშვენიერება მისის სულისა.

ჩყნთ-სა წელსა აგვისტოს თვეში, დავით იყო სალოცა-ვად წმინდა ორმეოცთ მოწამეთ ეკკლესიაში (სოფელს ღოუმანს),სადაც შევნიშნე მე მისი ღვთის შიშსა ქვეშე აღზრდილობა და გულისმოდგინებით ვედრება ღვთისადმი. ხალისით გამოიკითხვიდა ჩემგან, როგორც მოძღვრისა-გან, თჳთ მოწამეს ცხოვრებასა, რომელთ სახელთა ზედა აღშენებულარს ეკკლესია და, თუ ვინ იყო აღმაშენებელი იმ ტყიანს ადგილს ეკკლესიისა. ოდესაც ნახა მრავალნი დასაფლავებულნი გარეშე მისსა და შეიტყო, რომელ ოდე-სმე ყოფილა მუნ შენობა, სოფელი, აი რა წარმოსთქვა: «ჩვენა ბრალი! ხალხის მაგიერ ტყე გაზდილაო, არც ის იყო მისთჳს დავიწყებული ეთქვა: სამოთხე მაინც ბაღია და საფლავთა ზედაც ფოთლიანნი ხეები გარგიაო» ამით გამოხატა ჭეშმარიტი მყოფობა ყოვლის კაცისა. ესე, გონიერებით მტკიცე აზრი ჰქონდა ჩვენს ყმაწვილსა თავადს დავითს, ნიჭიერებით იცოდა, გრძნობდა სიკვდილსა, ცვლილებასა სოფლისასა და მომავალს ცხოვრებასაცა.

საყვარელო დავით! არას მომიგებ? არ წარმოიდგენ შენს ჩემთან ტკბილსა საუბარსა, ნუ თუ აღარ გრძნობ სად მე გიხილე მშვენიერი ნორჩი შორის მშობელთა აღყვავე-ბული? განა ჰსდუმ ხარ!

—რას ვხედავთ? მშვენერს დავითს უსახუროდ, გონებასა და გრძნობასა მისსა დაბრმობილსა და ენასა უტყვსა. ამისთჳს გავბედოთ წარმოვსდგეთ, გავიმეტოთ, საფლავად წავგზავნოთ და გამოვეთხოვოთ საუკუნოდ. წარმოვიდგენ რა ენით სანატრელსა მისს საუბარსა, გთხოვთ ძმანო! ღაღადვჰყოთ მაცხოვრისადმი: ქრისტე ჭეშმარიტო, ნუ

უგულებელს ჴყოფ ვედრებასა ჩუენსა, დააწესე სული მისი ადგილსა მწვანვილოვანსა. ხოლო მშობელთათჳს, შენდა-მი მოვივლტვით ღუთის მშობელო ქალწულო და გამო-ვითხოვთ ნუგეშინის ცემასა შენსა, რომელ თჳთ გამოს-ცადე ჴორციელის ბუნებით სიკუდილი ძისა შენისა და ღუთისა ჩუენისა იესო ქრისტესი. მამაო დაუსაბამო, აღამაღლე სული სანატრელის თავადის დავითის მარ-ჯუენით კერძო შენსა, ეგე ვითართათჳს განმზადებულს შუა მდგომელობითის წმინდის ქალწულ მარიამის და განმანათლებელის ნინასითა, რამეთუ შენი არს დიდება და პატივ აწ და უკუნისამდე. ამინ.

# სიტყუა

მოხსენების დროს თავადის დავითისა ჯამბაკურიან ორბელიანისა, სოფლის კუმისის ყოვლად წმინდის სამებისა ეკკლესიასა შინა, თქმული მღვდლის ალექსანდრე ზუმბულიძისაგან. ივლისის **26** სა **1862** წელსა.

აწ ჩუენ ვჰყოფთ მოხსენებასა ახლად გარდაცვალებულის სანატრელის თავადის დავითისა, გულს მოდგინეთ ვსთხოვოთ შემოქმედსა, რათა სული მისი დაამკვიდროს ეზოთა შინა მართალთასა და გულნი მგლოვარეთანი განაგრილოს უხვითა მოწყალებითა თჳსითა.

წარმოვსდგეთ, გულ-მტკივნეულნო თავადის დავითისა! განისვენებს სამარესა შინა, ვითარცა უმაწვილი აკვანსა შინა.—რაღა უნდა ვსცნათ? ისი, რომელ ჩუენ ყოველნი მოვსწყდებით საწუთოსა ამა სოფლისა, მიწათ და ნაცრად გარდაიქცევის სხეული ჩუენი, ოდესმე სოფელიც აღარ იქმნების, იქმნება ნაცვლად სახლთა ჩუენთა აღიზარდოს ტყე დიდი და ნაცვლად ხალხთა გარეულთ პირუტყვთა იწყონ მიმოსვლა შორის მათსა და არც ვინ იქმნეს მომგონე ჩუენის ცხოვრებისა.—გარნა ჩუენ რა ვართ! ეგრეთ

უნუგეშოდ დაგვიტოვებს ჩუენ ღმერთი! არა, თუმც სხეული ჩუენი შთაიდების საფლავსა შინა, გა[illegible] თჳსის მცველის ანგელოზისა მიერ აღიყვანების [illegible] მაცხოვრისა და შემდეგ მცირედის განსჯისა დაიბა[illegible] საქმეთაებრ თჳსსა განჩინებულსა ადგილსა. ხოლო რა იქმნების სხეულისადმი? ოჰ ღმერთო, დიდება განგებულე-ბასა შენსა! რაისათჳს ვაღვიარებთ სიმკოდრო სარწმუნო-ებაში: მოველი აღდგომასა მკუდრეთით? არა იმისათჳს თუ' რომელ სხეული განხრწნილი საფლავსა შინა და დანაცრე-ბული აღსდგების, შეერთდების თჳსსავე სულთადმი და მიიღებს იმავე სახეს, რომელიც აქუნდა ამა ცხოვრებასა შინა. მაშასადამე სიკვდილი სხუა არა არის რა, როგორც ერთის სოფლით მეორეს სოფელში გადასვლა, ჰინის გამო-ცვლა და ცხოვრებისა. აი ვითარ აჩუენა ღმერთმან წინას-წარმეტყველთა ჩუენთასა. მან განათლებულმან სულითა ღუთისათა, იხილა ერთხელ მინდორი აღვსებული კაცის ძვლითა. ხმისამებრ უფლისა ესეძვალნი მოვიდნენ მოძრა-ობასაშინა და შეერთდენ ძვალი ძვალთა თანა, თჳთოეული თჳსს სახსარისადმი; გამოსხნდენ მათ ზედა ძარღვნი და აღიმართა სხეული, შეიმოსნენ იგინი ტყავითა და სული ცხოველი შთავიდა მათშინა და იგინი განცოცხლდენ და სდგნენ ფერთა ზედა თჳსთა მრავალნი ხალხნი.

ეგრეთ, საუკუნიდგან შესვენებულნი საფლავთა შინა განიღვიძებენ, ვითარცა ღრმის ძილისაგან. აღსდგებიან თჳთ იმავე სხეულითა და განცოცხლდებიან უმჯობესისა ცხოვრებისათჳს და საუკუნოესა ნეტარებისათჳს, უკეთუ საქმენი მათნი გამოაჩინებენ ღირსად აღრიცხულთა თანა

დგომად, რომელთა ეტყვის მაცხოვარი: მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ ზეცათა სასუფეველი, რომელი გამზადებულარს თქუენთჳს.

ამისათჳს ნუღარ ვიგლოვთ საყვარელნო, საზოგადოთ საგლოვარსა სანატრელსა თავადსა დავითს, ვინაჲდგან უეჭველად აღსდგების სულით და ჴორცით და ჩუენც ოდესმე შეგვხდების თჳსივეს მშვენიერის სახითა.

ნუ ვიგლოვთ, არამედ ღაღადვჰყოთ დამბადებელისადმი: წმინდა სამებაო, შენს მფარველობას ქუეშე შევედრებულარს გვამი ახალგაზდა თავადის დავითისა და სულიცა მისი აღრაცხილჰყავ მშვენიერთა ანგელოზთა დასთა თანა, მეოხებითა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისათა, ხოლო მგოდებელთა მიანიჭე აურაცხელი ნუგეში და სულგრძელება, ყოვლად წმიდაო სამებაო, დიდებაშენდა. ამინ.